

სულიკო გრიგალაშვილი

**ქართული კულტურის კერა
საზრანგეთში XIX საუკუნის
II ნახევარში**

**თბილისი
2006**

ნაშრომში საქართველოსა და დასავლეთ ევროპას (ვატიკანი, საფრანგეთი) შორის არსებული ისტორიული ურთიერთობის ფონზე გამოკვლეულია საფრანგეთში ქართული კულტურის კერის დაარსება და მისი საქმიანობა.

ნიგნი განკუთვნილია ისტორიკოსებისა და საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ მკითხველისათვის.

რედაქტორი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი: **მურმან პაპაშვილი**

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი: **ალექსანდრე ბენდიანიშვილი**
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი,
დოცენტი **ელიშერ (ეპიფანე) გვენეტაძე**

ISBN 99940-23-05-5

© ს.გრიგალაშვილი, 2006

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ანა რუაძე,
მარიამ ბუტიკაშვილი

შენსავალი

საზღვარგარეთ არსებული ქართული კულტურის ცენტრების ისტორიის შესწავლის გარეშე ყოველად შეუძლებელია საქართველოს ისტორიის სრულყოფილი წარმოდგენა. დასავლეთთან, კერძოდ საფრანგეთთან, ხანგრძლივი კულტურული ურთიერთობის საკითხების მეცნიერული კვლევა დღეს, როცა დამოუკიდებლობის გზაზე მიმავალი საქართველო ორიენტირებულია ევროპის ფასეულობებზე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

ქართული ენისა და კულტურის გარშემო გაერთიანება და განმტკიცება XIX საუკუნეში საქართველოს ძირძველი კუთხის მესხეთის საზოგადოებრივი აზრის ის დასაყრდენი იყო, რომლის მეშვეობითაც ხორციელდებოდა ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება. ქვეყნის შიგნით ამ საშუალებას მოკლებულ ქართველ ემიგრანტთა თვალსაჩინო მოღვაწეებმა საზღვარგარეთ (კონსტანტინოპოლსა და საფრანგეთში) შექმნეს ისეთი კოლონია, რომელიც ქართული ეროვნული კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და სასიცოცხლოდ აუცილებელ სავანედ იქცა.

ცხადია, ჩვენი ქვეყნისთვის, როცა იგი ცდილობს გახედეს ევროპის სახელმწიფოთა ოჯახის სრულყოფილებიანი წევრი, განსაკუთრებული აქტუალობა ენიჭება საქართველოს დასავლეთზე კულტურული ორიენტაციის საკითხების კვლევას. ეს განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით; პირველი, აღნიშნული თემის გაშუქება დაგვანახვებს, თუ რა როლი შეასრულა მონტობანმა ქართული კულტურის პროპაგანდისა და დაწინაურების საქმეში; მეორე, ასევე წარმოაჩენს თუ რა დადებით როლს ასრულებდა ამ საქმეში საფრანგეთის მთავრობა; მესამე გვიჩვენებს, რომ ევროპული კულტურა ქართველებისათვის სრულიად ბუნებრივი და სავსებით მისაღები იყო; მეოთხე, წარმოაჩენს პატრიოტ ქართველ კათოლიკეთა კულტურული მოღვაწეობის ისტორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეპიზოდს, რომელიც „ქართველობისთვის“ ბრძოლის სანიმუშო მაგალითია.

ნაშრომის აქტუალობას განაპირობებს ისიც, რომ საფრანგეთში ქართული კულტურის კერის ისტორიის მაგალითის სრულყოფილი ჩვენება დიდად წაადგება წარსული ურთიერთობის საფუძველზე თანამედროვე საქართველოში დასავლეთის კულტურული და პოლიტიკური იდეების განვითარებას.

ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია როგორც გამოქვეყნებული, ისე გამოუქვეყნებელი საარქივო მასალები. გამოქვეყნებული წყაროებიდან ავტორი ძირითადად ეყრდნობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, მ. თამარაშვილის პირად არქივში დაცულ ხელნაწერ მასალებს ქართულ ენაზე. გამოყენებულია შემდეგი ფონდები №№10, 319, 470. ეს მასალები ძირითადად ეხება XIX საუკუნის 90-იან წლებში მონტობანის ქართული კოლონიის მოღვაწეობაში წარმოქმნილ შიდა პრობლემებს, წინააღმდეგობებსა და მისი დაძლევის გზების ძიებას. ამ წყაროებმა საშუალება მოგვცა თვალი გაგვედევნებინა მონტობანში მიმდინარე კულტურული მოღვაწეობისა და იქ წარმოშობილი სიძნელეებისათვის. აღნიშნულმა მასალამ ასევე მოგვცა საშუალება დაგვეზუსტებინა მონტობანში მოღვაწე ქართველ კათოლიკეთა საქმიანობასთან დაკავშირებული ზოგიერთი ფაქტი.

ნაშრომში ასევე გამოყენებულია მასალები საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივიდან, რომლებიც ამუქებენ მონტობანში 1880 წელს დახურული ქართული სავანის აღდგენის ასპექტებს.

გამოქვეყნებული წყაროებიდან ჩვენთვის საინტერესო საბუთებს ვპოულობთ მიხეილ თამარაშვილის ფუნდამენტურ ნაშრომებში („ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი, 1902“; „ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბილისი 1995“). აღნიშნულ თემაზე ამ დღემდე შეუცვლელი ნიგნებისათვის დამახასიათებელია მეცნიერულად ყველაზე ღირებული საარქივო დოკუმენტების (ვატიკანის, პროპაგანდა ფიდეს, საფრანგეთის, ესპანეთის არქივებიდან) მოხმობა დასავლეთ ევროპულ ენებზე. ამ ნაშრომებში მოტანილი დოკუმენტები ძირითადად ეხება XIII-XIX საუკუნეებში საქართვე-

ლოში კათოლიკობის გავრცელების ისტორიის პრობლემებს, საქართველოს ვატიკანთან, იტალიასთან, საფრანგეთთან, ესპანეთთან, ავსტრიასთან, გერმანიასთან, სამხედრო-პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობის საკითხებს. ნაშრომის „ისტორია კათოლიკობისა...“, როგორც წყაროს, უდიდესი მნიშვნელობა იმითაც არის აღსანიშნავი, რომ მას ბოლოს ერთვის (გვ. 563-844) მოხმობილი დოკუმენტების სრული ტექსტი დედნის ენაზე. ეს საშუალებას აძლევს მკვლევარს, შეამოწმოს მ. თამარაშვილის მიერ თარგმნილი საბუთების სისწორე. ამ მხრივ დიდი მამულიშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მისი თარგმანები უზადოა (მ. პაპაშვილი, მ. თამარაშვილი, დაბადების 140 წლისთავის გამო, ჟურნ.: „საქართველო“, 1998, №2, გვ. 192).

მ. თამარაშვილის შემდეგ უცხოეთის არქივებიდან და ნიგნსაცავებიდან (ვატიკანი, იტალია, საფრანგეთი, ესპანეთი, ავსტრია) მასალების გამოვლენასა და გამოქვეყნების საქმეში დიდი წვლილი შეიტანა პროფ. ილია ტაბალუამ. მან ჩვენთვის საინტერესო საკითხზე გამოაქვეყნა მასალები შემდეგ ნაშრომებში: „ქართული კულტურის კერები საფრანგეთში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში“ („მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1978, №1); „საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან, ნაწ., 1, თბ., 1975“; „საქართველოში საფრანგეთის კონსულების მოღვაწეობის ისტორიიდან (1821-1921 წწ.)“ („მაცნე“ ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1986, №3). ამ ნაშრომებში მოთავსებული უცხოენოვანი საარქივო მასალები ასახავენ საფრანგეთ-საქართველოს ურთიერთობის ცალკეულ ეტაპებს უძველესი დროიდან XIX საუკუნის მიწურულამდე, ცხადია, ქართულ ენაზე თარგმნილმა ამ წყაროებმა ბევრად გააადვილა შრომა და უდიდესი დახმარება გაგვიწიეს საკვლევო თემის შესწავლაში.

ჩვენთვის საინტერესო ცნობებს ვპოულობთ ცნობილი ფრანგი მოგზაურის ჟან შარდენის (1643-1713 წწ.) თხზულებაში: „ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“. ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ.,

1975). ეს პირველწყარო დაგვეხმარა ზოგიერთი დეტალის აღ-
დგენასა და რამდენიმე ფაქტის დაზუსტებაში. საქართველოს
დასავლეთ ევროპაზე ორიენტაციის ზოგადი სურათის წარმო-
საჩენად დიდი დახმარება გაგვინია მიქელ თარხნიშვილის ნაშ-
რომმა: „თეატინელი მოციქულები საქართველოში XVII საუ-
კუნეში (თარგმანი ლათინურიდან) თარგმანს რედაქცია გაუ-
კეთა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო ილია ტაბა-
ლუამ, კრებ.: „საქართველოს ურთიერთობა ევროპასა და ამე-
რიკის ქვეყნებთან, თბ., 1995, ტ. II, გვ. 247-285“. ნაშრომში მო-
ცემულია ისეთი პირველწყაროები ვატიკანის არქივებიდან და
წიგნსაცავებიდან, რომელიც ძნელად მისაწვდომია მკვლევ-
ართათვის. მასში ვიპოვეთ ჩვენთვის მრავალი საინტერესო
საბუთი და მასზე ავტორიტეტული სწორი მეცნიერული ანა-
ლიზი. ცხადია, ამან ბევრად გაგვიადვილა ზოგიერთი სა-
კითხის გაშუქება-გაანალიზება.

დასახელებული მასალების გვერდით წინამდებარე ნაშ-
რომისათვის წყაროთა თავისებურ წრეს წარმოადგენს მონ-
ტობანის სავანეში გამოცემული რიგი ქართული წიგნების წი-
ნასიტყვაობა. ასეთთა რიცხვს განეკუთვნება 1877 წელს აღ-
ნიშნულ ცენტრში გამოქვეყნებული „მოკლე ქართული გრამა-
ტიკა“. მისი ვრცელი შესავლიდან ჩვენ ვიგებთ, თუ რას ისა-
ხავდნენ მიზნად ასეთი რიგის სახელმძღვანელოების შექმნით
მონტობანში მოღვაწე ქართველი კათოლიკეები. ასევე ვეცნო-
ბით იმ სიძნელეებს, რომელიც წინ ეღობებოდა მათ აღნიშნუ-
ლი მიმართულებით. ყოველივე ეს კი ნათლად წარმოაჩენს
ქართველ კათოლიკე მოღვაწეთა პატრიოტულ შემართებასა
და ჩვენი კულტურის განვითარებაზე დაუოკებელ ზრუნვას.

პოლონელი ავტორის ტიმონ ტ. ხმიელეცკის ნაშრომში:
„Tymon Tytus Chmielecki, Gruzinski Katolicyzm w XIX i na
poczatku XX wieku w swietle archiwow watykan'skich, Torun, 1998“.
მოტანილმა ზოგიერთმა საარქივო მასალამ (ვატიკანისა და
პოლონეთის არქივებიდან) საშუალება მოგვცა დაგვეზუსტე-
ბინა ცალკეული ფაქტები, გაგვეანალიზებინა რიგი მოვლენა
და დაგვეზუსტებინა რამდენიმე კათოლიკე მოღვაწის ბიოგ-

რაფიული ცნობები და მათი საქმიანობის დეტალები.

ასეთია ძირითადად წყაროთა ის წრე, რომელსაც ვეყრდნობით წინამდებარე ნაშრომში დასმული საკითხების გამო-საკვლევად. აქ ჩამოთვლილმა წყაროებმა გაგვაბედინა ნაშრომში კონკრეტულად შეგვესწავლა ქართული კულტურის ცენტრის მოღვაწეობა მონტობანში და საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის რიგ საკითხებზე გაგვეკეთებინა განზოგადებული სახის დასკვნები.

საქართველო-საფრანგეთის პოლიტიკური, კულტურული, დიპლომატიური თუ ლიტერატურული ურთიერთობის შესწავლას საქართველოში დიდი ხნის ტრადიცია აქვს. ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესწავლას საფუძველი ჩაუყარა მიხეილ თამარაშვილმა ზემოხსენებული ნაშრომებით. მისი წიგნის „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“ გამოსვლით „...ქართული ისტორიოგრაფია ერთბაშად წინ წავიდა“ (შ. ლომსაძე, მიხეილ თამარაშვილი და ქართველი კათოლიკენი, თბ., 1984, გვ. 47). მან გამოქვეყნებისთანავე მიიპყრო ქართველი მეცნიერებისა და ფართო საზოგადოების ყურადღება. მას დიდმა ილიამ „მეორე ქართლის ცხოვრება“ უწოდა. ნაშრომში დიდძალი მასალის საფუძველზე შესწავლილია არა მხოლოდ კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობა საქართველოში და ქართველ კათოლიკეთა ისტორია XIII-XIX საუკუნეების პირველ ნახევარში, არამედ გაშუქებულია დასავლეთ-ევროპის ქვეყნებთან, მათ შორის საფრანგეთთან, ურთიერთობის დიპლომატიური და პოლიტიკური საკითხები. ამ ნაშრომით ნათლად გამოჩნდა, რომ საქართველო, სანამ საბოლოოდ თავის ბედს რუსეთს დაუკავშირებდა, მანამ ხსნასა და მფარველობას დასავლეთ ევროპაში ეძებდა.

1910 წელს რომში ფრანგულ ენაზე გამოვიდა მ. თამარაშვილის მეორე წიგნი: „საქართველოს ეკლესიის ისტორია დასაბამიდან დღემდე“. ამ წიგნში ავტორი ბევრად სცილდება სათაურით განსაზღვრულ შინაარსს. მრავალფეროვანი უცხოური და ქართული მასალების საფუძველზე მ. თამარაშვილმა შეადგინა თავისებური ისტორიული ენციკლოპედია, რომელშიც გაშუქებულია საქართველოს ისტორიისა და სუ-

ლიერი ცხოვრების მრავალი მხარე. ამ „... წიგნის გამოსვლა ფრანგულ ენაზე მოასწავებდა ევროპის ისტორიოგრაფიაში (ქართველოლოგიის კვლევის საკითხებში) ნამდვილ აღმოჩენას და წინ გადადგმულ ნაბიჯს. მაშინ ეს თითქმის ევროპულ ენაზე ქართველის მიერ დაწერილი ერთადერთი უნივერსალური ნაშრომი იყო“. ეს წიგნი „ევროპელი და უცხო მეცნიერებისათვის ნამდვილ სამაგიდო წიგნად გადაიქცა, რასაც მის დიდ მეცნიერულ ღირებულებასთან ერთად განაპირობებს მისი შედგენილობის ხასიათი და მდიდარი ფრანგული ენა“ (შ. ლომსაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 94).

ამ წიგნმა გამოიწვია ევროპის, განსაკუთრებით ფრანგ მეცნიერთა დიდი დაინტერესება საქართველოს უძველესი კულტურით. ეს იქიდანაც ჩანს, რომ რალაც ხუთიოდე თვის განმავლობაში ამ ნაშრომზე 50-ზე მეტი რეცენზია დაინერა ევროპის სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში. წიგნს უმაღლესი შეფასება მისცეს რომის პაპმა და კარდინალებმა. „ის ფაქტი, რომ ამ წიგნზე დიდი იყო მოთხოვნა და მისი რეცენზირების სურვილი, თავისთავად მონშობს, თუ რა დიდი გამოხმაურება ჰქონდა მას მთელ ევროპაში“ (მ. პაპაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 191).

ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად კონსტანტინოპოლსა და მონტობანში ქართული კერების მოღვაწეობა გააშუქა ცნობილმა ისტორიკოსმა შოთა ლომსაძემ („ქართული კულტურის ზოგიერთი კერის შესახებ მე-19 საუკუნის ევროპაში, ჟურნ.: „ცისკარი“, 1962, №7). ამ მცირე მოცულობის ნაშრომში (11 გვ.) პირველწყაროებზე დაყრდნობით ავტორი ცდილობს, გააშუქოს ქართული კულტურის კერის მოღვაწეობა კონსტანტინოპოლში. ნაშრომში საკითხის ღრმა ცოდნითაა წარმოდგენილი, თუ რა მიზეზებმა გამოიწვია ქართველ კათოლიკე მოძღვართა ერთი ნაწილის გადახვეწა უცხოეთში და იქ კულტურული საქმიანობის გაჩაღება. ამასთან დაკავშირებით საინტერესო და მეცნიერულად ანგარიშგასაწევია ავტორის განზოგადებული დასკვნა: „მრავალნაირი სარწმუნოებრივი შეხედულებების მიუხედავად მესხეთის იმდროინდელი საზოგადოებრივი აზრი საჭიროდ სთვლიდა ქართული ენისა და ქართული კულტურის განმტკიცებას და ამით მთლიან სა-

ქართველოს გაერთიანებას. ამ დიდი საქმის მეთაურებად გამოდიოდნენ ქართველი კათოლიკენი და თავიანთი საქმიანობით მაგალითს აძლევდნენ სხვებს. ქართველ კათოლიკეთა ცხოვრების ისტორია ქართული ენისათვის საუკუნოვანი ბრძოლის ისტორია იყო" (იქვე, გვ. 102-103). ამ სტატიაში მონტობანის სავანის საკითხის გაშუქებას სულ ორიოდ გვერდი ეთმობა (იქვე, გვ. 107-108). აღნიშნული სტატია გაფართოებული სახით ავტორმა შეიტანა ნაშრომში „მიხეილ თამარაშვილი და ქართველი კათოლიკენი, თბ., 1984) ამ სოლიდურ გამოკვლევაში მდიდარი საარქივო მასალების (ძირითადად ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისა და ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული) საფუძველზე ავტორი ვრცლად სწავლობს კონსტანტინოპოლის სავანის მოღვაწეობას. გაანალიზებულია ქართველ კათოლიკეთა კულტურული ღვანღმოსილება XIX საუკუნის მეორე ნახევარში. ამ საკითხზე ეს გამოკვლევა არის პირველი სერიოზული ანალიტიკური ხასიათის ნაშრომი ქართულ ისტორიოგრაფიაში. ჩვენთვის ასევე საინტერესო იყო ამავ ავტორის შემდეგი გამოკვლევა: „გვიანი შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიიდან, ახალციხური ქრონიკები, თბ., 1979". მასში შესწავლილია XVI-XIX სს. ქართველ კათოლიკეთა ურთიერთობა უცხოეთის ეკლესიებთან. აქვე წარმოდგენილია ცნობები ცალკეულ ქრონიკებსა და მათ ავტორებზე (იოანე ხუცესი, სტეფანე ნავროზაშვილი, სტეფანე აბინაშვილი, ანტონ ხუციანოი-გოდერიძე, მღებრიშვილი), შეფასებულია აღნიშნულ ქრონიკათა მნიშვნელობა, გარკვეულია ავტორთა ვინაობა, მათი მოღვაწეობის წრე და საქმიანობა, ნაშრომის კვლევით ნაწილში წარმოდგენილია ქართველ კათოლიკეთა კულტურული საქმიანობა კონსტანტინოპოლსა და მონტობანში. ის ფაქტობრივად არ შეიცავს სიახლეს წინანდელ გამოცემებთან შედარებით და მისი ამ ნაშრომში ჩართვა გამოიწვია მოვლენების თანამიმდევრულად წარმოჩენამ. საკუთრივ ამ წიგნში მოცემულმა ქრონიკებმა საშუალება მოგვცა დაგვეზუსტებინა ცალკეული ფაქტები და ამა თუ იმ ქართველ კათოლიკე მოღვაწეთა ბიოგრაფიული დეტალები.

მონტობანში ქართველ კათოლიკეთა კულტურული

მოღვაწეობის საკითხზე საგანგებოდ შეჩერდა პროფ. ილია ტაბალუა თავის სტატიაში: „ქართული კულტურის კერები საფრანგეთში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში“ („მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1978, №1, გვ. 160-176). ავტორმა მონტობანში ქალაქისა და ტარნისა და გარონის დეპარტამენტის არქივებში მოძიებული დოკუმენტური მასალების საფუძველზე ამ სტატიაში მოკლედ გააშუქა ქართული სავანის კულტურული მოღვაწეობის მნიშვნელოვანი ეპიზოდები. ცხადია, ავტორს მის ხელთ არსებულმა მასალებმა საშუალება მისცა ქართველი მკითხველისათვის პირველად ჩვენს ისტორიოგრაფიაში მიენოდებინა მანამდე უცნობი ფაქტები მონტობანში ქართული კერის მოღვაწეობის შესახებ. ამდენად, ი. ტაბალუას ნაშრომით ერთგვარად გამდიდრდა ჩვენი ცოდნა აღნიშნულ საკითხზე. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, შემდეგიც: ავტორი მიზნად არ ისახავდა მის მიერ მოპოვებული მასალების საფუძველზე ვრცელი გამოკვლევის გაკეთებას. ამიტომ აღნიშნული სტატია ძირითადად არის დოკუმენტების მცირე კრებული, რომელსაც თან ახლავს სათანადო მეცნიერული კომენტარები. ამდენად, ეს ნაშრომი ჩვენთვის ერთდროულად წარმოადგენდა გამოკვლევასა და წყაროთა კრებულსაც.

კონსტანტინოპოლში ქართული სავანის მოღვაწეობის შესახებ ჩვენთვის საყურადღებო გამოდგა იტალიელი ავტორის ევგენი დალეჯიო დ'ალესიოს ნაშრომი „ქართველები კონსტანტინოპოლში“ (სტამბული, 1921). ეს წიგნი ფრანგულიდან ქართულ ენაზე თარგმნა და კონსტანტინოპოლის ქართველ კათოლიკეთა სავანის სტამბაში დაბეჭდა 1921 წელს შალვა ვარდიძემ. ამ ნაშრომში ავტორი თურქეთ-საქართველოს ისტორიული ურთიერთობის მოკლე მიმოხილვის ფონზე განიხილავს ქართული სავანის მრავალფეროვან საქმიანობას კონსტანტინოპოლში და წარმოაჩენს ამ საქმეში ქართველი კათოლიკე მოძღვრის პეტრე ხარისჭირაშვილის როლს.

ჩვენთვის საინტერესო ცალკეული საკითხების შესწავლაში დიდი დახმარება გაგვინია ზ. ჭიჭინაძის, პ. იოსელიანის, ზ. ავალიშვილის, ვ. გაბაშვილის, ლ. გრიგოლიას, გ. კილურა-

ძის, ი. ანთელავას, ა. ჯაფარიძის, ვ. დონაძის, შ. ხანთაძის, გ. შარაძის, მ. ეფრემიძის, დ. კოჭორიძის, დ. ფანჩულიძის, მ. პაპაშვილის, ვ. კიკნაძის, დ. პაიჭაძის, ე. მამისთვალისძვის, მ. ნებიერიძის, მ. იამანიძის, ნ. ყურაშვილის, გ. მაისურაძის, მ. დიასამიძის და სხვათა ნაშრომებმა. ქართველ მკვლევართა ნაშრომებთან ერთად ჩვენთვის ძალზე საინტერესო აღმოჩნდა უცხოელ ავტორთა გამოკვლევები. ესენია: პ. ლიჩინის, მ. დელაკრუას, ა. იოანისიანის, ლ. ჟაკუეს, ი. კოვალსკის, ს. გურვიჩის, ა. ბორისოვის, რ. ჟანენის წიგნები თუ სტატიები. ისინი სათანადოდ გამოყენებული და შეფასებულია ნაშრომის შესაბამის ადგილებში. ამიტომ მივიჩნიეთ საჭიროდ, რომ აქ მხოლოდ მათი ჩამოთვლით დავეკმაყოფილებულიყავით.

როგორც კონსტანტინოპოლის, ასევე მონტობანის ქართული სავანის მოღვაწეობის ცალკეული საკითხები შუქდებოდა იმდროინდელ ქართულ პრესაში. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია „ივერიის“, „დროების“, და „ცნობის ფურცელ“-ზე გამოქვეყნებული სტატიები. ამ მცირე მოცულობის შრომებს ხელს არ აწერენ ავტორები. ამიტომ ჩვენ გვიძნელდება მათ ვინაობაზე საუბარი. აღნიშნული მასალებიდან ნათლად ჩანს ევროპულ კულტურაზე მოწინავე ქართული საზოგადოების ორიენტაცია. დასახელებული პრესის, განსაკუთრებით „დროების“, ირგვლივ თავმოყრილი ახალი თაობა ესწრაფოდა ევროპული განათლების მიღებას, ხოლო ქართველ საზოგადოებას სურდა გასცნობოდა და შეესწავლა ევროპის განვითარებული ქვეყნების კულტურა.

საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან

რომთან ურთიერთობის შემდეგ საქართველოს დასავლეთ ევროპის არცერთ ქვეყანასთან არა აქვს ისეთი ხანგრძლივი პოლიტიკურ-კულტურულ ურთიერთობათა ისტორია, როგორც საფრანგეთთან. ეს კავშირები, მართალია, არ ატარებდა რეგულარულ ხასიათს, მაგრამ ცალკეულ მომენტებში საკმაოდ ფართო მასშტაბისა იყო და, გარკვეული გაგებით, აუცილებელ მოვლენას წარმოადგენდა.

ქართულ სამყაროში საფრანგეთზე წარმოდგენა საუკუნეთა სიღრმეში იღებს სათავეს. ჩვენს სინამდვილეში პირველად სიტყვა „ფრანგი“ IX-X სს. წერილობით ძეგლებში გვხვდება. „ცხოვრება წმიდისა ნინოსი“ სხვადასხვა კონტექსტში მოხსენიებულია „ბრანჯნი“, „ბრანჯი“ და სხვ. მაგალითად: „მაშინ იწყეს ტირილად ბრანჯთა მათ ... აღდგეს ბრანჯნი იგი და...“¹. „ესე ბაბილონ მამაი და ემბაზი ბრანჯისაი“².

აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით, წმ. ნინოს ცხოვრებაში მოხსენიებული „ბრანჯნი“ – ფრანგები არიან. „ბრანჯნი“, – წერს იგი ხელნაწერებში ფრანგებად იწოდებიან“ და იქვე განაგრძობს: „ბრანჯნი ჩვენი ძველ ხელნაწერებშიაც ფრანგებად იწოდებიან. მაგალითად, სამეცნიერო აკადემიის მუზეუმის ნინოს ცხოვრებაში (№39) ნათქვამია: ფრანგთა ვ-ლის მიმართ ბრძოლა ჰყვეს ... ბრანჯნი ფრანგები არიან“³.

„ფრანგნი“ კარგადაა ცნობილი დავით აღმაშენებლის

¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ტ. I, ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1963, გვ. 107.

² იქვე, გვ. 109.

³ ივ. ჯავახიშვილი, ანდრია მოციქულისა და წმ. ნინოს მოღვაწეობა საქართველოში. „მოამბე“, თვ. ჟურნალი, 1900, ივნისი, გვ. 18; ვ. გოილაძე, ქართული ეკლესიის სათავეებთან, თბ., 1991, გვ. 96-112.

ისტორიკოსისათვის: „ბრანჯნი“; „ფრანგნი“, „ფრანგეთისანი“... „და იყვნენ მას ჟამსა ბრანჯნი“⁴. „ამას ჟამსა გამოვიდეს ფრანგნი, აღილეს იერუსალიმი და ანტიოქია...“⁵. „მეფენი და ხელმწიფენი ოსეთისანი, ყივჩაღეთისანი, სომხითისა და ფრანგეთისანი, შირვანისა და სპარსეთისანი...“⁶.

„ფრანგებზე“ საუბარია ბასილი ეზოსმოძღვრის „ცხოვრება მეფეთა მეფისა თამარისა-ში“⁷.

„ფრანგები“ მოხსენიებულია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“:

„მოვიდიან შესამკობლად: ქვეყნით ყოველნი სულიერნი.

ტყით ნადირნი, წყალში თევზნი, ზღვით ნიანგნი, ცით ფრინველნი.

ინდოთ, არაბთ, საბერძნეთით, მაშრიყნი და მალრიბელნი,

რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი და მისრითით მეგვიტელნი“⁸.

XII საუკუნის 20-იან წლებამდე ფრანგებსა და ქართველებს შორის უშუალო კონტაქტზე რაიმე ხელშესახები წყაროები არ გაგვაჩნია. ცნობილი ფაქტია, რომ დიდგორის ომში ქართველების მხარეზე იბრძოდა 200 ფრანგი ჯვაროსანი⁹. ეს ამბავი საგულისხმოა იმ თვალსაზრისით, რომ ჯვაროსანთა შორის ქართველებს ყველაზე მჭიდრო კონტაქტები ფრანგებთან უნდა ჰქონოდათ. ჩვენ აქ დანვრილებით არ ვეხებით ჯვა-

⁴ ქართლის ცხოვრება, ტ. I, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, გვ. 73.

⁵ ქართლის ცხოვრება, ტ. I, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, გვ. 325.

⁶ იქვე, გვ. 360.

⁷ ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ.; 1959, გვ. 142, 146.

⁸ შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1986, სტროფი 977.

⁹ ზ. ავალიშვილი, ჯვაროსანთა დროიდან, თბ., 1989, გვ. 46; შ. მესხია, ძლევაი საკვირველი, თბ., 1972, გვ. 107; რ. მეტრეველი, დავით IV აღმაშენებელი, თბ., 1990, გვ. 197.

როსნების საქართველოსთან ურთიერთობის საკითხს. მხოლოდ შევნიშნავთ, რომ პირველი და შემდგომი ოთხი ჯვაროსნული ლაშქრობის მეთაურებისათვის აღმოსავლეთში საქართველო მათ ბუნებრივ მოკავშირედ იყო მიჩნეული. ფრანგი სასულიერო პირი, ჯვაროსანი და მემატიანე ანსო (ანსელუსი) საქართველოს აღმოსავლეთში ქრისტიანთა ბურჯად მიიჩნევდა¹⁰. ამიტომ გასაკვირი არ იყო დიდგორში ფრანგი რაინდების მონაწილეობა. ქართველთა გამარჯვება მათ აღიქვეს როგორც საკუთარი ხეირი. ეს ფრანგი ჯვაროსნების სწორი სვლა იყო, რადგან დიდგორში დამარცხების შემდეგ ილ-ლაზის არ შეეძლო იერიში მიეტანა ანტიოქია-იერუსალიმზე.

როგორც სპეციფიკურ ლიტერატურაშია აღნიშნული, დავით აღმაშენებლის ლაშქარი ფრანგ ჯვაროსნებთან ერთად იბრძოდა იერუსალიმისათვის¹¹. ანა კომნენოსის ცნობით, ქართველთა ლაშქარი ჯვაროსანთა ომში მონაწილეობის მისაღებად გავიდა ზღვაში და დაიღუპა¹². იოანე ბატონიშვილის თანახმად, დავით აღმაშენებლის მიერ ლორეს აღების მეორე წელს საქართველოში დავრიშის სახით ფარულად საქართველოს მეფის სანახავად და „განმსტრობად ივერიისა“ მოსულა იერუსალიმის ფრანგი მეფე ბოლდუინ II (1119-1131). მცირე ხნის შემდეგ იგი ისევ უკან, ფარულადვე გაბრუნებულა. ერთ-ერთი ცნობის თანახმად, დავით აღმაშენებელი ბოლდუინ II-ს ხშირად საჩუქრებს უგზავნიდა¹³.

აღნიშნული ურთიერთობისათვის საგულისხმოა ერთი ცნობაც. „პალესტინის დასავლეთელი (ფრანგი – ს. გ.) მეფეების გოტფრიდ ბულონელის და მისი ძმების ბოლდუინის საფლავები წმ. იოანე მახარებლის ქართულ სამლოცველოში“¹⁴. ასევე გოლგოთაზე „ფრანკები თავის წირვებს ქართველთა

¹⁰ ზ. ავალიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 17.

¹¹ რ. მეტრეველი, დასახ. ნაშრ., გვ. 295.

¹² Иоселиани П., Краткая история Грузинской церкви, изд. 2-ое, СПб., 1843, გვ. 72-73.

¹³ ზ. ავალიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 48.

¹⁴ გ. ფერაძე, უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ, თბ., 1995, გვ. 63.

შემდეგ ასრულებენ"¹⁵.

ამავე პერიოდში მოხდა საფრანგეთ-საქართველოს შორის თავისებური შეხვედრაც. ხსენებული ანსოს ცნობით, მან 1108 წელს იერუსალიმში შეიძინა დავით აღმაშენებლის ნაქონი ჯვარი, რომელიც გადმოცემის მიხედვით, „ძელიცხოვლის“ ნანილებიდან იყო ამოღებული. მან ეს რელიქვია გაგზავნა საფრანგეთში, რომელიც 1109 წლის 30 ივლისს, პარასკევ დღეს ჯერ დაასვენეს სენ-კლუს ეკლესიაში, ხოლო კვირა დღეს, 1 აგვისტოს ეს ჯვარი დიდი ზეიმით გადაასვენეს პარიზის ლეთისმშობლის ტაძარში. დასახელებული ჯვარი გადაიქცა ფრანგების უდიდესი პატივისცემის ობიექტად და იგი რამდენიმე საუკუნის მანძილზე ინახებოდა იქ. რაც შეეხება ანსელუსის წერილებს, სადაც ამ ჯვრის დიდი ღირსების შესახებაა ნათქვამი, ჯვართან ერთად საუკუნეების მანძილზე დაცული ყოფილა პარიზის ლეთისმშობლის ტაძარში და არაერთხელ გამოქვეყნებულა ევროპაში, როგორც ლათინურ, ასევე ფრანგულ ენებზედაც¹⁶.

იმდროინდელი საქართველოს ურთიერთობა ფრანგ ჯვაროსნებთან და შესაბამისად დავით აღმაშენებლის საქართველოს სიძლიერე აისახა ფრანგ მემატრიანეთა თხზულებებში. მაგ.: ანტიოქიის ფრანგული სამთავროს მნიგნობარი გოტიე, თავის ნაშრომში „ანტიოქიის ომები“ – მეორე თავში ეხება დიდგორის ბრძოლას. რაც მთავარია, ფრანგი კანცლერი იმ პერიოდში აცნობდა ევროპას ქართველების გმირულ ბრძოლას უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ, რაც უდავოდ დიდ ინტერესს იწვევდა ევროპელებში, კერძოდ, ფრანგებში.

ჯვაროსნული ომების ხანაში საქართველოს ფრანგ რაინდებთან თავისებური ურთიერთობის ეპიზოდია ლაშქრობის დროს არსებული ორმხრივი კონტაქტები, ცნობილია, რომ 1218 წლის გაზაფხულზე ჯვაროსნები ეგვიპტის მნიშვნელოვან სავაჭრო და სამხედრო ქალაქ დამიეტას მიადგნენ, 17 თვის ალყის შემდეგ ქალაქი 1219 წლის 5 ნოემბერს დაეცა.

¹⁵ იქვე, გვ. 39.

¹⁶ შ. მესხია, შოთა რუსთაველის ეპოქა, კრებ: „შოთა რუსთაველი“.

ჩვენი აზრით, ფრანგი ჯვაროსნების მიერ დამიეტას აღებამდე რომის პაპის ლეგატმა პელაგიოსმა ლაშა-გიორგის მისწერა წერილი სამხედრო დახმარების შესახებ. ამის უტყუარ საბუთად მოვიხმობთ რუსუდან დედოფლის წერილს პაპ ჰონორიუს III-სადმი, რომელიც დაწერილია 1224 წ. 12 მაისს. „დამიეტაში მყოფი შენი ლეგატისაგან, – წერს რუსუდანი პაპს – მივიღეთ შენი დიდებული რჩევა და ბრძანება, რათა ძმა ჩემი ქრისტიანების დასახმარებლად წასულიყო. ეს თავად მისი სურვილიც იყო და წასასვლელადაც ემზადებოდა, მაგრამ, თუ თქვენ გაიგეთ, ჩვენს ქვეყანას ბინიერ თათართა ტომი შემოესია და მან დიდი ზარალი მიაყენა ჩვენს ხალხს...“¹⁷.

როგორც ჩანს, გიორგი-ლაშამ ჯვაროსნობა იტვირთა, „ჩვენ ვემზადებოდით, – წერს ივანე მხარგრძელი პაპს, – იარაღის, სურსათის, ცხენებისა და მებრძოლთა საჭირო ბარგით, რათა წამოვსულიყავით ქრისტიანობის დასახმარებლად და წმინდა საფლავის გასათავისუფლებლად“¹⁸. როგორც იორდანუსი აღნიშნავს, „ქართველები ეპისტოლეებით მოუწოდებდნენ ჯვარსონებს ბრძოლისაკენ, აღაფრთოვანებდნენ მათს საბრძოლო სულისკვეთებას და აგულიანებდნენ, გაემრავლებინათ გამარჯვებები. ამასთანავე მიუთითებდნენ, რომ მათთვის სირცხვილი იქნება, თუ არ გადანვავენ დამასკოს, არ დაიმორჩილებენ უწმინდურ ცრუმორწმუნეთა სხვა მთავარ ადგილებს და იარაღით არ შეებრძოლებოდნენ ურწმუნოებს, როგორც ამას ადრე აპირებდნენ მეომრები“¹⁹. ვოლატერანოს ცნობით, იმ დროს, როდესაც დამასკოს მთავარმა ქალაქ დამიეტას ალყა შემოარტყა, მასთან ქართველები მივიდნენ, რათა საღვთო ომში მონაწილეობა მიეღოთ“²⁰. ფრანგი ვენსან დე ბოვე თავის ვრცელ წერილში თანამემამულეებს აუწყებდა, რომ ბრძოლაში განთქმულმა ქართველებმა წერილით მიმარ-

¹⁷ მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა..., გვ. 7; ი. ტაბალუა, საქართველო ევროპის..., ტ. I, გვ. 78.

¹⁸ მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა..., გვ. 9.; ი. ტაბალუა, საქართველო ევროპის..., ტ. I, გვ. 79.

¹⁹ ი. ტაბალუა, საქართველო ევროპის..., ტ. I, გვ. 76.

²⁰ იქვე.

თეს ფრანგ ჯვაროსნებს, რათა მონანილეობა მიეღოთ დამიეტას განთავისუფლებისათვის²¹.

მოხმობილი ნყაროების საფუძველზე შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ლაშა-გიორგიმ პაპის ლეგატ პელაგიოსს წერილობით აუწყა, რომ მონანილეობას მიიღებდა ფრანგ ჯვაროსნებთან ერთად დამიეტას განთავისუფლებაში. ამის შესაბამისად საქართველოში სამხედრო მომზადებაც გაჩაღებულა. ამასობაში ჯვაროსნებმა დამიეტა აიღეს, რამაც საქართველოში დიდი სიხარული გამოიწვია. ახლა ქართველები იმას ნუხდნენ, რომ მონანილეობა ვერ მიიღეს ხსენებულ ოპერაციაში. ვენსან დე ბოვე წერს: „ქართველებისთვის სამარცხვინო იყო იმის ხილვა, თუ როგორ გადმოლახეს ფრანგებმა საშიშროებით აღსავსე უკიდევანო ზღვა, მოვიდნენ ქვეყნის დასალიერიდან და ხანგრძლივი ალყის შემდეგ აიღეს კარგად გამაგრებული ქალაქი, როდესაც თვითონ, ვისთვისაც უფრო ადვილი იქნებოდა სპარსელებთან შებრძოლება, იარაღით აღჭურვილნი არ იპყრობდნენ დამასკოს ან რომელიმე სხვა ცნობილ ადგილს“²².

როგორც ცნობილია, მონღოლთა გამოჩენამ ლაშა-გიორგის ხელი შეუშალა მონანილეობა მიეღო მეხუთე ჯვაროსნულ ლაშქრობაში. ამან გამორიცხა უშუალოდ ქართველებისა და ფრანგი რაინდების ერთობლივი საომარი შეხვედრაც. ცხადია, საქართველო – საფრანგეთის ურთიერთობა უფრო განმტკიცდებოდა, თუ ერთი მხრივ, ჩვენს ქვეყანას მონღოლური ჭირი არ დაატყდებოდა თავს და, მეორე მხრივ, თუ ფრანგები დამიეტას შეინარჩუნებდნენ. ამისი სრული საფუძველი არსებობდა, რადგან მთელი XIII საუკუნის განმავლობაში საქართველო აზიაში მაინც ძლიერ სახელმწიფოდ რჩებოდა.

ამის უტყუარ ფაქტად ფრანგი დიპლომატისა და მოგზაურის რუბრუკვისის ცნობები მეტყველებენ. ცნობილია, რომ VII ჯვაროსნულ ლაშქრობას (1248-1250) საფრანგეთის მეფე ლუი IX მეთაურობდა. მის ლაშქარში იყო ფრანცისკანელი ორ-

²¹ მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესია..., გვ. 473.

²² იქვე, გვ. 473.

დენის ბერი გიომ დე რუბრუკვისი (1220-1293), ნარმოშობით ბელგიელი. იგი საფრანგეთის მეფის ლუი IX-ის დავალებით 1253 წელს აღმოსავლეთის ქვეყნებში გაემგზავრა. მართალია, მისი მთავარი მიზანი იყო მონღოლებთან ჩასვლა, მაგრამ მონღოლეთის შემდეგ მან საქართველო მოინახულა. საინტერესოა ის, რომ საქართველოში იგი შეხვდა ფრანგ მისიონერს ბერნარა კატალინას, რომელიც იქ ადრე ჩამოსულა. რუბრუკვისმა მისგან ბერი საინტერესო ცნობა მიიღო საქართველოს შესახებ, თვითონაც თავი მოუყარა ცნობებს და ყოველივე ეს მიაწოდა ევროპას.

ამის შემდეგ საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობას ჩვენ ვხედავთ XIV საუკუნეში. ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად ისტორიკოსმა ვ. კიკნაძემ გაარკვია საფრანგეთის მეფის ფილიპე VI ვალუას (1328-1350) სამხედრო-პოლიტიკური კავშირის მიზნები გიორგი V ბრწყინვალესთან. ფილიპე VI ვალუამ 1332 წლიდან ინტენსიურად დაიწყო ახალი ჯვაროსნული ლაშქრობის გეგმის შედგენა. „ჯვაროსნული ლაშქრობის მახვილი, ეგვიპტის სულთნის გარდა, ანატოლიაში საკმაოდ მომძლავრებულ თურქთა წინააღმდეგაც იქნებოდა მიმართული, რაც საქართველოსთვისაც ფრიად სასურველი იყო“²³. ამ ჯვაროსნულ ლაშქრობაში საფრანგეთის მეფის მოკავშირეობის წინადადება გიორგი V-ს საქართველოში წერილობით ჩამოუტანეს ფრანცისკანელმა მამებმა²⁴.

საქართველოს მეფემ პატივით მიიღო საფრანგეთის მეფის დესპანები, პატივისცემის ნიშნად წერილი შუბლზე მიიღო და შემდეგ გაეცნო რა მის შინაარსს, ფილიპე VI ვალუასათვის გადასაცემად შემდეგი პასუხი გასცა: „საფრანგეთის მეფეები ხშირად შეაგულიანებდნენ ხოლმე აღმოსავლეთის ხელმწიფეებს სარკინოზების წინააღმდეგ, დაჰპირდებოდნენ რა მათ

²³ ვ. კიკნაძე, საქართველო-ევროპის ურთიერთობის უცნობი ფუნქციები XV საუკუნეში, კრებ.: „მიძღვნა ალექსანდრე ორბელიანის ხსოვნას“, თბ., 1997, გვ. 17-18.

²⁴ ვ. კიკნაძე, საქართველოს ისტორიის ევროპული წყაროები, „მნათობი“, 1983, №4, გვ. 159; ი. ტაბალუა, საქართველო-ევროპის... ტ. III, გვ. 22.

დახმარებას, ხოლო შემდეგ თვითონ არ მიდიოდნენ დასახმარებლად, მიატოვებდნენ რა მათ მარტო ისინი კი ლებულობდნენ სამსუხარო შემდეგებს ასეთი ომიდან. მიუხედავად ამისა, გადაეცით მის უდიდებულესობას – მეფეს, რომ როგორც კი იგი ზღვაზე გადავა, იქვე მნახავს მე მისი განკარგულების შესრულების მიზნით მისულს 30 ათასიანი ლაშქრით”²⁶.

ეს წყარო საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ შემდეგი: გიორგი V ბრწყინვალე იდგა რა რეალური პოლიტიკის ნიადაგზე, შეეცადა გამოეყენებინა საფრანგეთი საქუთარი პოლიტიკის ინსტრუმენტად. მართალია, იგი უარს არ ამბობს ჯვაროსნობაზე, მაგრამ ერთი პირობით: საფრანგეთის მეფემ მაჰმადიანების წინააღმდეგ ბრძოლა რეალური სამხედრო მოქმედებით გამოხატოს. ასეთ შემთხვევაში საქართველოს მეფე უშუალოდ ჩაებმებოდა ჯვაროსნულ ლაშქრობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი იქნებოდა საქართველოს ინტერესების სანინააღმდეგო, რადგან დაარღვევდა მაჰმადიან მეზობლებთან არსებულ სტაბილურ ურთიერთობას.

გიორგი ბრწყინვალეს შემდეგ, ვიდრე 1461 წლამდე, ვერ ვხვდებით საქართველო-საფრანგეთის კონტაქტებს. ეს კონკრეტულად დაკავშირებულია რომის პაპ პიუს II-ის (1458-1464) მიერ დაგეგმილი ანტიოსმალური კოალიციის შექმნის მცდელობასთან. როგორც ცნობილია, პაპმა პიუს II-მ ანტიოსმალური კოალიციის შექმნის მიზნით აღმოსავლეთში და მათ შორის საქართველოში გაგზავნა ლუდოვიკო ბოლონიელის ელჩობა. 1459 წელს პაპის ელჩი საქართველოში ჩამოვიდა²⁶.

ეს საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში ჯეროვნადაა შესწავლილი²⁷ და რამდენადაც იგი ჩვენი კვლევის მიზანს არ

²⁵ ი. ტაბალუა, საქართველო-ვეროპის..., ტ. III, გვ. 22-23; ვ. კიკნაძე, საქართველო-ვეროპის..., გვ. 14.

²⁶ მ. თამარაშვილი, ისტორია..., გვ. 56; მისივე, ქართული ეკლესია..., გვ. 511.

²⁷ დანვრ. იხ.: ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი IV, თბ., 1967; ე. მამისთვალისშვილი, საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XV ს. მეორე ნახევარსა და XVI ს., თბ., 1981; დ. პაიჭაძე, ვეროპის ქვეყნების ანტიოსმალური კოალიცია და სა-

შეადგენს, მასზე აქ არ შევჩერდებით.

სამეფო-სამთავროებად დაშლის გზაზე მყოფი საქართველო აქტიურად გამოეხმაურა პაპ პიუს II-ის მოწოდებას. გადაწყდა, საერთო ძალით ოსმალთა წინააღმდეგ კოალიციის შექმნა. მასში გაერთიანდნენ საქართველოს მეფე გიორგი VIII, სამცხის ათაბაგი ყვარყვარე II, სამეგრელოს მფლობელი ბედიანი და გურიელი.

1460 წლის იანვარში ლუდოვიკო ბოლონიელი რომში დაბრუნდა. მას თან მიჰყავდა გიორგი VIII-ისა და ყვარყვარე ათაბაგის ელჩები – ნიკოლოზ თბილელი და ქუსუდანი (ფარსადან) ახალციხელი²⁸. მკვლევართა მიერ ჯერჯერობით მხოლოდ მიკვლეულია, რომ ნიკოლოზ თბილელს მიჰქონდა გიორგი VIII-ის წერილი ბურგუნდიის ჰერცოგთან, ხოლო ფარსადან ახალციხელს – ყვარყვარე ათაბაგის წერილი იმავე ბურგუნდიის ჰერცოგთან და ვენეციის დოჟთან. ჩვენი აზრით, ელჩებს ასევე მიჰქონდათ ხსენებულ ქართველ პოლიტიკოსთა წერილი რომის პაპთანაც. შეუძლებელია, ანტიოსმალური კოალიციის იდეური მეთაურისადმი ქართველ მეფე-მთავრებს წერილი არ გაეგზავნათ და თავიანთი გეგმები არ ეცნობებინათ. ჩანს, ეს წერილები ან დაიკარგა, ან ისევ არქივებშია დაუნჯებული და მკვლევრებს ელის.

ერთი სიტყვით, 1460 წელს ელჩები რომში ჩავიდნენ. აქ მათ გასახარი არაფერი ელოდათ. ევროპის სახელმწიფოები არასერიოზულად მოეკიდნენ ანტიოსმალური კოალიციის შექმნას. გულგატეხილმა პაპმა ახლა ქართველი ელჩების მეშვეობით სცადა იმის გაკეთება, რასაც თვითონ ვერ მიაღწია. მან ისინი სარეკომენდაციო წერილებით აღჭურვა და გაგზავ-

ქართველო XV ს. 60-იან წლებში. თბ., 1989; ლ. ტარდი, უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI ს. თბ., 1980; მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები (XIV-XVIII სს.), თბ., 1990; მ. პაპაშვილი, საქართველო-ვატიკანის ურთიერთობა XVII-XVIII სს. სადოქტორო დისერტაცია, თბ., 1998, გვ. 42-47; ი. ტაბალუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, ტ. I, თბ., 1984.

²⁸ დ. პაიჭაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 89.

ნა ბურგუნდიის ჰერცოგ ფილიპე II კეთილთან (1419-1467), რათა ყურადღებით მოესმინა მათთვის და არ დაეხანებინა ოსმალთა წინააღმდეგ გამოსვლა²⁹. ჩვენი აზრით, ეს იყო პაპის დიპლომატიური სვლა იმ იმედით, რომ მომავალში წმინდა მამა ისევ დაესახათ აღმოსავლეთის ქრისტიანებს ანტიოსმალური კოალიციის მეთაურად.

1461 წლის მაისში ქართველი ელჩები და ლუდოვიკო ბოლონიელი პარიზში ჩავიდნენ, სადაც შეხვდნენ საფრანგეთის მეფე შარლ VII-ს (1422-1461). მოხუც მეფეზე ანტიოსმალურმა გეგმამ დიდი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. პარიზიდან ელჩები იმავე წლის 23 მაისს ბურგუნდიაში ჩავიდნენ, სადაც ისინი დიდი პატივით მიიღო უგვირგვინო მეფემ – ჰერცოგმა ფილიპე II-მ. მიუხედავად მისი ანტიოსმალური განწყობილებისა, აქაც ელჩებს იმედის გაცრუება ელოდათ.

საფრანგეთში ქართველი ელჩების ყოფნის დროს 1461 წლის 22 ივნისს გარდაიცვალა შარლ VII. ტახტზე ავიდა მისი შვილი ლუი XI (1461-1488). მისი მეფედ კურთხევის ცერემონიალს ქართველი ელჩებიც დაესწრნენ. არც ლუი XI-მ, რომელსაც „არ უყვარდა ომები და არ ენდობოდა წარმატებებს“³⁰, არ უგდო ყური ომის მაძიებელ ელჩებს. ამაოდ დადიოდნენ დიდის ამბით წამოსული ელჩები ევროპაში და ბოლოს, იმედგაცრუებულნი სამშობლოში დაბრუნდნენ.

საფრანგეთთან საქართველოს ურთიერთობის ნიადაგს თვისობრივად ახალ საფუძველს უყრიდა ოდიშის მთავრის ლევან II დადიანის (1611-1657) მცდელობა, რომ სამთავროში დაეფუძნებინა ფრანგ იეზუიტთა მისიონი. ეს მოხდა 1614 წელს შემდეგ კონკრეტულ ვითარებაში: ირან-ოსმალეთის 1603-1612 წლების ომის დროს ოდიშისა და გურიის მთავრებმა ოსმალეთს ხარკი შეუნყვიტეს და აშკარა ურჩობის გზას დაადგნენ³¹. სულთანმა გურიისა და სამეგრელოს დამორჩილების მიზნით ნაცადი ხერხი იხმარა და საქართველოს შავი

²⁹ დ. პაიჭაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 100.

³⁰ История дипломатии, т. I, М., 1941, გვ. 150.

³¹ ი. ანთელავა, ლევან II დადიანი, თბ., 1990, გვ. 49.

ზღვის სანაპიროების ბლოკადა მოაწყო. შეწყდა მარილისა და რკინის შემოზიდვა სამთავროებში³². ამ მძიმე გარემოებას ისე შეუწუხებია მთავრები, რომ მათ 1614 წლის გაზაფხულზე ელჩები გაუგზავნიათ სტამბულში მოსალაპარაკებლად და ზავის დასადებად³³. „მაგრამ ეტყობა სულთნის მიერ წამოყენებული პირობები მეტად სამძიმო ყოფილა, რადგან ქართველ ელჩებს თანხმობის მიცემისაგან თავი შეუკავებიათ და ხელცარიელი დაბრუნებულან“³⁴.

წყაროების მიხედვით, სამეგრელოდან კონსტანტინოპოლში გაგზავნილ დესპანს ასევე ევალეზობდა „ლათინთა მისიონერების მოყვანა სამთავროში“³⁵. ამ საკითხებზე დესპანს მიუძმართავს კონსტანტინოპოლში საფრანგეთის ელჩ ბარონ დე სანისისათვის, რომელთანაც ყოფილა დაახლოებული. „საფრანგეთის ელჩსაც იეზუიტების უფროსისათვის მიუძმართავს და დაურწმუნებია, მეგრელთა ელჩი რასაც გპირდება, ყოველივე ასრულებული იქნებაო. ამასაც ორი იეზუიტი დაუნიშნავს სამეგრელოში წასასვლელად“³⁶. ესენი იყვნენ ფრანგი იეზუიტი მისიონერები ლუი გრანჟე და ეტიენ ვიო³⁷. საფრანგეთის ელჩმა ყველაფერი იღონა ამ მისიონერების სამეგრელოში გამოგზავნისათვის³⁸.

ამ წყაროზე დაყრდნობით ვსვამთ ორ კითხვას: 1. რა მიზნით იწვევდა ლევან II დადიანი სამეგრელოში ფრანგ კათოლიკე მისიონერებს? და 2. რატომ იყო საფრანგეთის ელჩი დაინტერესებული საქართველოში კათოლიკური მისიის და-

³² ს. როდონაია, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVII ს-ის I ნახევარში, თბ., 1961, გვ. 10; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 299.

³³ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 299.

³⁴ ს. როდონაია, დასახ. ნაშრ., გვ. 10.

³⁵ მ. თამარაშვილი, ისტორია..., გვ. 134.

³⁶ იქვე, გვ. 134; ვინჩენცო პოჯი, იეზუიტები და საქართველო, ჟურნ.: „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1991, №2, გვ. 73.

³⁷ ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის..., ტ. II, გვ. 35; ვინჩენცო პოჯი, დასახ. ნაშრ., გვ. 71, 73.

³⁸ ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის..., ტ. II, გვ. 37; მ. თამარაშვილი, ისტორია..., გვ. 135; ვინჩენცო პოჯი, დასახ. ნაშრ., გვ. 73.

არსებით?

სანამ ვუპასუხებდეთ პირველ კითხვას, მანამ აღვნიშნავთ: ჩვენს ხელთ არ არის სხვა გარკვეული სახის ცნობები იმის შესახებ, თუ როგორი კონტაქტები ჰქონდა ლევან II დადიანს საფრანგეთის ელჩთან კონსტანტინოპოლში, ან როგორ ვითარდებოდა მათ შორის შემდგომი ურთიერთობები. ზემოთ მოყვანილი ცნობა მხოლოდ საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ლევან დადიანმა შემთხვევით არ შეარჩია საფრანგეთის ელჩი კონსტანტინოპოლში. ამას ჰქონდა გარკვეული პოლიტიკური მიზანი, კერძოდ, შესაძლებელია, იგი ცდილობდა, ოსმალეთთან ზავის დადების საქმეში გამოეყენებინა საფრანგეთის ელჩის გავლენა სულთანის კარზე.

ასევე გარკვეული მონაცემების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ლევან დადიანის საფრანგეთის ელჩთან კონტაქტი ემყარებოდა მომავალში საფრანგეთთან კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობის შესაძლებელ განვითარებას. ამ ვარაუდს გვიდასტურებს ლუი გრანჟეს სიტყვები: „მთავარმა ჩვენ გვითხრა, რომ ბევრი გაუგონია ჩვენს შესახებ, რომ ჩვენ კეთილგანწყობით ვიქნებით მიღებული მის ქვეყანაში, რომ მან იცის ჩვენი გეგმები და რომ სხვა დროს იგი უფრო დიდხანს გვესაუბრება დასავლეთის საქმეებზე, საფრანგეთის მეფესა და მის ელჩზე კონსტანტინოპოლში. შემდეგ დაგეპირდა, რომ ყველაფერს შეგვისრულებდა, რაც გვსურდა“³⁹.

უეჭველია, ეს ციტირებული ადგილი კარგად აჩვენებს, რომ ლევან დადიანი არა მხოლოდ დიდად აფასებდა დასავლეთთან ნებისმიერ პოლიტიკურ კონტაქტებს, არამედ მზად იყო ისინი თავის კონკრეტულ გეგმებში გამოეყენებინა. ამიტომ ჩვენ გვიჭირს დავეთანხმოთ იტალიელ იეზუიტ მკვლევარს ვინჩენცო პოჯის, რომ „ამ ექსპედიციის ერთადერთ მიზანს წარმოადგენდა სამეგრელოს მეფის – ლევან დადიანის სურვილი – მის ქვეშევრდომებს „ფრანკი“ მღვდლები ჰყოლო-

³⁹ ი. ტაბალუა, საქართველო-ევროპის..., ტ. II, გვ. 52.

დათ⁴⁰.

ყოველივე ამის შემდეგ ჩვენს მიერ ზემოთ დასმულ პირველ კითხვას ვპასუხობთ: ლევან დადიანის მიერ სამეგრელოში ფრანგი იეზუიტი მისიონერების მოწვევას ჰქონდა მხოლოდ პოლიტიკური მიზანი. ერთი მხრივ, ეს მისიონერები პირობითად შეიძლება მივიჩნიოთ საფრანგეთის დიპლომატიურ წარმომადგენლებად სამთავროში, ხოლო მეორე მხრივ – ისინი მთავარს საფრანგეთში და ვატიკანში თავისი მიზნების საქმროებისათვის შეეძლო გამოეყენებინა. ასევე მათ მთავარი იწვევდა სამთავროში კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის გასაშლელად.

რაც შეეხება ზემოთ დასახელებულ მეორე კითხვას, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ საფრანგეთის კონსტანტინოპოლელმა ელჩმა მოხერხებულად გამოიყენა სამეგრელოს მთავრის თხოვნა მისიონერების გამოგზავნის შესახებ. ცნობილია, რომ საფრანგეთი, როგორც კათოლიკურ ეკლესიაზე პატრონატის უფლების მქონე ქვეყანა, მფარველობას უწევდა მისიონერთა საქმიანობას და რომის კურიისაგან დამოუკიდებლად შეეძლო თავისი შეხედულებისამებრ გაეგზავნა პატრები ამა თუ იმ ქვეყანაში. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ XVII ს-ის 20-40-იან წლებში საფრანგეთმა კარდინალ რიშელიესა და მაზარინის მცდელობით ენერგიულად აიღო ხელში მისიონერული პოლიტიკის ხელმძღვანელობა⁴¹, ცხადია, საფრანგეთის ელჩმა კონსტანტინოპოლში ლევან II დადიანის თხოვნის საფუძველზე ხელიდან არ გაუშვა შესაძლებლობა, კურიისაგან დამოუკიდებლად სამეგრელოში დაეარსებინა იეზუიტთა მისია. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ ზუსტად ერთი საუკუნის შემდეგ, ლუი XIV-ის მთავრობა ცდილობდა, „ვატიკანისთვის მეტოქეობა გაენია სამეგრელოში მისიის დაარსების საქმეში“⁴².

⁴⁰ ვინჩენცო პოჯი, დასახ. ნაშრ., გვ. 73.

⁴¹ Histoire Universelle des missions catholiques (sous la dir. de mgr. s Delacroix), Paris, 1957, t2, გვ. 141.

⁴² ღონ კრისტეფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართვე-

აქვე უნდა აღინიშნოს შემდეგიც: როგორც არაპირდაპირი წყაროები მოწმობენ, მჭიდრო კავშირი არსებობდა ლევან დადიანსა და კონსტანტინოპოლში საფრანგეთის ელჩ დე ლა ე-ს შორის. კასტელის ერთ-ერთი ნახატის მიხედვით (მასში ასახულია კონსტანტინოპოლში საფრანგეთის, პოლონეთისა და საქართველოს ელჩთა ბანკეტი) კონსტანტინოპოლში საფრანგეთის საელჩოში გამართულ ბანკეტზე 'მონვეული იყო ლევან დადიანის ელჩი პოჯური (ეუჩი სოლოკია)⁴³ თუ პაგურია ჩოლოხია⁴⁴. ეს უკანასკნელი სადღეგრძელოს ამბობს „საქართველოსა (იმერეთისა და გურიის ორ ხაზგასმა ჩვენია) და სამეგრელოს მეფეების მისამართით“ თავის მხრივ „საფრანგეთის ელჩი საჩუქრებს უგზავნის სამეგრელოს მეფეს“⁴⁵. სხვაგან კასტელი წერს: „ბატონი ელჩი (დე ლა ე - ხაზგასმა ჩვენია) ჩემი გულისთვის ხშირად იწვევდნენ სტუმრად გურიის მთავრის, იმერეთის მეფისა და სამეგრელოს მეფის ელჩებს, რომლებიც იმ დროს კონსტანტინოპოლში იმყოფებოდნენ“⁴⁶. იმავე კასტელის ცნობით, „ფრანგი ექიმები ცხოვრობდნენ სამეგრელოს მთავრის სასახლესთან“⁴⁷.

ჩვენი აზრით, სამეგრელოს სამთავროსთან ურთიერთობის დამყარების ინიციატივა მომდინარეობდა საფრანგეთის ელჩ დე ლა ე-სგან კონსტანტინოპოლში, რომელიც „...მთელი ოცი წლის მანძილზე კავკასიის ტერიტორიაზე არსებულ თეატინელთა ყველა რეზიდენციასთან მჭიდრო მეგობრული კავშირი ჰქონდა“⁴⁸. ამგვარად, შეიძლება ვთქვათ, რომ XVII საუკუნის I ნახევარში საქართველოსა და საფრანგეთს შორის

ლოს შესახებ, ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბუჟან გიორგაძემ, თბ., 1976, გვ. 106.

⁴³ იქვე.

⁴⁴ Licini P. A. Carteggio inedito di D. Cristoforo Castelli Chierico Regolare Missionario in Georgia e Mingrelia (Stamp. MD), XXI della collana "Ricerche sull' Architettura Armena e Georgiana", Milano, 1980, p. 107.

⁴⁵ დონ კრისტეფორო დე კასტელი, დასახ. ნაშრ., გვ. 106.

⁴⁶ Licini P. A. დასახ. ნაშრ., გვ. 117.

⁴⁷ იქვე.

⁴⁸ Licini P. A. დასახ. ნაშრ., გვ. 18.

ისახებოდა მჭიდრო ურთიერთობის პერსპექტივები, რომელსაც განაპირობებდა კათოლიკე მისიონერებისადმი ფრანგი მესვეურების მფარველობა.

სამწუხაროდ, აღნიშნულმა ურთიერთობამ ვერ ჰპოვა სრული განვითარება. წყაროებიდან ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ ის, რომ ფრანგი მისიონერები ლუი გრანჟე და ეტიენ ვიო 1615 წლის თებერვალში ჩამოვიდნენ სამეგრელოში, სადაც ისინი გულთბილად მიიღეს. მთავარმა მათ აღუთქვა, რომ ყველაფერს აუსრულებდა. ეპისკოპოსმა მაკარიოსმა კი ითავა მათთვის სახლისა და ეკლესიის აგება⁴⁹.

ლუი გრანჟემ და ეტიენ ვიომ ენერგიულად მოკიდეს ხელი მეგრული ენის შესწავლას. მათი მოღვაწეობის გაშლას კარგი პირი უჩანდა, რადგან აქ „რომის ეკლესიისადმი სიმპათიას“ იჩენდნენ. სამწუხაროდ, ფრანგ იეზუიტ მისიონერთა მოღვაწეობა ხანმოკლე აღმოჩნდა. მოქვეში, სადაც ისინი შეუდგნენ საქმიანობას, მალე ქოლერა გაჩნდა. მან იმსხვერპლა ეტიენ ვიო. ავად გახდა ლუი გრანჟეც. იგი გაეშურა კონსტანტინოპოლში, რათა იქ ემკურნალა და კვლავ დაბრუნებულიყო სამეგრელოში მრავალრიცხოვანი თანამოსაქმეებით. მან კონსტანტინოპოლამდე კი ჩააღწია, მაგრამ მომდევნო ღამეს სული დალია⁵⁰. „ამის გამო გული გატეხია იეზუიტთა ორდენს და ამ წამონყებაზე უარი უთქვამთ“⁵¹.

ერთი სიტყვით, XVII ს-ის I ნახევარში საფრანგეთ-საქართველოს შორის დასახულმა ურთიერთობამ ვერ ჰპოვა შემდგომი განვითარება. მხოლოდ ერთი საუკუნის შემდეგ, XVIII ს-ის I მეოთხედში ამ კავშირმა თვისობრივად ახალი შინაარსი შეიძინა, თუმცა ეს არ ნიშნავდა იმას, რომ აღნიშნულ პერიოდში საქართველოსადმი ინტერესი დაკარგა საფრანგეთმა. დასავლეთს მონყვეტილი ჩვენი ქვეყნისათვის პოლიტიკურად სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში კათოლიკე მისიონერების, კერძოდ ფრანგი მამების მოღვაწეობას. გარ-

⁴⁹ ი. ტაბალუა, საქართველო ევროპის..., ტ. II, გვ. 53-54.

⁵⁰ იქვე.

⁵¹ Archangelo Lamberti, დასახ. ნაშრ., გვ. 43.

და იმისა, რომ ისინი ეწეოდნენ სამისიონერო საქმიანობას, ხელს უწყობდნენ საქართველოში ევროპული კულტურის და-
ნერგვას. ამავე დროს საქართველოს აცნობდნენ ევროპას და
მათ თხზულებებში დღეს ისეთ ცნობებს ვპოულობთ ჩვენი
ქვეყნის შესახებ, რომლებიც უმრავლეს შემთხვევაში პირველ-
წყაროს როლს ასრულებენ საქართველოს ისტორიის შესწავ-
ლაში.

აღნიშნული თვალსაზრისით განსაკუთრებით უნდა აღვ-
ნიშნოთ ისეთი ფრანგი მისიონრები, მოგზაურები, მეცნიერე-
ბი, ვაჭრები და დიპლომატები, როგორიცაა: სანსონი, პიერ
ფილიპე ავრილი, ჟან-ბატისტ ტავერნიე (1603-1689), ჟან შარ-
დენი (1643-1713), ჟოზეფ პიტონ დე ტურნეფორი (1656-1708),
ჟან ფრანსუა გამბა, ვიქტორ ლეტელიე, გრაფი ფერერ სოვბე-
ფი, ლე გუა დიუპრე და სხვანი. ჩვენ აქ არ შევუდგებით ამ
შრომების წყაროთმცოდნეობით ანალიზს ან მათ მნიშვნელო-
ბაზე დაწვრილებით საუბარს.

ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგადაა ცნობილი და სა-
თანადოდ შეფასებული ჟან ბატისტ ტავერნიეს, ჟან შარდე-
ნის, ჟ. პ. დე ტურნეფორის, ჟან ფრანსუა გამბას და ვიქტორ
ლეტელიეს შრომები. ჩვენი მიზნებიდან გამომდინარე მხო-
ლოდ ვიტყვიტ შემდეგს: ხსენებულ ავტორთა თხზულებებსა
თუ სამახსოვრო ბარათებში საქართველოს შესახებ მოცემუ-
ლი ცნობები, რომლებიც თავის დროზე გამოქვეყნდა საფრან-
გეთში, ნათლად მონშობენ საფრანგეთის საქართველოთი და-
ინტერესების უტყუარ ფაქტს XVII ს-ის მეორე ნახევარსა და
XVIII ს-ის I მეოთხედში.

როგორც სათანადო ადგილას აღვნიშნეთ, საქართველო-
საფრანგეთის ურთიერთობაში არსებითად ახალი პერიოდი
დაიწყო XVIII ს-ის პირველ მეოთხედში. ეს უკავშირდება სულ-
ხან-საბა ორბელიანის დიპლომატიური მისიით ელჩობას საფ-
რანგეთში. ეს საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში სათანა-
დოდაა შეფასებული და გაანალიზებული. წინამდებარე ნაშ-
რომში ჩვენ არ განვიხილავთ ამ ელჩობის მიზნებსა და ამოცა-
ნებს. მხოლოდ საგანგებოდ შევჩერდებით მის კულტურულ
მიზნებზე, რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიაში ყურადღე-

ბის მიღმაა დარჩენილი.

ცნობილია, რომ ირანში ტყვედ მყოფმა ქართლის მეფე ვახტანგ VI-მ 1713 წლის 17 ნოემბერს საფრანგეთსა და რომში წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით დიპლომატიური მისიით გაგზავნა სულხან-საბა ორბელიანი⁵². ვეთანხმებით რა ამ აზრს, ჩვენის მხრივ დავამატებდით: გამოქვეყნებული მასალები⁵³ გვაძლევს საფუძველს ვთქვათ, რომ სულხან-საბა ორბელიანს ფრანგი პოლიტიკური მოღვაწეების წინაშე ევალეზობდა არა მარტო „სათხოვარი“ ირანის ტყვეობიდან ვახტანგის განთავისუფლების შესახებ, არამედ საქართველო-საფრანგეთის მომავალი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის ფორმების ჩამოყალიბება. აქედან გამომდინარე მიგვაჩნია: ვახტანგ VI-ის ფრანგული პოლიტიკის მიზანი იმაში მდგომარეობდა, რომ გამოეყვინა, თუ რა სარგებლობის მიღება შეეძლო საქართველოს საფრანგეთისაგან თავის საშინაო და საგარეო პოლიტიკური ამოცანების გადაჭრის საქმეში. ამიტომ შექმნილ კონკრეტულ ვითარებაში ვახტანგ VI-მ გარკვეული მნიშვნელობა მიანიჭა ირანის ტყვეობიდან საფრანგეთის საშუალებით თავდახსნის გზას. თუ საფრანგეთი ამ მიმართულებით პრაქტიკულ ნაბიჯს გადადგამდა და ქართლის ტახტზე ვახტანგი ქრისტიანად ავიდოდა, მაშინ იგი საფრანგეთის მეფისა და რომის პაპის მტკიცე დასაყრდენი იქნებოდა აღმოსავლეთში⁵⁴.

ქართველი ელჩი სულხან-საბა ორბელიანი საფრანგეთის სამეფო კარზე დიდი პატივით მიიღეს. მეფე ლუი XIV-მ ორჯერ მისცა აუდიენცია (1714 წლის აპრილი, მაისი) სულ-

⁵² ი. ტაბალუა, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), თბ., 1972, გვ. 351; მისივე, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა 1917-1921 წწ. ტ. I, თბ., 1996, გვ. 30; მ. პაპაშვილი, საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), თბ., 1992, გვ. 140; მისივე, საქართველო-რომის ურთიერთობა VI-XX სს. თბ., 1995, გვ. 252.

⁵³ ი. ტაბალუა, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა 1917-1921 წლებში..., გვ. 156-175.

ხან-საბას. ამ შეხვედრების დროს განხილულ იქნა საფრანგეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის საკითხები. მეორე აუდიენციის შემდეგ შემუშავდა საქართველო-საფრანგეთის შეთანხმების პროექტი, რომელსაც საფუძვლად დაედო მარსელში ქართველი ელჩის მონანილეობით შედგენილი ვრცელი მემორანდუმი. ეს დოკუმენტი დათარიღებულია 1714 წლის 25 აპრილით⁵⁵.

ამ მემორანდუმში ანუ პროექტში ჩამოყალიბებულია საფრანგეთ-საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და კულტურული ურთიერთობის საკითხები. ეს დიპლომატიური დოკუმენტი იწყება იმის მოტივირებით, თუ რა სარგებლობა შეიძლება მოუტანოს საფრანგეთს სულხან-საბას წინადადებებმა, თუ საქართველოში კათოლიკური სარწმუნოება გავრცელდებოდა. ამას შეეძლო „ძირს დაეცა ჰოლანდიელების ვაჭრობა... გაენია მათთვის კონკურენცია ინდოეთში, მოწინებით ჰყოლოდა იქ პორტუგალიელები, აეძულებინა ინგლისელები, ეშინოდეთ... და ასე იყოლიონ თურქები და სპარსელები ერთგვარ დამოკიდებულებაში“. ამისთვის წინადაგი მომნიჭებულია როგორც სარწმუნოების, ასევე ვაჭრობის მხრივ“. მაგრამ საფრანგეთმა ეს მიზნები უნდა" დამალოს..., რათა არ იქნეს გამოწვეული ადგილებზე (თურქეთსა და ირანში – ხაზგასმა ჩვენია) არავითარი ყურადღება ან ეჭვი იმ სახელმწიფოების მხრიდან, რომლებსაც ეს შეიძლება აინტერესებდეს შემდგომში"⁵⁶. აქედან გამომდინარე, ცხადია, აღმოსავლეთში საფრანგეთის სავაჭრო კაპიტალი კათოლიკე მისიონერების საშუალებით აპირებდა გზის გაკაფვას აღმოსავლეთში და რამდენადაც საფრანგეთს გზა მოჭრილი ჰქონდა სამხრეთში ინგლისისა და ჰოლანდიის მიერ, ფრანგი პოლიტიკოსები ცდილობდნენ ჩრდილოეთიდან შემოვლას.

რაც შეეხება იმას, რომ სულხან-საბა „გულით მეტად

⁵⁴ მ. პაპაშვილი, საქართველოს საგარეო..., გვ. 140-141.

⁵⁵ დაწვრ. იხ.: ი. ტაბალუა, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა 1917-1921 წლებში, გვ. 156-175.

⁵⁶ იქვე, გვ. 156.

განწყობილია რომის კათოლიკური სარწმუნოებისადმი იმ იმედით, რომ მასში გააერთიანოს თავისი ქვეყნის ყველა ხალხი", ხოლო „საქართველოს მეფეს ისე არ სურდა არაფერი, როგორც ის, რომ მიეღო კათოლიკობა", ნათლად ჩანს საქართველოს პოლიტიკურ მომავალთან კათოლიკობის დაკავშირების დიპლომატიური მიზანი.

საფრანგეთ-საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობის განსაზღვრისას მემორანდუმის ავტორი პიერ დ'არნუ ეყრდნობოდა სულხან-საბას წინადადებებს „ვაჭრობის შესახებ". მისი არსი მდგომარეობდა იმაში, რომ „გატარებულ იქნეს საქართველოზე აბრეშუმის, რომელსაც ღებულობდნენ გილანსა და შემახიის პროვინციებში"⁵⁷. ამასთან დაკავშირებით შედგა რუკა, რომლის საშუალებით დადგინდა, თუ რომელი გზით შეიძლებოდა აბრეშუმის გატანა შავი ზღვით. ეს გზა „სამი მეოთხედით შეამცირებდა ტრადიციული გზის მანძილს". პიერ დ'არნუს დაინტერესებაზე, თუ რატომ არ დადიოდნენ საქართველოს გზით სომეხი ვაჭრები, საბა პასუხობდა: სომხები ამ გზას საიმედოდ არ თვლიან და ეს სწორია, რადგან ისინი თავდამსხმელებისაგან არ არიან დაცულნი. გარდა ამისა, არ იყო ქარვასლები. ამიტომ ისინი არ რისკავენ გაიარონ ამ გზით⁵⁸. მაგრამ ქართველი ელჩი გარანტიას იძლეოდა, რომ ვახტანგი „თვითონ წამოიწყებდა ამ ვაჭრობას და ჩაიტანდა აბრეშუმს კონსტანტინოპოლში, თუ იგი შეძლებდა თავის სამშობლოში დაბრუნებას"⁵⁹.

ერთი სიტყვით, ამ პროექტის განხორციელების შემთხვევაში საფრანგეთის ფლოტს კარები გაეღებოდა შავ ზღვაზე. ამით საფრანგეთი მოუახლოვდებოდა საქართველოს და, ჩვენი აზრით, ამ მომავალი ურთიერთობის საფუძვლების მომზადების ერთ-ერთ ამოცანას ისახავდა მიზნად სულხან-საბას დიპლომატიური მისია საფრანგეთში.

⁵⁷ ი. ტაბალუა, საქართველო-საფრანგეთის..., გვ. 156.

⁵⁸ იქვე, გვ. 158.

⁵⁹ იქვე.

მემორანდუმში ჩამოყალიბებული ჩვენთვის საინტერესო სამხედრო პროექტი შემუშავდა საბას გამოთქმული აზრების მიხედვით. ეს უფრო შორს გადადგმული ნაბიჯი იყო. ამ პროექტის მიხედვით, სამხედრო ხელოვნებისა და იმდროინდელი საფრანგეთის ტექნიკის შესასწავლად საქართველოდან ყოველწლიურად უნდა გაეგზავნათ 15 ან 20 „თავადაზნაურული წრიდან გამოსული ყველაზე ღირსეული“ ახალგაზრდა. საქართველოში ფრანგულ კოლეჯში აღზრდილი ქართველ დიდებულთა შვილები სწავლას განაგრძობდნენ მარსელში საზღვაო სამსახურში და ორი წლის გავლის შემდეგ, 2 ან 3 წლით განაწილებოდნენ საფრანგეთის ფლოტში, ფეხოსანთა ან საინჟინრო კორპუსში, სადაც მათ შეეძლოთ ემსახურათ ათი წელი. ამრიგად, 12 წლის გავლის შემდეგ ისინი მიიღებდნენ სრულ განათლებას. ამის შემდეგ საქართველო ყოველწლიურად განაახლებდა თავის კონტინგენტს დიდებულთა ოჯახის 20 ახალგაზრდით.

გარდა ამისა, საფრანგეთს შეეძლო შეეგროვებინა 16 წლის ასაკის ქართველ გლეხთა შორის მოხალისეები, რომლებსაც გაანაწილებდნენ საზღვაო ნაწილებში 20 ან 25 წლის ვადით. გემების მფლობელები მათ მიიღებდნენ, როგორც დაქირავებულს ან მონაფეს, რომლებიც მალე გახდებოდნენ შესანიშნავი საქმის მცოდნეები, ვინაიდან „ეს ხალხი არის რბილი, გონიერი, ბეჯითი და მიჩვეული არიან სამსახურს“⁶⁰.

სულხან-საბას იდეები უფრო შორსაც მიდიოდა. მან საფრანგეთის მეფეს ლუი XIV-ს 8 ან 10 ფრანგი იეზუიტი მისიონერის გამოგზავნა სთხოვა დასავლეთ საქართველოში⁶¹. საკითხი, საქართველოში პარიზის მისიის დაარსების შესახებ წარმატებით გადაწყდა. სულხან-საბას საქართველოში უნდა წაეყვანა იეზუიტებისა და პარიზის სენ-ლაზარის კონგრეგაციის (ამ კონგრეგაციას აფრიკაში ხანგრძლივი მოღვაწეობის გამოცდილება ჰქონდა და მისი წევრები დიდი ავტორიტეტით

⁶⁰ ი. ტაბალუა, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა 1917-1921 წწ., გვ. 164-166.

⁶¹ იქვე, გვ. 137.

სარგებლობდნენ სხვა სასულიერო ორდენის მისიონრებს შორის)⁶² მისიონერები⁶³. კონგრეგაციამ სიამოვნებით მიიღო ეს წინადადება და მაშინვე შეუდგა საქართველოში გასაგზავნი პატრების შერჩევასა და დანიშვნას. რაც შეეხება ლუი XIV ს, მან „სამეგრელოში მისიონის დასაარსებლად გამოჰყო ფონდი ათასი ეკიუ (სხვა წყაროებით 3 ათასი ლირა⁶⁴) ყოველწლიურად სენ-ლაზარის კონგრეგაციიდან ათი მისიონერისა და მისი წინამძღვრების უზრუნველსაყოფად⁶⁵.

ყოველივე ამის შემდეგ დაისმის ორი კითხვა: პირველი, რატომ სურდა სულხან-საბას საქართველოში მაინცდამაინც პარიზის მისიის დაარსება? და მეორე: რატომ უნდოდა მას მხოლოდ ფრანგი იეზუიტი მისიონერების ჩამოყვანა? ჩვენს ხელთ არსებული მასალები ამის შესახებ შემდეგი დასკვნის საშუალებას გვაძლევს:

სულხან-საბას, როგორც განაფულ და შორსმჭვრეტელ დიპლომატს, კარგად ესმოდა, რომ საქართველოში საფრანგეთის მისიის დაარსება წმინდა საეკლესიო კატეგორია იყო, მაგრამ მას ჰქონდა პოლიტიკური გაგებაც. საკუთრივ-საქართველოში პარიზის მისიის დაარსებას მოჰყვებოდა ჩვენს ქვეყანაში საფრანგეთის ინტერესებისა და პოზიციების დამკვიდრება, რადგან კათოლიკე მისიონერთა წინსვლა ამ სახელმწიფოს აქტიური პოლიტიკის გატარების გარეშე წარმოუდგენელი იყო. მოკლედ რომ ვთქვათ, სულხან-საბამ კარგად იცოდა, რომ კათოლიკური ეკლესიის პრაქტიკული მისიონრული საქმიანობა არ არსებობდა კონკრეტული პოლიტიკის გარეშე.

რაც შეეხება საქართველოში მხოლოდ და მხოლოდ

⁶² M. Tamarati, L'Église géorgienne des origines jusqu'a nos jours, Rome, 1910, გვ. 603.

⁶³ ი. ტაბალუა, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა 1917-1921 წწ., გვ. 197; მისივე, საფრანგეთსა და იტალიაში ს.-ს. ორბელიანის დიპლომატიური მისიის ისტორიიდან 1715-1716 წწ. „საისტორიო მოამბე“, თბ., 1987, გვ. 392.

⁶⁴ M. Tamarati, დასახ. ნაშრ., გვ. 605.

⁶⁵ ხელნაწერთა ინსტიტუტი, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №88, ფურც. 43.

იეზუიტთა მისიონრების ჩამოყვანას, ეს გარკვეულ მიზანს ემსახურებოდა. ამასთანავე გავიხსენოთ: იეზუიტთა ორდენი თავისი ფინანსური საშუალებებით ერთადერთი ძლიერი ორდენი იყო. იგი „XVII საუკუნის 80-იანი წლების შუა ხანებიდან მტკიცედ იყო ორიენტირებული თავის აღმოსავლურ პოლიტიკაში საფრანგეთზე“⁶⁶. ასევე აუცილებელია იმ მომენტის გათვალისწინებაც, რომ ლუი XIV ძალიან რელიგიური ადამიანი იყო და არსებული მტკიცე ტრადიციის თანახმად „მეფემზის“ სულიერი მოძღვარი ყოველთვის იეზუიტთა ორდენის წევრი იყო⁶⁷. საფიქრებელია, ამ ფაქტორის გათვალისწინებითაც გადანყვიტა სულხან-საბამ იეზუიტთა ორდენის დაარსება საქართველოში.

ამიტომ იყო, რომ ფრანგ იეზუიტ მისიონრებს, ერთი მხრივ, საქართველოში უნდა დაეარსებინათ სემინარია და კოლეჯი⁶⁸, რითაც ხელს შეუწყობდნენ ქართველ ხალხში ევროპული განათლებისა და კულტურის დანერგვას, ხოლო, მეორე მხრივ – გაავრცელებდნენ კათოლიკობას და საქართველოს ტერიტორიის გავლით გზას გაუკაფავდნენ საფრანგეთის კაპიტალს „სპარსეთთან ვაჭრობაში“⁶⁹. ეს საფუძველს ჩაუყრიდა საქართველოს ეკონომიკურ განვითარებასა და გაძლიერებას, რაც მომავალში შექმნიდა იმის საშუალებას, რომ ქართველ ხალხს საფრანგეთის მხარდაჭერით ნარმატებით ებრძოლა დამოუკიდებლობისათვის.

ასეთია საკითხთა ის წრე, რომელიც ჩვენი კვლევის ინტერესს წარმოადგენდა. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე სულხან-საბა ორბელიანის პარიზში დიპლომატიური მისიის ერთ-ერთ მიზანს შეადგენდა საფრანგეთთან კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის დამყარება. ამ საქმეში ერ-

⁶⁶ Histoire Universelle des missions catholiques, t-2, Paris, 1957, გვ. 163-164.

⁶⁷ Малов В. Н., Людовик XIV; Опыт психологической характеристики, ურნ.: "Новая и новейшая история", 1996 №6, გვ. 167.

⁶⁸ M. Tamarati, დასახ. ნაშრ., გვ. 600.

⁶⁹ ი. ტაბალუა, საფრანგეთსა და იტალიაში..., გვ. 392.

თვეარი ხიდის როლს შეასრულებდნენ მარსელში საზღვაო ფლოტში სასწავლებლად გაგზავნილი ქართველი ახალგაზრდები და საქართველოში იეზუიტთა მიერ დაარსებული სემინარია და კოლეჯი. ამ ფაქტზე დაყრდნობით დავასკვნით: საფრანგეთთან კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის დამყარების პირველ მცდელობას ადგილი ჰქონდა პარიზში სულხან-საბა ორბელიანის დიპლომატიური მოლაპარაკებების დროს და ეს არ ყოფილა შემთხვევითი მოვლენა: ლუი XIV – „მეფე-მზის“ იმდროინდელი საფრანგეთი ქართველი პოლიტიკოსების ერთი ნაწილისათვის და კერძოდ, ვახტანგ VI-სათვის ერთ-ერთი მონინავე კულტურის ქვეყანა იყო მსოფლიოში. ამის ნათელი დასტურია ვახტანგ VI-ის წერილი საკუთარი ელჩისადმი, რომელშიც იგი წერდა: „...ვიმედოვნებ, გექნებათ პატივი იხილოთ უდიდესი და ყველაზე გულუხვი მონარქი დედამინაზე და ყველაზე აყვავებული სამეფო ევროპაში, სადაც ყველაზე განსაკუთრებული იქნება ის, რომ თქვენ ნახავთ ღირსეულ ხალხს“⁷⁰.

ცნობილია, რომ სულხან-საბა ორბელიანის დიპლომატიური მისია საფრანგეთში უშედეგოდ დამთავრდა. ამის მიზეზების გარკვევა-ანალიზი სცილდება ჩვენი კვლევის ჩარჩოებს. ამიტომ აქ მასზე არ შევიჩერდებით. მხოლოდ ვიტყვი: მაღალნიჭიერი დიპლომატის სულხან-საბას წარუმატებელი მოლაპარაკებები საფრანგეთში არ შეიძლება ფუჭად დაკარგულ დროდ ჩავთვალოთ, რადგან მან გამოავლინა, თუ რა უშლიდა ხელს საქართველო-საფრანგეთის დაახლოებას და რაში მდგომარეობდა მათი ინტერესების ერთობა. გარდა ამისა, სულხან-საბას დიპლომატიურ მისიას ჰქონდა დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა, რადგან ქართული დიპლომატია იძენდა გამოცდილებასა და ცოდნას ევროპაში დიპლომატიური მოლაპარაკებების საქმეში. მომავალში ამას განვითარება არ ეწერა ქართული სახელმწიფოებრიობის დაკარგვის გამო.

აღნიშნული ელჩობის წარუმატებლობა არ ნიშნავდა

⁷⁰ ი. ტაბალუა, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა 1917-1921 წწ., გვ. 127.

იმას, რომ საქართველოს მიმართ საფრანგეთმა დაკარგა ინტერესი. ჩვენი ქვეყნის წარსული და თანამედროვე ვითარების შესახებ ფრანგ და ევროპის საზოგადოებას ინფორმაციებს აწვდიდნენ ფრანგი კათოლიკე მისიონერები თუ დიპლომატები. მათ შორის, პირველ რიგში, დავასახელებთ ფრანგ ჟან ანტუან დე სერსოს. მან 1742 წელს პარიზში გამოაქვეყნა ნაშრომი: „თამაზ ყული-ხანის ცხოვრება ანუ ისტორია სპარსეთის უკანასკნელი რევოლუციისა, რომელიც მოხდა 1732 წელს“⁷¹. ავტორი ქართველების შესახებ წერს: „...ქართველები კარგი მინათმოქმედნი არიან... ისინი ძლიერ მებრძოლი ხალხია, რომელიც პლუტარქეს თქმით, ვერასოდეს დაიმორჩილეს ვერც მიდიელებმა, ვერც სპარსელებმა, ვერც ალექსანდრე მაკედონელმა“⁷². სერსო ასევე მიუთითებს ქართველ მებრძოლთა მაღალ რეპუტაციაზე არა მარტო სპარსეთში, არამედ მთელ აზიაში⁷³. ავტორი ვრცლად აღწერს ქართლის მეფეების – გიორგი XI-სა და ქაიხოსრო I-ის ბრძოლებს ავღანელების წინააღმდეგ 1709-1711 წწ. და სიმპატიას ვერ მაღავეს მათ მიმართ.

მართალია ეს ცნობები რაიმე სიახლეს არ შეიცავს ჩვენი ისტორიოგრაფიისათვის, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი იყო იმ თვალსაზრისით, რამდენადაც იგი საქართველოს შესახებ გარკვეულ წარმოდგენას უქმნიდა არა მარტო საფრანგეთს, არამედ ევროპის სხვა ქვეყნებსაც.

ბევრად უფრო მნიშვნელოვანია ფრანგი იურისტის, არქეოლოგის, დიპლომატის შარლ დე პეისონელის (1700-1757) თხზულება „ესსე ახლანდელ მღელვარებაზე სპარსეთსა და საქართველოში“, რომელიც გამოიცა პარიზში 1754 წელს⁷⁴. ავტორი ნამყოფი იყო საქართველოში და კარგად იცნობდა როგორც ჩვენს ქვეყანას, ასევე ირანსაც. ნაშრომი შედგება

⁷¹ [Du Cerceau], Histoire de Thamas Kouli-Kan au histoire de la dernière revolution de Perse arrivée en 1732, Paris, 1742, pp. 266-270.

⁷² [Du Cerceau], დასახ. ნაშრ., გვ. 268.

⁷³ [Du Cerceau], დასახ. ნაშრ., გვ. 266.

⁷⁴ M. de Peyssonel. Fils de cónsul de France à Smyrne. Essai sur les

ორი ნაწილისა და 15 თავისაგან. პეისონელი ევროპულ მკითხველს სთავაზობს საქართველოს სხვადასხვა კუთხის – სამეგრელოს, იმერეთის, კახეთისა და ქართლის გეოგრაფიულ და ისტორიულ მიმოხილვას; აცნობს ქართველი მეფეების წარმომავლობას და მოღვაწეობას. აქვე მოჰყავს მათი ბუნებისა და ზნეჩვეულებების ამსახველი პატარა, მაგრამ ძალზე საინტერესო ეპიზოდები. ავტორი მკითხველი საზოგადოების წინაშე იშვიათი კეთილგანწყობით წარმოადგენს ერეკლე II-ს, რომლის ბედ-იღბლით დაინტერესებულია მთელი ევროპა. „ეს გმირი დაიბადა, რათა ასახელოს თავისი ქვეყანა და მშობლები“⁷⁵. საგანგებოდ შერჩეული პატარა ისტორიებით ავტორი ცდილობს, ნათლად ასახოს ერეკლე მეფის დიდებული წარმოშობა, მისი პიროვნული მხარეები, სამშობლოსადმი სიყვარული, გმირობა და თავდადება⁷⁶.

ამრიგად, შარლ დე პეისონელი XVIII საუკუნის ჩათვლით ერთადერთი ფრანგია, რომელიც სპეციალურ ნაშრომში ასე ვრცლად შეეხო საქართველოს თემას. ამდენად, სრულიად ბუნებრივია, ერეკლე II-ის ევროპულ პოლიტიკაში საფრანგეთთან დაკავშირების მცდელობა⁷⁷. შემთხვევითი არც ის ყოფილა, რომ 1763 წელს პეტერბურგში აკრედიტებული ფრანგი დიპლომატი ბერანჟე ურჩევს საფრანგეთის მთავრობას დაამყაროს კავშირი ერეკლე მეორესთან, რაც, მისი აზრით, ახლო აღმოსავლეთში საფრანგეთის პოლიტიკურ მისწრაფებებს დიდ სარგებლობას მოუტანდა⁷⁸. ერეკლესთან ერთად „დასავლურ ორიენტაციას ავლენს აგრეთვე იმერეთის მეფე, ნიჭიერი პოლიტიკოსი სოლომონ მეორე“⁷⁹.

Troubles de Parse et de Georgie, Paris, 1754.

⁷⁵ ი. ტაბაღუა, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა 1917-1921 წლებში..., გვ. 9.

⁷⁶ მ. იამანიძე, ფრანგი მოგზაურები ერეკლეს II-ის შესახებ, „ცისკარი“, 2000, №8, გვ. 126.

⁷⁷ გ. კილურაძე, საფრანგეთ-საქართველოს ისტორიული და კულტურული ურთიერთობიდან, „მნათობი“, 1971 №1, გვ. 114.

⁷⁸ იქვე.

⁷⁹ იქვე.

საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობაში საინტერესო მომენტი ნაპოლეონ ბონაპარტის აღმოსავლურ პოლიტიკაში ჩვენი ქვეყნის ადგილის განსაზღვრა. ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს საკითხი სათანადოდ შესწავლილია და გაანალიზებულიც⁸⁰. ამიტომ ჩვენ მასზე დანვრლებით აქ არ შევჩერდებით. მხოლოდ აღვნიშნავთ შემდეგს: ნაპოლეონ ბონაპარტის ეგვიპტეში ცნობილი ლაშქრობა, როდესაც მან თურქებს შეუტია, საქართველოში აღიქვეს როგორც საკუთარი სარგებელი, კერძოდ, საქართველოში იმედოვნებდნენ: ნაპოლეონი თურქებს დაამარცხებს და საქართველოს ისტორიულ მიწებს დავიბრუნებთო. საკუთრივ ნაპოლეონს საქართველოს გზა ყველაზე საიმედოდ ესახებოდა ინდოეთში შესაღწევად. სწორედ ამ გეგმასთან კავშირში განხორციელდა ნაპოლეონის წერილობითი ურთიერთობის დამყარება ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII-სთან. წერილის ზუსტი შინაარსი ჩვენთვის ცნობილი არ არის. ნაპოლეონის მიერ გაგზავნილი პიროვნება კი საქართველოს საზღვართან თურქეთის ფაშამ დააკავა და როცა მას ნაპოლეონის წერილი აღმოუჩინეს, თავი მოჰკვეთეს, ხოლო წერილი დანვეს. ასე ჩაიშალა საქართველოსთან კონტაქტის დამყარების პირველი ცდა. მაგრამ ამის მიუხედავად არც ნაპოლეონს შეუწყვეტია ფიქრი საქართველოსთან კავშირის დამყარებაზე და არც საქართველოში დავიწყებით საფრანგეთი.

რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ ქართველი უფლისწულები და იმერეთის მეფე სოლომონ II დიდ იმედებს ამყარებდნენ ნაპოლეონზე. სწერდნენ მას წერილებს და სთხოვდნენ დახმარებას საქართველოდან რუსეთის განდევ-

⁸⁰ დანვრ. იხ.: მ. ეფრემიძე, საფრანგეთ-საქართველოს ურთიერთობის საწყისებთან, ნ. ბარათაშვილის სახ. გორის პედაგოგიკის პროფესორის შრომები, ტ. X, 1965, გვ. 159-176; გ. კილურაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 116-117; შ. ხანთაძე, საინტერესო ქართული ცნობა ნაპოლეონ ბონაპარტის შესახებ, „დროშა“, 1958, №9; ი. ტაბალაშვილი, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (XVIII ს. მინურული XIX ს. დასაწყისი), თბ., 1974.

ნის საქმეში და თუ ნაპოლეონი ამას გააკეთებდა, მაშინ ისინი მის მხარეზე გადავიდოდნენ⁸¹. საგულისხმოა 1805 წლის აგვისტოში თეიმურაზ ბატონიშვილის შეხვედრა ნაპოლეონის ემისარ-გენერალ რომიესთან, რომელიც იმ ხანებში იმპერატორის სპეციალური დავალებით იმყოფებოდა ირანში⁸². ცნობილია ისიც, რომ თეიმურაზ ბატონიშვილს ირანში ელჩად მყოფ ფრანგი გენერალ გარდანისათვის „იტალიურ-სპარსულ-თურქული ლექსიკონი“ შეუდგენია⁸³.

როგორც ცნობილია, რუსეთის წინააღმდეგ ომში ნაპოლეონ ბონაპარტე დამხმარე ძალებს ეძებდა ირანსა და თურქეთში⁸⁴. ამ უკანასკნელთან 1802 წლის ივნისში ხელმოწერილი შეთანხმების თანახმად, საფრანგეთმა მიიღო შავ ზღვაში გემების შეყვანისა და მის სანაპიროს ქვეყნებთან ურთიერთობის უფლება⁸⁵. ერთ-ერთი ასეთი ცენტრი იყო თბილისი⁸⁶. ამიერიდან საქართველოს შესახებ ცნობები რეგულარულად მიეწოდებოდა საფრანგეთს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა სპარსეთში საფრანგეთის ელჩის გენერალ კამილ ტრეზელის (1780-1860)⁸⁷ ცნობები საქართველოზე. მან იმოგზაურა საქართველოში, შეადგინა მის შესახებ ვრცელი ცნობები და ჩაიტანა პარიზში⁸⁸. ხელნაწერ 75 გვერდზე⁸⁹ აისახა საქართვე-

⁸¹ ი. ტაბალუა, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან..., გვ. 13.

⁸² Акты собранные Кавказской Археографической Комиссией (АСКАК), Тифлис, 1866, т. II, გვ. 149.

⁸³ შ. ხანთაძე, თეიმურაზ ბატონიშვილის „იტალიურ-სპარსულ-თურქული ლექსიკონი“, გაზ.: „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1950, №39.

⁸⁴ Иоаннисян А. П., Присоединение Закавказья к России и международные отношения в начале XIX столетия; Ереван, 1958.

⁸⁵ ი. ტაბალუა, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან..., გვ. 15.

⁸⁶ იქვე.

⁸⁷ მის შესახებ იხ.: იქვე, გვ. 19; სქოლიო 57.

⁸⁸ დანვრ. იხ.: ი. ტაბალუა, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან..., გვ. 20-26.

⁸⁹ იქვე, გვ. 19.

ლოს ბუნებრივი პირობები, ზნე-ჩვეულებები და მოკლედ პოლიტიკური მდგომარეობა XVI საუკუნიდან XIX საუკუნის დასაწყისამდე. ჩვენ არ შევუდგებით ამ ცნობების განხილვა-ანალიზს, რადგან ის არ შეადგენს ნაშრომის მიზანს. მხოლოდ მივიტანთ ერთ ცნობას, რომელსაც თანამედროვე უღერადობა აქვს: „თბილისი, – წერს: კ. ტრეზელი, – ეს პირველი ქალაქია, სადაც ჩვენ სიამოვნებით ვვლავ ვპოვეთ ევროპული ზნე-ჩვეულებათა სურათი, მოწყენილებმა აზიის ჩუმ ქალაქებში, ვინრო და ცარიელი ქუჩებით, ცხელი ქვიშით ...ორი წლის განმავლობაში ყოფნით. ჩვენ ხარბად ვტკბებოდით ქრისტიანული ქალაქის მოძრაობით და ათასი სხვა რამით...“⁹⁰. ან კიდევ: „ქართველებს გააჩნია ევროპული ზნე-ჩვეულება, ჩვენი მოუსვენრობა და ჩვენი მოთხოვნილება – ფლობდეს მინას გაცილებით ნაკლები მოცულობით, მაგრამ იმ ცოდნით, რომელიც ჩვენ მალლა გვაყენებს აღმოსავლელელებზე“⁹¹.

საფრანგეთის იმპერატორის ანტირუსული პოლიტიკა და რუსეთის წინააღმდეგ ომის დაწყებისათვის სამზადისი დიდ იმედებს უსახავდა იმერეთის მეფე სოლომონ II-სა და თეიმურაზ და ალექსანდრე ბატონიშვილებს, რომ მისი დახმარებით გაეძევიებინათ რუსეთი საქართველოდან და აღედგინათ ქვეყნის დამოუკიდებლობა. ამას ადასტურებს ის ვრცელი მიწერ-მოწერა, რომელიც მიმდინარეობდა 1809 წლიდან 1811 წლის ჩათვლით ქართველ მესვეურებსა და საფრანგეთის იმპერატორს შორის⁹². როგორც ცნობილია, ნაპოლეონზე დამყარებული იმედები ვერ გამართლდა, თუმცა აღნიშნული ურთიერთობა მნიშვნელოვანი ეტაპი იყო საფრანგეთის საქართველოთი დაინტერესების სფეროში. რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობამ ამ ორმხრივ ინტერესს მოუსპო განვითარების შემდგომი პერსპექტივები.

საფრანგეთის საქართველოთი დაინტერესება არც ნა-

⁹⁰ ი. ტაბალუა, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან..., გვ. 25.

⁹¹ იქვე, გვ. 22.

⁹² დანვრ. იხ.: იქვე, გვ. 30-36.

პოლეონის შემდეგ შეწყვეტილა. ამის დასტურია ის, რომ 1821 წლიდან თითქმის ერთი საუკუნის მანძილზე (1921 წლამდე) თბილისში არსებობდა საფრანგეთის საკონსულო, ხოლო ქუთაისში, ფოთსა და ბათუმში მოღვაწეობდნენ ვიცე-კონსულები⁹³. ჩვენს ქვეყანაში ამ დიპლომატიური წარმომადგენლობის გახსნით საფრანგეთის მთავრობა ცდილობდა, საქართველო ექცია აზიასთან ვაჭრობის ცენტრად. აღმოსავლეთის ქვეყნებთან საქართველოს გავლით ვაჭრობა საფრანგეთისათვის ძალზე მომგებიანი იყო⁹⁴. თბილისის პირველი კონსულის ჟაკ ფრანსუა გამბას (1763-1833) ეს პროექტი⁹⁵ მთელი ერთი საუკუნის მანძილზე საფუძვლად ედო საფრანგეთის პოლიტიკას საქართველოში. ცხადია, საფრანგეთის ასეთი დიპლომატიური წარმომადგენლობის საქმიანობას თან ახლდა საქართველოში ფრანგთა რიცხვის გაზრდა. მაგ.: თუ თბილისში 1828 წელს 64 ფრანგი ცხოვრობდა, 1863 წლისთვის მან მიაღწია - 158-ს⁹⁶.

მთელი აღნიშნული პერიოდის მანძილზე ფრანგი კონსულების, განსაკუთრებით ჟ. გამბას, დე კასტიონის, ლოქსეროს, ტრამეზურის, შ. დე კუტულის, ვიცე-კონსულების რენსის, დელა ტომის, თბილისის საკონსულოს თანამშრომლის, ქართული ენის ჩინებული მცოდნის⁹⁷ ვიქტორ ლეტელიეს და სხვათა წერილებში, მოხსენებით ბარათებსა თუ პროექტებში ძვირფას ცნობებს ვპოულობთ საქართველოს წარსულის, კულტურის, ფლორა-ფაუნის, ნიაღისეული სიმდიდრეებისა და ვაჭრობის შესახებ⁹⁸.

⁹³ დანვრ. იხ.: ი. ტაბალუა, საქართველოში საფრანგეთის კონსულების მოღვაწეობის ისტორიიდან (1821-1921 წწ.) ჟურნ.: „მაცნე“, 1986, №3; მისივე, საქართველო საფრანგეთის ურთიერთობა 1917-1921..., გვ. 366-380.

⁹⁴ ი. ტაბალუა, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა 1917-1921..., გვ. 367.

⁹⁵ იქვე, გვ. 367.

⁹⁶ იქვე, გვ. 369.

⁹⁷ იქვე.

⁹⁸ იქვე, გვ. 367-380.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულის შედეგად დავასკვნით: საფრანგეთის საკონსულოს მოღვაწეობა თბილისში და შესაბამისად ვიცე-საკონსულოების საქმიანობა ქუთაისში, ფოთსა და ბათუმში შეიძლება მივიჩნიოთ რუსეთის მიერ დაპყრობილ საქართველოში საფრანგეთ-საქართველოს შორის გაუფორმებელ დიპლომატიურ ურთიერთობად. საქართველოში რუსეთის დამკვიდრება საფრანგეთის მთავრობას სურდა თავისი სავაჭრო კაპიტალის სასარგებლოდ გამოეყენებინა. ამის მიუხედავად, ევროპას მონყვეტილი საქართველოსთვის აღნიშნულ ურთიერთობას ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ჩვენს ქვეყანაში დასავლური იდეები რუსეთის გარეშეც, ასე თუ ისე საფრანგეთის მეშვეობით გზას იკაფავდა. დასავლეთი, კერძოდ კი საფრანგეთი, ამ ურთიერთობის შედეგად ღრმად ეცნობოდა ქართველი ხალხის წარსულს, თავისუფლებისადმი სიყვარულს, მის წვლილს მსოფლიო კულტურის განვითარების საქმეში და ენეოდა ამის ფართო პროპაგანდას ევროპაში.

აღნიშნული თვალსაზრისით პირველ რიგში უნდა დავასახელოთ შვეიცარიელი ფრანგი დიბუა დე მონპერე (1798-1856). ამ გეოლოგმა, ნატურალისტმა და არქეოლოგმა, რომელმაც ამიერკავკასიაში იმოგზაურა 1833 წელს, აღწერა საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეები. შთამბეჭდავად გადმოგვცა ეთნოგრაფიული მასალები. იგი ავტორია საქართველოს პირველი გეოლოგიური რუკისა⁹⁹. მონპერეს შრომა იმდენად საინტერესოდ ჩათვალეს, რომ იგი საფრანგეთის გეოგრაფიულმა საზოგადოებამ ოქროს მედლით დააჯილდოვა.

საქართველო-საფრანგეთის კულტურულ ურთიერთობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ცნობილი ფრანგი მხატვრის პიერ ბლანშარის ქართულ თემაზე შესრულებულ ოცზე მეტ ნახატს. იგი 1857 წელს ესტუმრა საქართველოს და აქ შექმნილი ნახატების გამოფენაც კი მოაწყო პარიზში 1858 წელს. მხატვრის სურათების ერთი ნაწილი ინახება ზუგდიდის

⁹⁹ ი. ტაბაღუა, საქართველოში საფრანგეთის..., გვ. 10.

სახელმწიფო მუზეუმში¹⁰⁰. საყურადღებოა დე ვილნევის წიგნი „საქართველო“ (1870 წ. პარიზი) მის თავფურცელზე გამოხატულია საქართველოს სამეფო ღერბი. წიგნს დართული აქვს ქართული ანბანი და ბაგრატიონთა სამეფო სახლის გენეალოგიური ტაბულა¹⁰¹.

XIX საუკუნის ფრანგ შემოქმედთა შორის ქართული თემატიკა საკმაო წარმატებით სარგებლობდა. 1864 წელს გამოჩენილმა ფრანგმა კომპოზიტორმა ჟაკ ოფენბახმა დაწერა ოპერეტა „მშვენიერი ქართველი ქალები“; 1890 წელს დაიდგალა ბურგო დუკუდრეს ოპერა „თამარი“, რომლის ლიბერტოს საფუძვლად დაედო თამარ მეფის ცხოვრება. ქართული მოტივები შეიტანა თავის ნაწარმოებში „უცხო შედევი“ და „ოქროსფერთვალებიანი ქალი“ ონორე დე ბალზაკმა¹⁰². აქვე უნდა ითქვას, რომ ამ დიდ მწერალს სურდა კავკასიაში და მათ შორის საქართველოშიც მოგზაურობა¹⁰³.

სრულიად მართებულადაა აღნიშნული სპეციფიკურ ლიტერატურაში, რომ ქართველოლოგიას, როგორც მეცნიერებას, საფუძველი პირველად ფრანგებმა ჩაუყარეს. მაშინ, როცა რუსეთის თვითმპყრობელობა სრულიად უარყოფდა დაპყრობილი ხალხების ისტორიასა და კულტურას, 1822 წელს პარიზში დაარსდა „აზიური საზოგადოება“¹⁰⁴. ამ სამეცნიერო საზოგადოებამ თავისი ბეჭდვითი ორგანოს (ყურნალი „აზიატიკ“) მემვეობით პარიზში დაცული აღმოსავლური, მათ შო-

¹⁰⁰ გ. კილურაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 117.

¹⁰¹ მ. ნებიერიძე, საქართველო-საფრანგეთის კულტურული ურთიერთობანი (XIX ს.), კრებ.: კულტურის ისტორიის საკითხები, V, თბ., 1998, გვ. 115.

¹⁰² გ. კილურაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 118.

¹⁰³ მ. ნებიერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 115.

¹⁰⁴ პარიზის „სააზიო საზოგადოების“ წევრებად არჩეული იყვნენ: 1831 წელს – თეიმურაზ ბატონიშვილი, შემდეგ – ექვთიმე თაყაიშვილი, 1958 წელს – გიორგი შარაშიძე (ქართული ენის კათედრის უფროსი პარიზის აღმოსავლეთის ენების ინსტიტუტში), 1960 წელს – კალისტრატე სალია (პარიზი, ყურნალ „ბედი ქართლისა – რევიუ დე ქართველოლოჟის“ რედაქტორი), 1959 წელს – შალვა ამირანაშვილი, 1973 წელს – ილია ტაბაღლა.

რის ქართული ხელნაწერების მდიდარი კოლექციის მოვლა-პატრონობა ითავა. „ცნობილმა ფრანგმა მეცნიერებმა „აზიური საზოგადოების“ წევრებმა ანტუან ჟან სენ მარტენმა, ჟილ კლაპორტმა, დიუბუა დე მონპერემ და მარი ბროსემ ქართულ კულტურასა და ისტორიას მრავალი საყურადღებო ნაშრომი მიუძღვნეს“¹⁰⁵. მათ შორის აღსანიშნავია აკადემიკოსი მარი ბროსე¹⁰⁶, რომელიც წლების მანძილზე იკვლევდა საქართველოს ისტორიასა და კულტურის საკითხებს. „... ბროსეს სახელთანაა დაკავშირებული ქართული ისტორიოგრაფიული შემოქმედების აღორძინებისა და განვითარების საქმე, რომელიც მისი საფუძველჩამყრელის, ვახუშტი ბაგრატიონის შემდეგ ერთი საუკუნის განმავლობაში, ფაქტობრივად, შეწყვეტილი იყო“¹⁰⁷. საგულისხმოა, რომ ეს უცხოელი მეცნიერ-ორიენტალისტი ერთდროულად ქართული ისტორიოგრაფიის წარმომადგენელიცაა.

ასეთია ძირითად ხაზებში საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორია უძველესი დროიდან XIX ს-ის 70-იან წლებამდე. რამდენადაც ნაშრომისათვის ამ თავს ერთგვარი შესავლის ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული, ჩვენ მიზნად დავისახეთ, გვეჩვენებინა საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ძირითადი ეტაპები. ეს იმ მიზანს ემსახურება, რომ ვაჩვენოთ, თუ რამდენად ბუნებრივი, მშობლიური და მახლობელი იყო საფრანგეთში, მსოფლიო კულტურის ამ „მექაში“, ქართული კულტურის კერის დაარსება XIX საუკუნის 70-იან წლებში.

¹⁰⁵ გ. კილურაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 118.

¹⁰⁶ 1825 წლიდან მარი ბროსე ამ საზოგადოების წევრი იყო, ხოლო 1834 წლიდან კი მისი საბჭოს წევრი.

¹⁰⁷ მარი ბროსეს დაბადებიდან 200 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, თბ., 2002, გვ. 3.

ქართული კულტურის ქერა კონსტანტინოპოლში

როგორც ცნობილია, საქართველოში კათოლიკობამ გზა გაიკაფა XIII საუკუნის 40-იანი წლებიდან (1234წ.). ამ დროიდან მოკიდებული, ვიდრე 1845 წლამდე ჩვენს ქვეყანაში მოღვაწეობდნენ დომინიკელი, ავგუსტინელი, თეატინელი და კაპუჩინთა ორდენის მისიონერები¹. ამასთან დაკავშირებით განზოგადებული ფორმით ვიტყვით: ეს მოწმობდა იმას, რომ საქართველოში ვატიკანის მისიონერული პოლიტიკა მხარდაჭერას პოულობდა ქართველი საერო და სასულიერო მესვეურებისა და ქართველი ხალხისაგან. ამას ჰქონდა თავისი საფუძველი, კერძოდ, რომიდან, როგორც პოლიტიკური და ქრისტიანული სამყაროს სასულიერო ცენტრიდან, ქართველები მოედინებოდნენ ქრისტიანთა ხსნასა და მფარველობას მაჰმადიანური

¹ დანვრ. იხ.: მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი, 1902; მისივე ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995; ი. ტაბალუა, საქართველო ევროპის არქივებსა და ნიგნსაცავებში, ტ. I, თბ., 1984; ტ. II, თბ., 1986; ტ. III, თბ., 1987; რემონ ჟანენი, საქართველო (კათოლიკური ღვთისმეტყველების ენციკლოპედია, ტომი მეექვსე, ნაწილი პირველი, პარიზი, 1924), თბ., 1996; მამა მიქელ თარხნიშვილი, თეატინელი მოციქულები საქართველოში XIII საუკუნეში, კრებ.: „საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან, II, თბ., 1995, გვ. 247-286; ტ. IV-V, თბ., 1999, გვ. 362-398; შ. ლომსაძე, მიხეილ თამარაშვილი და ქართველი კათოლიკენი, თბ., 1984; მისივე, გვიანი შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიიდან (ახალციხური ქრონიკები), თბ., 1979; მ. პაპაშვილი, საქართველო-რომის ურთიერთობა, თბ., 1995; მისივე საქართველო-რომის საეკლესიო და დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიიდან (VI-XIV საუკუნეები), თბ., 1998; მისივე, საქართველო-ვატიკანის ურთიერთობა XVII-XVIII საუკუნეებში, სადოქტორო დისერტაცია, თბ., 1998; მ. ჯავახიშვილი, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ურთიერთობა რომის კათოლიკურ ეკლესიასთან XI-XIV სს-ში, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1997; ე. მამისთვალისშვილი, საქართველოში კათოლიციზმის გავრცელების ცდები და ქართველთა დიპლომატია XVII-XVIII საუკუნეებში, „ქართული დიპლომატია“, ტ. I, 2001.

ირანისა და ოსმალეთის აგრესიისაგან. ამ ფაქტორის შედეგად საქართველოში კათოლიკობამ სერიოზულ წარმატებებს მი-
აღწია. XIV საუკუნის 30-იანი წლებიდან, ვიდრე XVI საუკუნის
10-იან წლებამდე არსებობდა თბილისის კათოლიკეთა საეპის-
კოპოსო. ეს ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ კათოლიკე მისიო-
ნერების მოღვაწეობას ამ ხნის მანძილზე უნაყოფოდ არ ჩაუვ-
ლია. ქართველთა შორის ბევრმა საერო და სასულიერო პირმა
მიიღო კათოლიკობა. ქართველი მესვეურები სრულ თავისუფ-
ლებას აძლევდნენ მისიონრებს კათოლიკური სარწმუნოების
გასავრცელებლად. ამის შედეგი იყო ის, რომ თბილისის კათო-
ლიკურ ეკლესიას ჰყავდა საკუთარი ეპისკოპოსები, რომლე-
ბიც ნიადაგ პაპების შეუწელებელი ყურადღების ცენტრში იყ-
ვნენ².

ირანისა და ოსმალეთის წინააღმდეგ დასავლეთში მო-
კავშირის მაძიებელი საქართველო XVII-XVIII საუკუნეებში
სრულ თავისუფლებას აძლევდა ჩვენს ქვეყანაში თეატინელი
და კაპუჩინი მისიონრების მოღვაწეობას. ამ საკითხის ანა-
ლიზს ჩვენ აქ არ შევუდგებით. ბოლო ხანს ეს პრობლემა ქარ-
თულ ისტორიოგრაფიაში საკმაოდ საფუძვლიანად და სრული
ანალიზითაა წარმოდგენილი პროფ. მ. პაპაშვილისა და სხვათა
ნაშრომებში³. ამჯერად ჩვენი ინტერესი გარკვეულწილად ეხე-
ბა კათოლიკობის გზას სამცხე-ჯავახეთში.

სამცხე-საათაბაგოში, საქართველოს სხვა სამეფო-სამ-
თავროებთან შედარებით, კათოლიკობამ თავისებური გზა
განვლო. საუკუნეების მანძილზე ამ მხარის განამებული ქარ-
თველების მიერ ქრისტიანული სარწმუნოებისა და ეროვნული
მეობის შენარჩუნების საქმეში განუზომლად დიდია კათოლი-
კობის როლი⁴.

² მ. პაპაშვილი, საქართველო-ვატიკანის..., გვ. 37.

³ დანვრ. იხ: მ. პაპაშვილი, საქართველო-ვატიკანი..., გვ. 101-278; შ.
ლომსაძე, გვიანი შუასაუკუნეების..., გვ. 6-65; ლ. გრიგოლია,
კათოლიკე მისიონერების კულტურულ-საგანმანათლებლო
საქმიანობა XVII-XVIII საუკუნეების საქართველოში, საკანდიდატო
დისერტაცია, თბ., 2002.

⁴ მ. პაპაშვილი, საქართველო-რომის..., გვ. 281.

სამცხე-საათაბაგოში კათოლიკობამ გზა ჯერ კიდევ XVI საუკუნეში გაიკვლია. ამ საუკუნის 70-იან წლებში ახალციხეში უკვე არსებობდა კათოლიკეთა ეკლესია. ეს ბუნებრივი იყო, რადგან სამცხე მუდამ იყო ის კარი, რომელიც ევროპელ მგზავრებსა და მისიონერებს გზას უხსნიდა საქართველოსკენ. ცხადია, მისიონერთა პირველი მასპინძლები მესხები იყვნენ და იქ დამკვიდრებული მისიონი მუდამ შეადგენდა ქართლის მისიონის ნაწილს⁵.

წყაროთა სიმწირის გამო ჯერჯერობით შეუძლებელი ხდება სამცხე-საათაბაგოში XIII საუკუნიდან XVII საუკუნის ჩათვლით კათოლიკეების მიერ გავლილი გზის სრული სურათის წარმოდგენა. აღნიშნული დროის მანძილზე აქ კათოლიკე მისიონერთა კვალი არ ჩანს, თუმცა ერთი საყურადღებო წყაროს მიხედვით XVI საუკუნის ბოლოს ჯავახეთში „რამდენიმე ეკლესია შეაკეთეს კეთილმა პირებმა და მათში ასრულებენ კათოლიკე მღვდლები რომის წმიდა ტიპიკონს. ესენი არიან იმ მისიონერთაგან დარჩენილები, რომელთაც სარწმუნოების მადლით აღჭურვილებმა გადაიარეს ზღვანი და მთანი“⁶.

მართალია, თეატინელმა მისიონერებმა ახალციხის საფაშოში ფეხი ვერ მოიკიდეს, მაგრამ პატრები ხშირად გურიიდან და სამეგრელოდან ახალციხეში მიდიოდნენ, სადაც მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილ ქრისტიანებს ამხნევებდნენ და „გამაჰმადიანებულებს ხელახლა აქრისტიანებდნენ“⁷. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ახალციხის საფარ ფაშა (ბექა ჯაყელი 1628-1651) თეატინელ მისიონერებთან დამეგობრებული პიროვნება იყო. კითხვაზე პასუხს, თუ რატომ ვერ მოიკიდეს ფეხი სამცხე-საათაბაგოში კათოლიკე მისიონერებმა, მოგვცემს იმ პოლიტიკური ვითარების ზოგადი სურათის წარმოჩენა, რომელიც აქ შეიქმნა XVI საუკუნის 80-იანი წლებიდან.

ცნობილია, რომ XV საუკუნის ბოლოს და XVI საუკუნის დასაწყისში თურქეთმა ჩაკეტა საქართველოში მიმავალი გზა.

⁵ მ. პაპაშვილი, საქართველო-რომის..., გვ. 281.

⁶ მ. თამარაშვილი, პასუხად სომხის მწერლებს, თბ., 1904, გვ. 204.

⁷ მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა..., გვ. 164.

ჩვენ ქვეყანაში შეწყდა კათოლიკე მისიონერთა შემოსვლა და მოღვაწეობა. მწყემსის გარეშე დარჩენილ ქართველ კათოლიკეთა მრევლს სამსახური შესთავაზეს კილიკია-ნახეჭევანიდან მოსულმა სომეხმა უნიატმა ლათინურ-სომხური ძმობის ბერებმა. ამ სომხურ-ლათინურ ეკლესიას რომისაგან დამტკიცებული ჰქონდა სომხურენოვანი ტიპიკონი. „მათი კათოლიკობა ძირითადად იმით გამოიხატებოდა, რომ პაპს სცნობდნენ ნმი-და პეტრეს ეკლესიის მოსაყდრედ, აღიარებდნენ მას ქრისტეს მოციქულად და ემორჩილებოდნენ“⁸. მათ სამცხე-საათაბაგოში XVIII საუკუნის 30-იან წლებამდე ხელთ ეპყრათ ქართველ კათოლიკეთა სულიერი მეთაურობა⁹. ამას განაპირობებდა ის მძიმე პოლიტიკური მდგომარეობა, რომელიც ჩვენი ქვეყნის ამ მხარეში შეიქმნა.

როგორც ვიცით, XVI საუკუნის 80-იან წლებში სამცხე-საათაბაგოს სამთავრო ოსმალებმა დაიპყრეს და ახალციხის (ჩილდირის) საფაშო შექმნეს¹⁰. დამპყრობლებმა ცეცხლითა და მახვილით დაიწყეს მაჰმადიანობისა და ოსმალური წესების დანერგვა. უთანასწორო ბრძოლაში ქართველები თანდათან პოზიციებს თმობდნენ. მოსახლეობის ნაწილი ბრძოლაში დაიღუპა, ზოგმა თავი საქართველოს სხვადასხვა კუთხეს შეაფარა, ზოგი კი იძულებული შეიქმნა გამაჰმადიანებულიყო. მესხეთის ქართველთა ერთი ნაწილი, რომელმაც მაჰმადიანობა მიიღო, თავს „თურქად“ აცხადებდა, მაგრამ იყო მეორე ნაწილი – ქართველი კათოლიკეები, რომლებიც თავს „ფრანგებად“ აცხადებდნენ. ქართველი კათოლიკეები („ფრანგები“) საფრანგეთსა და ოსმალეთს შორის საფრანგეთის მეფე ანრი IV-ის დროს დადებული კაპიტულაციის ხელშეკრულებით, როგორც ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრები ან მოღვაწე კათო-

⁸ შ. ლომსაძე, გვიანი შუასაუკუნეების..., გვ. 21.

⁹ იქვე, გვ. 52.

¹⁰ დანვრ. იხ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 150-155; შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი (XVIII საუკუნის შუაწლებიდან XIX საუკუნის შუაწლებამდე), თბ., 1975, გვ. 25-104; მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთს ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII სს. თბ., 1973, გვ. 125-135.

ლიკეები, ერთგვარი მფარველობით სარგებლობდნენ. „მესხთა ნაწილი პილიგრიმული სიჯიუტით მაინც არ ტოვებდა ქრისტიანობას და ზოგჯერ კათოლიკობასა და გრიგორიანობას ლებულობდა, ხოლო მათ შორის მეტად უმცირესმა ნაწილმა შეინარჩუნა მართლმადიდებლური სარწმუნოება“¹¹.

საქართველოს ამ ძირძველ კუთხეში ქართველად ყოფნა აუტანელი გახდა. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, გზა ესპობოდა კათოლიკობასაც. „ოსმალს მთავრობა მტრის თვალთ უყურებდა ლათინურსა და ქართულ წირვა ლოცვას“¹². „ლათინი პატრების საპირისპიროდ თურქები მხარს უჭერდნენ სომხურენოვან კათოლიკურ რიტს. სომხური კათოლიკობიდან ლათინურ კათოლიკობაზე (ლათინურენოვანი) გადასვლა სპეციალური ფირმანით აკრძალული იყო. თურქთა შეხედულებით, მართლმადიდებელი ქართველი, რომელიც არ გამაჰმადიანდებოდა, ან უნდა გასომხებულყო (გრიგორიანობა მიეღო) ან სომხურ კათოლიკურ რიტზე გადასულიყო“¹³.

ამრიგად, ახალციხის საფაშოში თურქთა მიერ მართლმადიდებლობა შეუნყნარებელ რელიგიად გამოცხადდა. კათოლიკე მისიონრები კი იქიდან განდევნეს. „აქაურ კათოლიკე მრევლს მღვდელმსახურებას უწევდნენ სომეხი უნიატი ბერები, რამაც შესაძლებლობა მისცა მათ, შეენარჩუნებინათ ქრისტიანული სარწმუნოება. ამ მხრივ უნიატების დამსახურება უდავოა“¹⁴. ამ მოვლენას მართებულად აფასებს მ. თამარაშვილი, რომელიც წერს: „რადგან ოსმალეთმა XVI საუკუნეშივე მოუსპო გზა ევროპელ მისიონრებს, უმწყემსოდ დატოვებულ სამცხის ქართველ კათოლიკეებსაც იგივე შავი დღე დაადგა, ხოლო მათმა მცირე რიცხვმა შეინარჩუნა უკვე მიღებული კათოლიკე სარწმუნოება სომხის ტიპიკონის მიღებით. რადგან ამ დროს სომხობას ოსმალეთი ისე არ აწუხებდა, როგორც სხვა ტომის ქრისტიანებს, სომხური ტიპიკონის მიღება დიდად

¹¹ შ. ლომსაძე, გვიანი შუასაუკუნეების..., გვ. 45.

¹² ალ. ფრონელი (ალ. ყიფშიძე), დიდებული მესხეთი, თბ., 1991, გვ. 37.

¹³ შ. ლომსაძე, გვიანი შუასაუკუნეების..., გვ. 46.

¹⁴ იქვე, გვ. 48.

შენია ქართველ კათოლიკეებს, რომლებიც დაიხსნა არა მარტო სიკვდილისაგან, არამედ სხვა ბევრნაირი შენუხებისგანაც. ამ გარემოების წყალობით ისინი შეუერთდნენ სომხის ტომის კათოლიკეებს არა მარტო სარწმუნოებით, არამედ ენობრივადაც, რადგან მათსავით უშიშრად ყოფილიყვნენ გამძვინვარებული ოსმალეთის მთავრობის ხელში. ვერც გაბედეს შემდეგში ქართული ტიპიკონის მიღება, რადგან მათ მტარვალ პატრონისაგან მოელოდათ ან სიკვდილი ან გამაჰმადიანება"¹⁵. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ ქართველები ვერც უნინდელ ლათინურ ტიპიკონზე გადასვლასაც ბედავდნენ"¹⁶.

ყოველივე აქედან გამომდინარე, ერთის მხრივ, თურქეთის ცენტრალური მთავრობისა და, მეორეს მხრივ, სომეხ სასულიერო მესვეურთა წინააღმდეგობის გამო ძალზე ძნელი იყო სამცხეში კათოლიკეთა მისიონის დაარსება. თუმცა XVIII საუკუნის 30-იან წლებში ახალციხეში გზა გაიკვლიეს კაპუჩინებმა, როგორც ირკვევა, 1710 წლის 15 სექტემბერს პროპაგანდა ფიდემ გადაწყვიტა, რომ კაპუჩინთა მისიონი დაეარსებინა ახალციხეში და ამ მიზნით იქ ქართლის მისიონიდან სამი პატრი გაამნესა¹⁷. ეს მისიონრები 1715 წლის აგვისტოს დამლევს ფარულად ჩავიდნენ ახალციხეში, სადაც ორი თვე დარჩნენ, მაგრამ თურქებისა და სომეხი ეპისკოპოსის შიშით უკან დაბრუნდნენ ქართლის სამეფოში. ასეთი სიტუაციიდან გამომდინარე, ცხადი იყო, რომ სულთნის მიერ ფირმანით დამტკიცებული ნებართვის გარეშე მისიონერები იქ ფეხს ვერ მოიკიდებდნენ. თუ ვირწმუნებთ იმას, რომ 1748 წლისთვის სამცხეში სასულიერო და საერო კათოლიკეთა რიცხვი დაახლოებით 15 ათასზე მეტს¹⁸ შეადგენდა, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ნაყოფიერი ნიადაგი დახვდებოდათ კათოლიკე პატრებს თავიანთი მოღვაწეობის გასაშლელად.

რამდენადაც ჩვენს მიზანს არ შეადგენს ახალციხეში კა-

¹⁵ მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა..., გვ. 411-412.

¹⁶ მ. პაპაშვილი, საქართველო-რომის..., გვ. 283.

¹⁷ მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა..., გვ. 412; მ. პაპაშვილი, საქართველო-რომის..., გვ. 284.

¹⁸ მ. პაპაშვილი, საქართველო-რომის..., გვ. 284.

პუჩინთა დაფუძნების ისტორიის დანვრილებით გაშუქება, სპეციალურ ლიტერატურაზე დაყრდნობით მოკლედ აღვნიშნავთ: კაპუჩინთა მისიონის უფროსის ნიკოლო და ჯირჯენტის მეცადინეობით მოპოვებული იქნა თურქეთის სულთნის ფირმანი, რომლის ძალითაც მათ ეძლეოდათ ნება ახალციხეში მისიონის დაარსებისა. 1732 წლის 8 ოქტომბერს ახალციხეში დაარსდა კაპუჩინთა მისიონი¹⁹. მის უფროსად ისფაჰანის ეპისკოპოსმა დანიშნა ხსენებული ნიკოლო და ჯირჯენტი, რომელიც ამავე დროს საქართველოში მისი ვიკარიუსიც იყო. ამგვარად, ახალციხის კაპუჩინთა მისიონი ისფაჰანის საეპისკოპოსოს დაექვემდებარა²⁰.

ნიკოლო და ჯირჯენტი ენერგიული პიროვნება იყო. სულთნის ფირმან მომარჯვებულმა ახალციხეში მაჰმადიანთა მიერ დანგრეული ძველისძველი ეკლესიის ხელახლა აშენება დაიწყო. მრავალი სიძნელეების გადალახვის შემდეგ ყოვლადწმინდის სახელობის კათოლიკური ეკლესია 1734-1740 წლებში უკვე აშენებული იყო. აქ მღვდელმსახურება ლათინურ-ქართულად მიმდინარეობდა. ამიტომ ყოვლადწმინდის ეკლესიას დიდძალი მრევლი მიანყდა²¹.

ამის მიუხედავად, ახალციხის კაპუჩინთა მისიონს მეტად მძიმე ვითარებაში უწევდა გზის გაკვლევა. სომეხი უნიატები ყველა ზომას მიმართავდნენ პატრების გასადევნად. მათ მხარში ედგნენ სომხურ ტიპიკონზე მდგარი ქართველი მღვდლებიც²². მ. პაპაშვილის თანახმად, „... მოსალოდნელი სირთულეების თავიდან აცილების მიზნით პროპაგანდამ გადაწყვიტა, ახალციხის კაპუჩინთა მისიონი კონსტანტინოპოლის საეპისკოპოსოსათვის დაექვემდებარებინა“²³. ამის უმთავრესი მიზეზი იყო ის, რომ ახალციხის კაპუჩინთა მისიონის ისფაჰანის საეპისკოპოსოსადმი დამორჩილებით „გამოდირა, რომ ახალციხის მხარე ქართლის ნაწილად უნდა ყოფილი-

¹⁹ მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა..., გვ. 416.

²⁰ მ. პაპაშვილი, საქართველო-რომის..., გვ. 285.

²¹ შ. ლომსაძე, გვიანი შუასაუკუნეების..., გვ. 53.

²² მ. პაპაშვილი, საქართველო-რომის..., გვ. 286.

²³ იქვე, გვ. 286.

ყო მიჩნეული. თურქეთი, რა თქმა უნდა, ამას არ დაუშვებდა²⁴. ეს არ სურდათ როგორც სომეხ უნიატ ბერებს, ასევე სომხურ ტიპიკონზე მდგარ ზოგიერთ ქართველ კათოლიკე მღვდელსაც. ამიტომ პროპაგანდამ დაადგინა: მისიონერები იმ ეპისკოპოსს დაემორჩილებოდნენ, რომელ ქვეყანაშიც ისინი იმყოფებოდნენ. ამ გადაწყვეტილებით, ახალციხის კაპუჩინთა მისიონი კონსტანტინოპოლის საეპისკოპოსოს დაემორჩილა²⁵. „სინამდვილეში, – წერს შ. ლომსაძე, – მათი (კაპუჩინთა – ხაზგასმა ჩვენია) მისიონი უშუალოდ რომს ექვემდებარებოდა“²⁶.

XVIII საუკუნის 50-იანი წლებიდან მოკიდებული თითქმის მთელი XIX საუკუნე ახალციხეში ქართველ კათოლიკეებს შორის იწყება ხანგრძლივი ბრძოლა სხვადასხვა მიმართულებით²⁷. ამათგან ძირითადი იყო ქართული ტიპიკონის შემოღებისათვის ბრძოლა. ამას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ქართული ენა იყო ის საშუალება, რომელიც აერთიანებდა სამცხე-საათაბაგოს მოსახლეობას. ცნობილი ქართველი კათოლიკე მოღვაწის იოსებ ხუციშვილის (ხუციანოი) აზრით: „... ქართული ეროვნული სხეულის აღდგენა მესხეთში შეეძლო ჯერ კიდევ ძალუმად შემორჩენილ ქართულ ენას. ამიტომ უნდა დანებებულიყო ბრძოლა ქართული ენის აღდგენა-დამკვიდრებისათვის, როგორც ეკლესიაში, ისე საზოგადოებრივ ურთიერთობაში. ქართული ენის განმტკიცება-შენარჩუნების საქმეში კი დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქართულ წიგნს (ამ შემთხვევაში თუნდაც ტიპიკონს), რომელსაც მრევლი ქართულად წაიკითხავდა. ისინი ფიქრობდნენ, რომ ქართული წიგნი შეამცირებდა უცხო იდეების შემოტევას და დაიცავდა მათს ეროვნულ თვითმყოფობას“²⁸.

ცნობილია, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთების

²⁴ შ. ლომსაძე, გვიანი შუასაუკუნეების..., გვ. 54.

²⁵ მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა..., გვ. 423.

²⁶ შ. ლომსაძე, გვიანი შუასაუკუნეების..., გვ. 54.

²⁷ დანვრ. იხ.: შ. ლომსაძე, გვიანი შუასაუკუნეების..., გვ. 43-118; მ. პაპაშვილი, საქართველო-რომის..., გვ. 286-298.

²⁸ შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი..., გვ. 502.

შემდეგ დამოუკიდებლობა დაკარგა ქართულმა ეკლესიამაც. 1811 წელს ქართული მართლმადიდებლური ეკლესია რუსეთის „უნმინდეს“ სინოდს დაუმორჩილეს. საეკლესიო ისტორიის ცნობილი მკვლევარი რემონ ჟანენი აღნიშნავს, რომ „იმპერატორმა ალექსანდრე I-მა 1811 წლის 10 ივნისს წერილი მისწერა ანტონ II-ს და გამოუცხადა, რომ ქართული ეკლესია არ შეიძლებოდა ავტონომიური დარჩენილიყო“²⁹. ამრიგად, ყველა სფეროში გაბატონდა რუსულ დესპოტიზმი. კათოლიკე მისიონერთა საქმიანობასაც ფრთები შეეკვეცა. ისინი ჩამოაცილეს ქვეყნის პოლიტიკურ-დიპლომატიურ საკითხებს. აიკრძალა კათოლიკური პროპაგანდა³⁰. კათოლიკეთა უცხოურ მისიონს ცარიზმმა დაუპირისპირა ადგილობრივი სომეხი კათოლიკენი³¹. ასეთ ვითარებაში მესხეთის ქართველ კათოლიკეთა ბრძოლა ქართულენოვანი ტიპიკონის შემოღებისა და დანერგვისათვის უაღრესად რთულდებოდა. ვატიკანი ერიდებოდა სომხური კათოლიკური ეკლესიის მომდურებას, თურქები თავიანთი პოლიტიკისათვის სომეხ კათოლიკეებს ამჯობინებდნენ მისიონერებსაც და ქართველ კათოლიკეებსაც, რომელთაც ცალი თვალი რუსეთს მინდობილი თავიანთი ძმისკენ ეჭირათ. რაც შეეხება ცარიზმს, იგი საერთოდ არ სცნობდა ქართველ კათოლიკეებს. მათ ყველა აღწერაში სომხებად აღრიცხავდა³².

ასეთ რთულ ვითარებას ემატებოდა ისიც, რომ ქართველ კათოლიკეთა შორის ახალციხეში ქართული ტიპიკონისა და ერობრიობის საკითხზე ორი დაჯგუფება ებრძოდა ერთმანეთს. „შაჰყულიანისა და მისი ყოფილი მონაფის პეტრე ხარისჭირაშვილისა. ერთნი ამტკიცებდნენ, რომ „ერობრიობის“ განსაზღვრისას ტიპიკონს უნდა მიეცეს უპირატესობა. მეო-

²⁹ რემონ ჟანენი, საქართველოს კათოლიკური ღვთისმეტყველების ენციკლოპედია, ტომი მეექვსე, ნაწილი პირველი. ფრანგულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ., 1996, გვ. 38.

³⁰ შ. ლომსაძე, გვიანი შუასაუკუნეების..., გვ. 62.

³¹ იქვე, გვ. 63.

³² იქვე, გვ. 64-65.

რენი ამტკიცებდნენ, რომ ტიპიკონს არ შეუძლია გავლენა იქონიოს ადამიანთა „ერობრიობაზე“ და თვლიდნენ, რომ სწორედ ამ უკანასკნელმა უნდა განსაზღვროს მისი ტიპიკონის ენაც³³.

ეს პროცესი უფრო გაღრმავდა სამცხე-ჯავახეთის ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლების შემდეგ. როგორც ვიცით, 1829 წელს ოსმალთა ბატონობისაგან სამცხე-ჯავახეთის განთავისუფლების შემდეგ მას მიეცა საშუალება ეროვნული აღდგენა-აღორძინებისა. ამის მიუხედავად, ცარიზმი სდევნიდა მშობლიურ ენას და ამით ხელს უწყობდა რუსიფიკატორული პოლიტიკის დანერგვას. ახლად განთავისუფლებულ სამცხე-ჯავახეთში მაჰმადიანურ-თურქული კულტურის ქადაგება რუსულით შეიცვალა. ამასთანავე ამ მხარეში მეფის რუსეთმა ხელი შეუწყო მოსახლეობის „ნებაყოფლობით“ გასახლება-ჩამოსახლებას. ამით იგი ხელს უწყობდა ნაციონალური შუღლისა და მტრობის გაღრმავებას. სომხების გადმოსახლება-გამრავლებასთან დაკავშირებით უარყო იქაური ქართველ კათოლიკეთა ქართველობა და ისინი ხელაღებით, ქართულ ენაზე მოლაპარაკე სომხებად გამოაცხადა. ეს პროცესი ხანგრძლივი იყო და იგი „1886 წლის 27 თებერვლის დადგენილებით“ დასრულდა, როცა ცარიზმმა „...აკრძალა ქართველ კათოლიკეთა ეკლესიაში მშობლიურ ენაზე წირვა-ლოცვა და იგი ძალდატანებით სომხურით შეცვალა“³⁴. ახალციხის სკოლებში ბავშვებს „ქართულ ანბანს თვალითაც არ...“ ანახვებდნენ³⁵. ერთ-ერთ კორესპონდენციაში ვკითხულობთ: „ამ რამდენიმე წლის წინათ ხიზაბავრელებმა ქვის ეკლესია ააშენეს და ზედ წარწერა გაუკეთეს ლათინურად და ქართულად. ვილაცამ შეატყობინა მინისტრს, ხიზაბავრელები ქართველობას ჩემულობენ და საყდარზე ქართული წარწერა გაუკეთესო. ფიცხელი ბრძანება მოვიდა პეტერბურგიდან, ნაშაღეთ ქართული წარწერაო. მეტი რა ჩარა იყო, წარწერა კირით გაგლი-

³³ შ. ლომსაძე, გვიანი შუასაუკუნეების..., გვ. 65.

³⁴ გაზ.: „ივერია“, 1891, №266; დ. კოჟორიძე, განათლება..., გვ. 26.

³⁵ გაზ.: „დროება“, 1878, №53.

სეს³⁶. „ვინმე-მესხი“ ივანე გვარამაძე გულისტკივილით წერდა: „კათოლიკენი ახალციხის მხარეში ქართველებიც არიან და ჩვენში ფრანგებად იწოდებიან, ჩვენდა სამწუხაროდ, ბევრი იმათაგანი სხვადასხვა მიზეზების მეოხებით დღეს სომეხ კათოლიკებად არიან ცნობილნი და ტიპიკონიც სომხური აქეთ. ეს არანორმალური მოვლენა მიენერება სომეხ კათოლიკეთა პატრების თავდადებულ მეცადინეობას და ჩვენს უდარდებლობას და დაუდევრობას“³⁷.

ამრიგად, სამცხე-ჯავახეთის საქართველოსთან შემოერთების შემდეგ ჩვენი ქვეყნის ამ ძირძველი კუთხის ქართველ კათოლიკეთა სულიერ ცხოვრებაში დიდი ცვლილებები მოხდა. რუსეთის მთავრობამ 1845 წელს საქართველოდან პოლიტიკური მოტივით (ჯაშუშობის საბაზით) განდევნა ლათინი კათოლიკე პატრები. ამას ახალციხის ლათინური რიტის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიებში მოჰყვა ლათინურ ენაზე წირვა-ლოცვის გაუქმება. ეს გამოუვალი სირთულის წინაშე აყენებდა ქართველ კათოლიკეებს, რადგან წმინდა ტახტს არ ჰქონდა დამტკიცებული ქართული კათოლიკური ტიპიკონი. „მესხეთიდან ლათინი მოძღვრების გაძევებით განაწყენებული ვატიკანი, გასაგებია, ახალ ქართულ ტიპიკონს აგრე იოლად არ დაამტკიცებდა. ასეთ ვითარებაში რუსეთის მთავრობამ მხარი დაუჭირა, რომ ქართველ კათოლიკეთა ლათინური რიტის ეკლესიებშიც სომხური ტიპიკონი და სომხური ენა დამკვიდრებულიყო“³⁸. საკუთრივ სომეხი სასულიერო პირები ლათინური ეკლესიებისა და მათი ქონების დაუფლების მიზნით, „ყოველნაირად შეეცადნენ ხალხი დაეჯერებინათ, რომ თითქოს არასოდეს არსებობდნენ ქართველი კათოლიკეები და საქართველოში მცხოვრები ყველა კათოლიკე სომეხი იყო“³⁹. უფრო მეტიც: იმპერატორ ალექსანდრე III-ის ბრძანებით სომ-

³⁶ „ნაკადული“, 1908, №1, გვ. 40, დ. კოჭორიძე, განათლება..., გვ. 26.

³⁷ შ. ლომსაძე, გვიანი შუასაუკუნეების..., გვ. 68.

³⁸ შ. ლომსაძე, გვიანი შუასაუკუნეების..., გვ. 68.

³⁹ M. Tamarati, L'Église Géorgienne des origines jusqu'à nos jours, Rome, 1910, გვ. 666; მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995, გვ. 725.

ხებისათვის უნდა ჩაებარებინათ თბილისის ლათინური ეკლესია⁴⁰.

ასეთ ვითარებაში გამოიძებნენ კარიერისტი, რენეგატი გასომხებული ქართველი კათოლიკენი, რომლებიც ცარიზმის ინტერესებს ემსახურებოდნენ. ასეთთა შორის გამორჩეული ნიჭისა და უნარის იყო პავლე შაჰყულიანი (ჭილიმუზაშვილი)⁴¹. ის თავის გარშემო იკრებდა ნიჭიერ ქართველ კათოლიკეებს. მათი რიგებიდან იყო პეტრე ხარისჭირაშვილი, რომელიც ვერ შეეგუა თავის რენეგატ მფარველს და დაშორდა. ამ პიროვნების შესახებ აქ საგანგებოდ შევეჩერდებით იმ მიზნით, რომ შემდეგში მისი თაოსნობით მოხდა კონსტანტინოპოლში ქართული საჯანის დაარსება.

ქართველ კათოლიკეთა გალერეაში პეტრე ივანეს ძე ხარისჭირაშვილს გამორჩეული ადგილი უკავია. იგი დაიბადა 1814 წ.⁴² ახალქალაქის რაიონის სოფელ ბარალეთში. სწავლობდა ახალციხის კერძო სამრევლო სკოლაში, შემდეგ ალექსანდროპოლის (ლენინაკანი) სასულიერო სემინარიაში და ბოლოს რომის უმაღლეს სასულიერო სასწავლებელში. 1848 წელს ეკურთხა მღვდლად. მუშაობდა ახალციხეში, ვალეში, ხიზაბავრაში და ქუთაისში, 1856 წლიდან სიკვდილამდე კი კონსტანტინოპოლში⁴³.

⁴⁰ M. Tamarati, დასახ. ნაშრ., გვ. 66; მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესია..., გვ. 727.

⁴¹ დანვრ. იხ.: ზ. ჭიჭინაძე, ქართველ კათოლიკეთა არქიმანდრიტი პავლე შაჰყულიანი, თბ., 1904; შ. ლომსაძე, გვიანი შუასაუკუნეების..., გვ. 62-68; მ. პაპაშვილი, საქართველო-რომის..., გვ. 297-298; 303-312.

⁴² შ. ლომსაძის თანახმად იგი დაიბადა 1804 თუ 1805 წელს (შ. ლომსაძე, მიხეილ თამარაშვილი და ქართველი კათოლიკენი, თბ., 1985, გვ. 452; სხვა ცნობით - 1818 წლის 20 აპრილს). ქართველები კონსტანტინოპოლში და სპარსეთში, თბ., 1990, გვ. 30; Tymon Tytus Chmielecki "Gruzinski Katolicyzm w XIX i na poczatku XX wieku w swietle archiwow Watykanskich, Torun, 1998, გვ. 349.

⁴³ ზ. ჭიჭინაძე, აბატი პეტრე ხარისჭირაშვილი, ტფილისი, 1895; დ. კოჭორიძე, განათლება..., გვ. 167-168; შ. ლომსაძე, გვიანი..., გვ. 66-84.

როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, წმიდა ლაზარეს კუნძულზე სომეხთა კონგრეგაციაში გაერთიანებულმა ქართველმა კათოლიკე მოძღვრებმა დაარსეს საკუთარი ძმობა ქართული ენითა და ქართული ტიპიკონით⁴⁴. „ამ საქმის სულისჩამდგმელი და ინიციატორი იყო ახალციხელი პატრი-მამა პეტრე ხარისჭირაშვილი – ქართველ კათოლიკეთა მხსნელად მოვლენილი, „მეორე მათე“, რომელმაც ქართული კულტურისათვის დაუჯერებლად ბევრი გააკეთა“⁴⁵.

როგორც სათანადო ადგილას აღვნიშნეთ, პეტრე ხარისჭირაშვილი თავგამოდებით იბრძოდა ქართული ტიპიკონის შემოღებისათვის. კონსტანტინოპოლიდან ახალციხეში ჩამოსული პეტრე ხარისჭირაშვილისათვის გადაუდებელი ამოცანა იყო ახალციხეში ქართული სასულიერო სასწავლებლის (სემინარიის) გახსნის საკითხის გადანყვეტა, სადაც გაძლიერებული კურსით უნდა ესწავლათ სამოქალაქო დისციპლინებიც⁴⁶. ამ მიზანს წინ გადაეღობა ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი პავლე შაჰყულიანი. „ამის თაობაზე გადაეკიდა შაჰყულიანი პეტრე ხარისჭირაშვილს“ და ცოტა ხნის შემდეგ უფლება არ მისცა მღვდელმსახურება შეესრულებინა თვით ახალციხეში⁴⁷. პეტრე იძულებული იყო სოფლებში ევლო-დადიოდა ხან ხაზაბავრას, ხან ვაღეს, ხან უდეს და სხვა, მაგრამ შაჰყულიანის შხამიანი ხელი ახალციხის სოფლებში პეტრეს მაინც სწვდებოდა. ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილი იძულებული გახდა თავი დაენებებინა ახალციხისათვის და მესხეთიდან სამუშაოდ ქუთაისში გადასულიყო. „დაუდგომელი და სულ ეროვნულ საქმეებზე მოფიქრალი“ პეტრე ქუთაისში აღფრთოვანებით მიიღეს და 1840 წელს დონ ანტონ გლახაშვილის⁴⁸

⁴⁴ შ. ლომსაძე, გვიანი შუასაუკუნეების..., გვ. 66.

⁴⁵ იქვე, გვ. 66.

⁴⁶ იქვე, გვ. 68.

⁴⁷ შ. ლომსაძე, გვიანი შუასაუკუნეების..., გვ. 69.

⁴⁸ ანტონ გლახაშვილი 1808 წ. დაიბადა ქუთაისში. 1832-1841 წწ. იყო რომში პაპ ურბან VIII-ის კოლეგიის მონაფე. მღვდლად ეკურთხა 1840 წწ. იყო ქუთაისის რომაულ-კათოლიკური ეკლესიის ვიკარი. ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობასაც. იყო ქუთაისის კლასიკური

თანაშემწე მღვდლად დანიშნეს⁴⁹. თანამედროვეთა რწმუნებით, პეტრე ქუთაისში მრევლს განსაკუთრებით უყვარდა. „იგი ყველგან კულტურასა და განათლების შეტანისათვის იბრძოდა, შეგირდებს წვრთნიდა, ქართულსა და ლათინურ წერა-კითხვას ასწავლიდა“⁵⁰.

როგორც ყველგან, ქუთაისშიც მამა პეტრეს ძირითადი საზრუნავი იყო ქართული ტიპიკონის საკითხი. ამ საქმეში მას საქმიანი და მხურავვალე მხარდამჭერები სჭირდებოდა. დიდვაჭარ ქართველ კათოლიკე იაკობ ზუბალაშვილს⁵¹ მან ნათლად დაუხატა „... თუ რა მძიმე შედეგები შეიძლებოდა მოჰყოლოდა... „სომხურ-ლათინური ტიპიკონის“... საკითხების უგულებელყოფას, რომ ამ გზას შეეძლო ქართველების ქართველობაც სადავო გაეხადა. ასევე შეაგულიანა ზუბალაშვილი ანტონ ხუციშვილმა და მდიდარმა ვაჭარმა საკმაო სახსრები გაიღო იმისათვის, რომ პეტრე ხარისჭირაშვილი კონსტანტინოპოლს წასულიყო და იქ თავისებური პროპაგანდა გაენია, ამ საკითხებით დაეინტერესებინა, „მიეზიდნა ღირსეული სწავლული კაცნი“, რათა დაეჯერებინა რომი და ქართველ კათოლიკეთათვის დაემტკიცებინა ქართული ტიპიკონი“⁵².

წყარო, თუ ზუსტად როდის დატოვა პეტრე ხარისჭირაშვილმა ქუთაისი და ახლა მეორედ და საბოლოოდ გადავიდა კონსტანტინოპოლში სამოღვაწეოდ, ჩვენთვის უცნობია. დ. კოჟორიძის თანახმად, პეტრე ხარისჭირაშვილი კონსტანტი-

გიმნაზიის კაპელანი. იცოდა ევროპული და აზიური ენები. კაპუცინი მისიონერების საქართველოდან გაძევების შემდეგ (1845 წ.) იგი ერთადერთი ლათინური რიტის მღვდელი იყო. (ზ. ჭიჭინაძე, ნიკოლოზ ბესარიონის ძე ლოლობერიძე და ქართული სტამბა 1627-1913; მ. პაპაშვილი, საქართველო-რომის..., 313; მ. თამარაშვილი, პასუხად სომხის მწერლებს, თბ., 1904, გვ. 132. Tymon Tytus Chmielicki, დასახ. ნაშრ., გვ. 349).

⁴⁹ შ. ლომსაძე, გვიანი შუასაუკუნეების..., გვ. 69.

⁵⁰ იქვე.

⁵¹ იაკობ ივანეს ძე ზუბალაშვილი (1792-1864) გამოჩენილი ქველმოქმედი, დანვრ. იხ.: ზ. ჭიჭინაძე, ქართველი კათოლიკენი ყველა ასპარეზზედ, თფილისი, 1905, გვ. 27.

⁵² შ. ლომსაძე, გვიანი შუასაუკუნეების..., გვ. 69.

ნოპოლში გადავიდა 1856 წელს⁵³, სხვა ცნობით – 1857 წელს⁵⁴. „კონსტანტინოპოლში ჩასულმა პეტრე ხარისჭირაშვილმა მართლაც გაშალა პროპაგანდა ლათინურ საეკლესიო წრეებში და დაასაბუთა, რომ აუცილებელი იყო ქართული ტიპიკონის დამტკიცება საქართველოს კათოლიკეთათვის“⁵⁵. პირველწყაროების თანახმად, 1857 წელს პეტრე ხარისჭირაშვილმა კონსტანტინოპოლიდან ვრცელი წერილით მიმართა წმიდა ტახტს „ქართველ კათოლიკეთა მძიმე მდგომარეობის შესახებ“, მასში ჩამოყალიბებულია კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოში, კათოლიკეთა იმდროინდელი მდგომარეობა, სომეხ-კათოლიკეთა და სომეხ-გრიგორიანელთა საქმიანობა. წერილში ვრცელი ადგილი უთმობა იმის დასაბუთებას, რომ ტირასპოლის ეპისკოპოსი ფერდინანდ კანი⁵⁶ (Ferdinand Kahn), ვერ ახერხებდა თავისი მოვალეობის შესრულებას, რადგან იგი ძალიან შორს იყო კავკასიიდან და, კერძოდ, საქართველოდან. ამ მიზეზით საქართველო ფაქტობრივად მწყემსის გარეშე იყო დარჩენილი. ამ აზრის ქვაკუთხედი წერილში იმის დასაბუთებაა, რომ საჭირო იყო ქართველ კათოლიკეებს საკუთარი ეპისკოპოსი ჰყოლოდათ. ამავე წერილში პეტრე ხარისჭირაშვილი ასაბუთებდა კათოლიკეთა დიოცეზისათვის სემინარიის დაარსების აუცილებლობას. ამასთან დაკავშირებით ნათქვამი იყო, რომ საქართველოში ქართველ კათოლიკეთა რიცხვი 3 ათასს აღწევდა. ამას მოსდევდა იმის დასაბუთება, რომ საჭირო იყო ქართულ ენაზე კათოლიკურ სარწმუნოებაზე წიგნების გამოქვეყნება⁵⁷.

⁵³ დ. კოჟორიძე, განათლება..., გვ. 167; შ. ლომსაძე, მიხეილ თამარაშვილი..., გვ. 453.

⁵⁴ Tymon Tytus Chmielecki, დასახ. ნაშრ., გვ. 349.

⁵⁵ შ. ლომსაძე, გვიანი შუასაუკუნეების..., გვ. 69.

⁵⁶ ტირასპოლის ეპისკოპოსი ფერდინანდ კანი (1850-1864). მის შესახებ დანვრ. იხ.: Tymon Tytus Chmielecki, დასახ. ნაშრ., გვ. 188-192, 194-195, 260, 263-264.

⁵⁷ ASS, Carte di Russia e Polonia, t. 14, ფურც. 141-144. იტალიურ ენაზე დანერილი ეს წერილი სრულადაა მოტანილი ტიმონ ხმიელეცკის წიგნში: Tymon Tytus Chmielecki, დასახ. ნაშრ., გვ. 260-262. სქოლიო 3.

როგორც ტიმონ ხმიელეცკის ნაშრომიდან ჩანს, პეტრე ხარისჭირაშვილის მოწოდებამ წმიდა ტახტი ერთგვარად აამოქმედა, მაგრამ საქმე ტირასპოლის ეპისკოპოსთან მიწერ-მონერის ჩარჩოებს არ გასცილებია⁵⁸. წმიდა ტახტისადმი ამ უკანასკნელის წერილებში ქართველ კათოლიკეთა უფლებების შესახებ სიტყვაც არ იყო ნათქვამი⁵⁹. ცარიზმი კი ყველა საშუალებას ხმარობდა, რომ აღარ ყოფილიყო „... დაყოფა ქართველ და სომეხ კათოლიკეებად“⁶⁰. ამასობაში სომეხ კათოლიკეთა მოძღვარმა „...ჰარუნიანმა... თავისი დიდი გავლენის წყალობით პეტრე ხარისჭირაშვილს კონსტანტინოპოლში ყველა გზები მოუჭრა“⁶¹. პეტრე იძულებული გახდა კონსტანტინოპოლი დაეტოვებინა⁶². ახლა მან სხვა ტაქტიკა შეიმუშავა და გადაწყვიტა წმ. ლაზარეს კუნძულზე სომეხ მხიტარისტთა კონგრეგაციაში შენახული ქართული ხელნაწერი წიგნებისა და თარგმანების დამუშავება. „აქ მან ქართული წიგნების გამოცემისათვის თავგანწირულად იშრომა და 1858 წელს შეძლო დაებეჭდა საკმაოდ მოზრდილი წიგნი: „ისტორია გინა მოთხრობა საღმრთო წერილისა ძველისა და ახლის აღთქმათა, თარგმნილი ქართულს ხმასა ზედა წიგნთ საბეჭდავსა შინა წმიდა ლაზარეს მონასტერისასა“⁶³. ეს იყო დიდი გამარჯვება. ამას ახალი წარმატება მოჰყვა. 1859 წელს კიდევ ორი ქართული წიგნი დაიბეჭდა. ეს წიგნებია: „წმინდანების ცხოვრება“ და „იგავნი იეზებოს ფილოსოფოზისანი“. როგორც ერთ-ერთ გამოცემის შესავალში თვით პეტრე ხარისჭირაშვილი წერდა, ყველაფერი ეს კეთდებოდა „ივერიის სასარგებლოდ“, მთელი ქართველი ხალხისათვის, განსაკუთრებით კი ქართველი კა-

⁵⁸ Tymon Tytus Chmielecki, დასახ. ნაშრ., გვ. 262-263.

⁵⁹ იქვე, გვ. 263-264.

⁶⁰ მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესია..., გვ. 726; M. Tamarati, დასახ. ნაშრ., გვ. 266.

⁶¹ შ. ლომსაძე, გვიანი შუასაუკუნეების..., გვ. 69.

⁶² იქვე.

⁶³ შ. ლომსაძე, გვიანი შუასაუკუნეების..., გვ. 70; მისივე, მიხეილ თამარაშვილი..., გვ. 153.

თოლიკეებისათვის⁶⁴.

ერთი სიტყვით, ამ საქმით, ერთი მხრით, ნაციონალისტ მხიტარისტთა წინააღმდეგ და, მეორე მხრივ, ქართველ კათოლიკეთა ეროვნული გათვითცნობიერების საქმეში პეტრე ხარისჭირაშვილმა პირველი გაბედული ნაბიჯი გადადგა. ამან კი მოუმზადა საფუძველი ქ. კონსტანტინოპოლში ქართველ კათოლიკეთა ძმობის დაარსების საკითხის დაყენებას წმიდა ტახტის წინაშე. ამ „... დაუდგომელმა და ბოხოქარმა კაცმა გადანყვიტა დაეარსებინა ქართველ კათოლიკეთა ძმობა კონსტანტინოპოლში, სადაც ბევრი ახალციხელი ქართველი კათოლიკე ვაჭარი დაიარებოდა, ზოგიერთი იქ ცხოვრობდა კიდევ“⁶⁵. უფრო მეტიც; მამა პეტრეს პროექტით, უნდა დაარსებულიყო სასულიერო სასწავლებელი და ქართული სტამბა⁶⁶, ცხადია, ჰარუნიაანის წინააღმდეგობის დაძლევა არ იყო ადვილი კონსტანტინოპოლში. პატრი პეტრე მასთან ბრძოლაში არ გატყდა. „მან კონსტანტინოპოლში მყოფ ლათინ მოძღვრებსა და ეკლესიებს გააცნო თავისი პროექტი. ამასთან დაკავშირებით რამდენიმეჯერ ჩავიდა რომში და ვატიკანში წარადგინა ვრცელი დასაბუთებული მოხსენება. წინასწარ კარგად შემზადებულმა საქმემ ვატიკანში გაიმარჯვა“⁶⁷.

საბოლოოდ პეტრე ხარისჭირაშვილის დაულალავმა და მიზანმიმართულმა შრომამ თავისი ნაყოფი გამოიღო. კონსტანტინოპოლის კათოლიკეთა ეპისკოპოსისა და პაპის ნუნციუსის ხელშეწყობით 1859 წლის 7 მაისს⁶⁸ „პაპის ხელმოწერით გამოვიდა მანიფესტი, რომ სტამბულში აკრედიტებული ლათინური მონასტრების ხარჯზე სტამბულის გარეუბანში, ფერიქოვს, გამოყოფილიყო ადგილი ქართული კოლონიის დასაარსებლად. ამავ დროს ვატიკანმა სცნო ქართულენოვანი ტიპიკონი და დაუმტკიცა იგი კონსტანტინოპოლში ახლადშექმ-

⁶⁴ შ. ლომსაძე, გვიანი შუასაუკუნეების..., გვ. 70.

⁶⁵ იქვე, გვ. 71.

⁶⁶ იქვე.

⁶⁷ შ. ლომსაძე, გვიანი შუასაუკუნეების..., გვ. 72.

⁶⁸ ქართველები კონსტანტინოპოლში და სპარსეთში, თბ., 1990, გვ. 30.

ნილ ქართველთა ძმობას⁶⁹.

ამრიგად, 1859 წლის 7 მაისს პეტრე ხარისჭირაშვილმა წმინდა ტახტისაგან მიიღო ნებართვა კონსტანტინოპოლის გარეუბან ფერი-კვეიში საფუძველი ჩაეყარა მონასტრისათვის „ღვთისმშობლის უმანკოდ ჩასახვის სახელზედ“, რომლის შესასვლელ თაღზეც ამოკვეთილი იყო დიდი ქართული წარწერა: „წმინდაო მარიამ დაიცავ ივერიელნი“⁷⁰. ეკლესიას გარედან შემდეგი წარწერა აქვს ქართულად: „ქართული ტაძარი, ქართველ მამათა სავანე, 1861 წელი“, ხოლო თურქულად: Gürcü Katolik Kilisesi⁷¹. ევგენი დალეჯიო დ'ალესიო⁷² წერს: „ეკლესია კობტა შენობაა; გარეთ მშვენიერი ბაღი აქვს და შიგ ღვთისმშობლის, წმინდა ნინოსა და წმინდა ანდრიას ძეგლები ასვენია. ამავე ეკლესიაში მარხია ქართველი მამებისა და დების სავანეთა დამაარსებელი, ახალციხელი მამა პეტრე ხარისჭირაშვილი⁷³. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ავტორს, ამ სავანის მნიშვნელობის შეფასებაში. „...ეს საზოგადოება, – წერს იგი – დასაბამიდან დღემდის თავისი არსებობით უცხოეთში, ცოცხალი პროტესტის ნიშანი იყო რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის წინააღმდეგ. ნახევარი საუკუნის განმავლობაში, თუმცა ამ სავანის მამანი მოკლებულნი იყვნენ საქართ-

⁶⁹ შ. ლომსაძე, გვიანი შუასაუკუნეების..., გვ. 72.

⁷⁰ იქვე, გვ. 73.

⁷¹ ი. ტაბალუა, ქართული კულტურის კერები..., გვ. 160, სქოლიო 4.

⁷² ევგენი დალეჯიო დ'ალესიო ვენეციის წარჩინებული დიდი ოჯახის ჩამომავალი იყო. XVIII ს-ის ბოლოს მისი წინაპრების ერთი შტო კონსტანტინოპოლში გადავიდა. აქ დაიბადა იგი 1888 წელს. ნიჭიერმა ახალგაზრდამ ადრიდანვე დაიწყო კონსტანტინოპოლის წარსულზე ნაშრომების წერა. იყო წევრი საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის ეროვნული საზოგადოებისა. იცოდა ბერძნული, ფრანგული, იტალიური, ინგლისური და თურქული ენები. 1918 წელს მუშაობა დაიწყო მდივნად საქართველოს საკონსულოში კონსტანტინოპოლში. მიიღო საქართველოს ქვეშევრდომობა, ისწავლა ქართული ენა და დიდი გატაცებით ეცნობოდა საქართველოს წარსულს. აღნიშნული ნაშრომი საქართველოსადმი დიდი სიყვარულითაა დაწერილი.

⁷³ ქართველები კონსტანტინოპოლში..., გვ. 30.

ველოს ხალხის კულტურულ ცხოვრებას, მაინც ეს სავანე აქ, უცხოეთში ეროვნულ კერად გარდაჰქმნეს, სადაც მუდამ არა მარტო მრავალ ქართველ ახალგაზრდამ შეაფარა თავი, არამედ მრავალ პოლიტიკურ მოღვაწემაც კი, განურჩევლად სარწმუნოებისა და მისწრაფებისა⁷⁴.

ევგენი დაღეჯიო დ'ალესიო, რომელიც კარგად იცნობდა ამ სავანეს და საქართველოსადმი დიდი სიყვარული ჰქონდა, უცხოეთში გადატყორცნილ ქართველს მოუწოდებდა: „... ქართველო, რა რწმენისა და მისწრაფებისაც გინდა იყო, მოდი ამ სავანეში და აქ ნახავ შენს თანამემამულეთა ძმურ, შინაურ და ზრდილობიან დახვედრას; მალე იგრძნობ, თვალით ნახავ არა მარტო შიგ მცხოვრები ქართველების სახეზე შენი ქვეყნისა და შენი ერის დიდებას, მწუხარებას, არამედ ამას კედლებიც მეტყველებენ. აი, აქ არის სულ უბრალო დახატული ქართველ წმინდანთა და მეფეთა ხატები და სამეფო გვარის ღერბი. საპატიო ადგილასაა თამარ მეფე, გამომხატველი ქართველი ერის სიძლიერე-აღორძინებისა და დიადი კულტურისა და მის გვერდით დავით მეფე, სურათი წარსული დიდებისა⁷⁵. ამ სავანის დამაარსებლისა და მონაფეთა სურათები, წერს დ'ალეჯიო „... გვიკარნახებენ ზნეობას, მოვალეობის ასრულებას, სარწმუნოებას და ღრმა რწმენას მომავალი აღორძინებისა და დიდებისა⁷⁶.

ამრიგად, ფერი-კვეიში დაარსდა ქართველ კათოლიკეთა სასულიერო საზოგადოება, ძმობა (სავანე), ქართულენოვანი ტიპიკონით, რომელსაც 1861 წლის 10 თებერვალს წმინდა კონგრეგაცია „დე პროპაგანდა ფიდემ“ იურიდიული ძალმოსილება მიანიჭა⁷⁷. „მისმა დამაარსებელმა – პატრმა პეტრე ხარისჭირაშვილმა ლურდიდან ჩამოატანინა ღვთისმშობლის ქანდაკება (Notre Dame de lourdes) და ამ ახალი მონასტრის სამ-

⁷⁴ იქვე, გვ. 31.

⁷⁵ იქვე, გვ. 32.

⁷⁶ იქვე, გვ. 33.

⁷⁷ Tymon Tytus Chmielecki, დასახ. ნაშრ., გვ. 264; გ. შარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 248.

ლოცველოში დაადგმევინა⁷⁸, ასევე ამაღელვებელი იყო ქართულ ენაზე მღვდელმსახურების დანყებაც. „როცა თურმე პეტრე ხარისჭირაშვილმა პირველად შეასრულა ქართულ ენაზე გალობა, ძმობის ყველა წევრს ცრემლი მოერია, მათ დაიჩოქეს ხარისჭირაშვილის წინ და მისი ჯანმრთელობა შესთხოვეს მაცხოვარს“⁷⁹.

სავანე სწრაფად იზრდებოდა. ვენეციიდან 1859 წელს აქ ჩამოვიდა ალფონს ხითარიშვილი. ამავე ხანებში ახალციხიდან ჩავიდნენ იოსებ მამუკაშვილი, ივანე გვარამაძე (ვინმე მესხი) და სტეფანე გიორგიძე. უკვე 1863 წლისათვის მამა პეტრემ „...თავისი მოწაფეებითურთ თავის საზოგადოებისათვის სამჯერ მეტი მიწა შეიძინა ფულით თავიანთი ბინის აღმოსავლეთით და დასავლეთით“⁸⁰. გონიერმა და წინდახედულმა პეტრე ხარისჭირაშვილმა ყველა გაუგებრობის თავიდან ასაშორებლად 1863 წლის 4 ივნისს დაწერა ანდერძი, რომელშიც ვკითხულობთ: „... მონასტერი და სამლოცველო თავიანთი მიწებით, აგრეთვე, შემოსავალი მათი და ყველა ქონილი უძრავი და მოძრავი ქონება, რომელთაც შევიძენ ჩემს ცხოვრებაში და რომლებიც დარჩებიან ჩემი სიკვდილის შემდეგ, მიეკუთვნებიან ყველა ზემოხსენებულ ბერებს, კათოლიკე ქართველებს, მონათა უმანკოდ ჩასახულისა, რის შედეგათ არც ჩემთა ნათესავთა, არც ქართველ ერსა, არცა არავის სხვა პიროვნებას არ ექნებათ უფლება დავა გაუწიონ ზემოთ ხსენებულ ბერებს, არცა გამოიტაცონ რაიმე მათგან“⁸¹.

სავანის დაარსებიდან ერთი წლის შემდეგ მონასტერს შეემატა მცირე სასულიერო სასწავლებელი, რომლის პირველი მოსწავლეები იყვნენ სტამბულის ბაზარზე გასაყიდად გაყვანილი ბავშვები – გურიიდან და ახალციხიდან სპეციალუ-

⁷⁸ M. Tamarati, დასახ. ნაშრ., გვ. 668; მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესია..., გვ. 728; რ. ჟანენი, დასახ. ნაშრ., გვ. 87.

⁷⁹ შ. ლომსაძე, გვიანი შუასაუკუნეების..., გვ. 72.

⁸⁰ ხელნაწერთა ინსტიტუტი, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, ფ. 787, გვ. 9.

⁸¹ ხელნაწერთა ინსტიტუტი, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, ფ. 787, გვ. 9.

რად ჩაყვანილი ყმანვილები. იმისათვის, რომ ამ სასწავლებელს, სადაც ქართულ ენაზე მიმდინარეობდა სწავლა, ოფიციალური სახე ჰქონოდა, ხარისჭირაშვილმა შეუდგინა სპეციალური დებულება, რომელიც დიდი ბრძოლის შემდეგ 1864 წელს ქალაქ რომში დაამტკიცებინა კარდინალებს⁸². სასწავლებელი პირველად ორწლიანი იყო. 70-იანი წლებიდან იგი სამწლიან სასწავლებლად გადაკეთდა და ქართული სასულიერო სემინარიის შექმნის რეალური პირობები მომზადდა⁸³.

ახლად დაარსებულ ქართულ სკოლაში საღვთისმეტყველო საგნების გარდა ისწავლებოდა: ქართული ენის გრამატიკა, ქართული ლიტერატურა და ისტორია, მათემატიკა, ფიზიკა, ასტრონომია, სადურგლო საქმე და სხვა. დიდი ყურადღება ეთმობოდა ფრანგული და ლათინური ენების სწავლებას. პეტრე ხარისჭირაშვილი განსაკუთრებული გულისხმიერებით ეკიდებოდა სასწავლებელში ქართველი მაჰმადიანების მიზიდვასა და მომზადებას. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ აპირებდა გაეგზავნა ისინი ადგილებზე, როგორც ქართული ენისა და მამულიშვილური გრძნობების დაცვისათვის მებრძოლი მისიონრები. მისი აზრით, როცა ამგვარი მომზადებული პატრიოტებით დაიფარებოდა „თურქეთის საქართველო“, მაშინ დადგებოდა რეალური პირობები საქართველოს სრული გაერთიანებისა⁸⁴. თუ ვირწმუნებთ ზაქარია ჭიჭინაძის მონაცემებს, აღნიშნულ სკოლაში „პირველ წელიწადსვე 100 ყმანვილზე მეტი მოგროვილა სასწავლებლათ“⁸⁵. 1876 წლისათვის უკვე ორი სკოლა იყო „ერთი სავაჟებო და მეორე – საქალეზო“, სადაც 160 მოსწავლე სწავლობდა⁸⁶.

აღნიშნული სასწავლებლის პროგრამის მიხედვით, სწავლის დასრულების შემდეგ, ყველა მოსწავლეს უნდა შესძლებოდა

⁸² ზ. ჭიჭინაძე, აბატი პეტრე..., გვ. 59; შ. ლომსაძე, მიხეილ თამარაშვილი და ქართველი..., გვ. 166.

⁸³ მ. პაპაშვილი, საქართველო-რომის..., გვ. 317.

⁸⁴ შ. ლომსაძე, მიხეილ თამარაშვილი და ქართველი..., გვ. 166-168.

⁸⁵ ზ. ჭიჭინაძე, აბატი პეტრე ხარისჭირაშვილი, ტფილისი, 1895, გვ. 55.

⁸⁶ იქვე, გვ. 58.

ბოდა ფრანგულ და ლათინურ ენებზე წირვის აღსრულება და ფრანგულ სემინარიაში სწავლის გაგრძელება. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა აგრეთვე ლიტერატურული ქართული ენის სწავლებასაც⁸⁷. სასწავლებლის ხელმძღვანელობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მოსწავლეთა შერჩევას. ისინი „განსწავლული“ უნდა ყოფილიყვნენ და მომზადებულნი „ფილოსოფიაში“. მოსწავლის სკოლაში მიღებისას ყურადღება ექცეოდა იმას, თუ ვის შეეძლო გამოსულიყო „სამაგალითო სწავლული“ და ვის შეეძლო გამოსდგომოდა თავისი ცოდნით სამშობლოს⁸⁸. სკოლაში დიდი სიმკაცრე იყო. სწავლაში გამორჩეულ სკოლადამთავრებულ მოსწავლეთა ნაწილი სავანის ხარჯზე სწავლას აგრძელებდა სხვადასხვა ფრანგულ და იტალიურ სემინარიებში. მოსწავლეთა მეტი ნაწილი მაინც სტამბულის იენიშარის ფრანგულ სემინარიაში რჩებოდა, სადაც ქართველი სემინარისტებისათვის კვირაში ორჯერ განკუთვნილი იყო ქართულ ენასა, ლიტერატურასა და ისტორიაში გაკვეთილის ჩატარება⁸⁹. საგულისხმოა, რომ „...ფერიქოვის ქართულ...“ სკოლაში, ... 1895-1897 წლებში ფილოსოფიას და თეოლოგიას ასწავლიდა⁹⁰ მიხეილ თამარაშვილი. მისმა „... სასწავლებელში მისვლამ ერთბაშად შეატრიალა სწავლების საკითხები. გაძლიერდა და გადიდდა ფილოსოფიისა და ისტორიის გაკვეთილების სწავლება, ხოლო პროგრამა უფრო გართულდა და გამრავალფეროვანდა⁹¹.

აქვე უნდა აღინიშნოს შემდეგიც: 1866 წლიდან მამა პეტრე ხარისჭირაშვილი იწყებს მოქმედებას „მოლოზნების სავანის დაარსებისათვის“. „1869-ში უკვე კაი ჯგუფია სამოლოზნო ქართველ მანდილოსნებისა. კათოლიკე ეკლესიის Jus Canonicur-ის მიხედვით, დედათა სავანეები ეპარქიის უმფროსებზედ არიან დამოკიდებულნი, თუკი რომელიმე დამოუკი-

⁸⁷ შ. ლომსაძე, მიხეილ თამარაშვილი..., გვ. 167.

⁸⁸ ხელნაწერთა ინსტიტუტი, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, № 168, ფ. 13-14.

⁸⁹ იქვე.

⁹⁰ შ. ლომსაძე, მიხეილ თამარაშვილი..., გვ. 189.

⁹¹ იქვე.

დებელ ორდენს არ ეკუთვნიან. ეპისკოპოსი ნიშნავს ზედამხედველათ და მრჩევლათ იმ სასულიერო მოძღვარს, რომელიც მას სურს. ასე ნორმალურად სტამბოლის ქართველ კათოლიკე მოლოზანთა საეპარქიულ პაპის წარმომადგენელს ექვემდებარება"⁹². – წერს შალვა ვარდიძე. მოლოზნების „... იურიდიული არსებობა საეკლესიოთ აღიარებულ იქნა 9 მკათათვეს 1871 წელს"⁹³. მათთვის აშენდა „საკუთარი ბინა და სასწავლებელი"⁹⁴. მამა პეტრემ „მოლოზნებს წესდებულებაში ჩაუნერა და მამათა სავანესაც დაავალა, რომ დედათა სავანე ბერებს უნდა ერჩინათ ათიდან თუთხმეტ წლამდე, რომლის ვადის შემდეგ მოლოზნებს თავისით უნდა ეცხოვრათ"⁹⁵. ზაქარია ჭიჭინაძის მიხედვით, სტამბოლში პეტრე ხარისჭირაშვილისაგან დახსნილი „რამდენი გურულ ქალბატონთაგანი... თათრობიდან ქრისტიანობაზე გადმოვიდნენ და კონსტანტინოპოლის დედათ მონასტერში მოლოზნებათ შევიდნენ"⁹⁶.

კონსტანტინოპოლის სავანის მიზნებსა და ამოცანებში გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებოდა. საგამომცემლო საქმიანობის დაწყებას. გულმხურვალე და პატრიოტულად შემართული მამულიშვილი პეტრე ხარისჭირაშვილი ვენეციაში შეწყვეტილი საგამომცემლო საქმიანობის მოგვარებას შეუდგა. მან „... ჩამოასხმევინა სრულიად ახალი ყალიბები, ვენეციის ასოს შინაგვარათ, მაგრამ საკმარისათ თავის ხასიათის მექონი, შეიძინა ყოველივე იარაღი სტამბისა და 1870 წელს უკვე გახსნა სტამბოლში ქართული სტამბა"⁹⁷. შემდეგში სტამბა „... ისე გაფართოვდა, რომ სრულიად დამოუკიდებელი წარმოების სახე მიიღო, რომელსაც ჰყავდა თავისი მომსახურე პერსონალი. 70-80-იან წლებში სტამბის დირექტორად მუშაობდა ანტონ გოზალიშვილი"⁹⁸.

⁹² გ. შარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 249.

⁹³ იქვე.

⁹⁴ იქვე.

⁹⁵ იქვე.

⁹⁶ ზ. ჭიჭინაძე, აბატი პეტრე..., გვ. 81.

⁹⁷ ზ. ჭიჭინაძე, აბატი პეტრე..., გვ. 65.

⁹⁸ შ. ლომსაძე, მიხეილ თამარაშვილი..., გვ. 155; მისივე, გვიანი..., გვ. 73..

როგორც ქართველთა ძმობის, ასევე საგამომცემლო საქმის გამგებელი იყო პეტრე ხარისჭირაშვილი. მან საგამომცემლო საქმე ისე დააყენა, რომ წიგნთა ავტორებსა და მთარგმნელებს ჰონორარიც კი დაუნიშნა, რასაც „შეთხზვის ხარჯი“ და „თარგმანის ხარჯი“ ეწოდებოდა⁹⁹. ზოგიერთ შემთხვევაში „დათარგმნის ხარჯი“ წინდანინაც ეძლეოდა მთარგმნელს¹⁰⁰. არსებული წესის მიხედვით, დასაბეჭდად გამზადებული წიგნი სამ ცალად უნდა წარდგენილიყო. ერთი ცალი ინახებოდა მთავარი მონასტრის ბიბლიოთეკაში, მეორე დედათა მონასტერში, ხოლო მესამე მიდიოდა სტამბაში, ასაწყობად¹⁰¹. ზოგჯერ წიგნთა გადაწერისათვის ცალკე ხარჯი გაიცემოდა¹⁰².

ძალზე პროდუქტიული იყო აღნიშნული სტამბის მუშაობა, საუკუნის გასვლამდე ქართული წიგნები იბეჭდებოდა ანტუან გვიზალიანის სტამბაში, ხოლო მეოცე საუკუნიდან უკვე მას ახალი სტამბა გაუჩნდა, რომელსაც ასე ეწოდებოდა: „საბეჭდავი კათოლიკე ქართველთა სავანისა“¹⁰³. ათიოდე წლის მანძილზე აქ დაიბეჭდა შემდეგი წიგნები:

1. გვირგვინი წამებულთა;
2. მოკლე რიტორიკა, გინა მჭევრმეტყველება, კონსტანტინოპოლს, 1877;
3. წინამძღვარი ზეცისა, გინა წოდების სახმარათ სულიერი დარიგებანი, კონსტანტინოპოლს, 1876;
4. ყვაილის კონა ყრმათა, გინა რჩეული ლექსები, ორ ნაწილათ გამოცემული პეტრე ხარისჭირაშვილის მიერ, კონსტანტინოპოლს, 1878;
5. გზა ცხოვრებისა, ანუ განზრახვანი საუკუნო ჭეშმარიტებისა შედგენილი ნეტარის აღფონსო ლიგორისაგან, თარგმნილი გერმანულიდან, კონსტანტინოპოლს, 1878; ამ წიგნის წინასიტყვაობაში პეტრე ხარისჭირაშვილი წერს: „აღ-

⁹⁹ შ. ლომსაძე, მიხეილ თამარაშვილი..., გვ. 155.

¹⁰⁰ შ. ლომსაძე, მიხეილ თამარაშვილი..., გვ. 155; მისივე, გვიანი..., გვ. 73.

¹⁰¹ შ. ლომსაძე, მიხეილ თამარაშვილი..., გვ. 156.

¹⁰² იქვე.

¹⁰³ ქართველები კონსტანტინოპოლში და სპარსეთში..., გვ. 48.

ფონს ლიგორი გამოჩენილი მქადაგებელია, ამის ქადაგებანი გერმანულიდან ყველა ევროპულს ენებზედ სთარგმნეს და დაბეჭდეს და ჩვენც ვსთარგმნეთ ქართულს ენაზე¹⁰⁴;

6. მოკლე ფილოსოფია, გინა სიბრძნის მოყვარეობა, კონსტანტინოპოლს, 1880;

7. მოკლე ფრანგულ-ქართული ღრამატიკა, კონსტანტინოპოლს, 1881;

8. საქრისტიანო მოძღვრება გინა კატეხიზმო. საქართველოს რომის კათოლიკეთათვის, 1877;

9. პატარა საქრისტიანო მოძღვრება, ქართული ანბანით დანერილი ყრმათათვის, საქართველოს რომის კათოლიკე ბავშვებისათვის. დაიბეჭდა 10 ათასი და დაარიგა მუქთად ხალხში, 1876;

10. ნალკოტი ლოცვათა, რომელიც შეიცავს სხვა და სხვა რჩეულთა და ფრიად სახმართა ლოცვათა, 1877;

11. მზა პასუხი, კონსტანტინოპოლს, 1882;

12. თამარ მეფის სურათი, კონსტანტინოპოლი, 1875¹⁰⁵.

როგორც ვხედავთ, სულ მცირე ხნის მანძილზე კონსტანტინოპოლის სტამბაში დაიბეჭდა 12 წიგნზე მეტი. აქ დასახელებული წიგნების გარდა პეტრე ხარისჭირაშვილის მრავალი ნაშრომი დარჩა დაუბეჭდავი. მათი რიცხვი 36-ზე მეტს შეადგენს¹⁰⁶. ძნელია ითქვას თუ რა მიზეზებმა შეუშალა ხელი ამ ხელნაწერთა გამოქვეყნებას. ერთ-ერთი ამ მიზეზთაგანი შეიძლება ამოვიკითხოთ პატრ ათანასე ნასყიდაშვილის წერილში, რომელსაც იგი წერდა 1883 წელს ზაქარია ჭიჭინაძეს: „ძნაო ზაქარია! პ. ხარისჭირაშვილს აპოპლექსმა დაჰკრა, ეხლა ევროპაში წავიდა, ჩვენი წიგნების ბეჭდვა მიტომ შევაჩერეთ, რადგანაც საქართველოში ენის სტილი დაგვიწუნეს, თქვენი პატივისმცემელი ათანასე ნასყიდოვი, აღრიანოპოლი, 1883 წ.“¹⁰⁷. აქედან გამომდინარე გადაჭრით ვერ ვიტყვით ამ

¹⁰⁴ ზ. ჭიჭინაძე, აბატი პეტრე..., გვ. 66-71.

¹⁰⁵ იქვე, გვ. 66-71.

¹⁰⁶ შ. ლომსაძე, მიხეილ თამარაშვილი..., გვ. 172-173; გ. შარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 470-472.

¹⁰⁷ ზ. ჭიჭინაძე, აბატი პეტრე..., გვ. 71.

ფაქტორმა შეაფერხა წიგნების ბეღვა კონსტანტინოპოლში, თუ რაიმე სხვა გარემოებამ. რადგან ამ მიზეზის გარკვევა არ შეადგენს ამჟერად ჩვენს მიზანს, მასზე არ შევჩერდებით. რაც გაკეთდა ამას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა უცხოეთში ქართული კულტურის პროპაგანდის თვალსაზრისით, რომლის მნიშვნელობის შეფასებაც შეუძლებელია.

ამრიგად, დროის სულ მცირე მონაკვეთში კონსტანტინოპოლის სავანე ქართული ეროვნული კულტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კერად იქცა. აქ თავმოყრილი ქართველების უპირველესი მიზანი ერისათვის სამსახური იყო. პეტრე ხარისჭირაშვილს მხარში ედგნენ მამულზე მხურვალედ შეყვარებული ალფონს ხითარიშვილი, სტეფანე გიორგიძე, ივანე მამულაშვილი და სხვები. ამ სავანეში აღიზარდნენ ჩვენი კულტურისა და მეცნიერების ისეთი კორიფეები, როგორებიც იყვნენ პროფესორი – ისტორიკოსი მიხეილ თამარაშვილი, ბენიშუთის უნივერსიტეტის პროფესორი – არაბისტი შალვა ვარდიძე, გამოჩენილი ქართველოლოგი მიქელ თარხნიშვილი და საეკლესიო მუსიკის მკვლევარი – ალიოზ ბათმანიშვილი, სარატოვის სასულიერო სემინარიის რექტორი იოანე (მიხეილ) ანტონაშვილი (ანტონოვი), პატრი პიო ბალიძე და სხვები. თითოეული მათგანის პიროვნებაზე უდიდესი გავლენა მოახდინა მათმა აღმზრდელმა – მამა პეტრე ხარისჭირაშვილმა¹⁰⁸.

1880-იანი წლებისთვის ქართველ კათოლიკოსებს ოთხი სკოლა გააჩნდათ: პერაში პაპა-ქეფრუის წმინდა იოსების სკოლა, დარდანელის სკოლა, სკუტარის სკოლა, ფერი-კვეის სკოლა, რომლის მოსწავლეთა „... მიზანი სამშობლოში დაბრუნება და აქ მოღვაწეობა იყო. მათ ენატრებოდათ თავიანთი სამშობლო და მასზე ფიქრში აღამებდნენ და ათენებდნენ“¹⁰⁹.

კონსტანტინოპოლის ქართველთა ახალშენის სამრევლო ეკლესიად ირიცხებოდა წმინდა პეტრეს ეკლესია გალათში. 1882 წელს მათი სასულიერო მოვლა გადაეცათ ქართველ მღვდლებს, რომლებსაც პირველ მსოფლიო ომამდე პერას

¹⁰⁸ მ. პაპაშვილი, საქართველო-რომის..., გვ. 319.

¹⁰⁹ შ. ლომსაძე, მიხეილ თამარაშვილი..., გვ. 171-173.

უბანში პაპა ქეფრუიშიც ჰქონდათ პატარა სასწავლებელი და ეკლესია. 1910 წელს თვით სავანის ეკლესია სამრევლო ეკლესია გახდა და უდიდეს დღესასწაულებშიც ქართველებიც აქ მოდიოდნენ¹¹⁰.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ განზოგადებული სახით შეიძლება დავასკვნათ: კონსტანტინოპოლის ქართული სავანის მოღვაწეობის ძირითადი მიზანი იყო: პირველი, ეროვნული სამღვდელთაშობის შექმნა, რომელიც შესძლებდა ნარმატივით ემოღვანა საქართველოში კათოლიკური სარწმუნოების გასავრცელებლად. „ამიტომ იყო, რომ დასაწყისში მღვდლები სომხურ ან ლათინურ ტიპიკონს იყენებდნენ, იმისდა მიხედვით, თუ ქართველები ამ ორი ტიპიკონიდან რომელს ანიჭებდნენ უპირატესობას“¹¹¹. ეს იყო პირველი ეტაპი, ხოლო მომდევნო ეტაპი უნდა დასრულებულიყო ბერძნული წესის ქართულ ენაზე დადგენით¹¹². კონგრეგაციის წევრებს ამ წესით უნდა ესარგებლათ; მეორე, კათოლიკური სამყაროსათვის გაეცნოთ ქართველ კათოლიკეთა საქმიანობა, რათა ამ გზით დაემკვიდრებინათ ევროპაში აზრი, რომ ნამდვილად არსებობდნენ ქართველი კათოლიკენი. ეს იქნებოდა ის საშუალება, რომლითაც გააბათილებდნენ სომხების მიერ დამკვიდრებულ აზრს, რომ არ არსებობდნენ ქართველი კათოლიკეები; მესამე, სავანის მიზანი იყო ქართველი ხალხის გამოღვიძება-აღორძინება სარწმუნოებრივად, პოლიტიკურად და კულტურულად. ფიციუცხოეთში თავისი არსებობით ცოცხალი პროტესტის ნიშანი იყო რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის წინააღმდეგ. ქართველმა მამებმა ეს სავანე აქციეს ეროვნულ კერად, სადაც არა მარტო მრავალი ქართველი ახალგაზრდა მუდამ აფარებდა თავს, არამედ მრავალი პოლიტიკური მოღვაწეც, განურჩევლად სარწმუნოებისა და მისწრაფებებისა. ამ საზოგადოების წყალობით ვატიკანი და და-

¹¹⁰ ქართველები კონსტანტინოპოლში და სპარსეთში..., გვ. 33.

¹¹¹ რ. ჟანენი, დასახ. ნაშრ., გვ. 87-88.

¹¹² M. Tamarati, დასახ. ნაშრ., გვ. 667; მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესია..., გვ. 727.

სავლეთის სხვა ქვეყნები მარადის ეცნობოდნენ საქართველო-სა და ქართველების ისტორიას და მათ თანამედროვე პოლიტიკურ, ეკონომიკურ და რელიგიურ მდგომარეობას; მეოთხე, კონსტანტინოპოლის ქართველი კათოლიკენი დიდ სულიერ სამსახურს უწევდნენ თავის სამშობლოს და იქ ნაკურთხი მღვდლების ხელში იყო ახლა საქართველოში კათოლიკეთა ყველა ეკლესია.

თავი მესამე

ქართული კულტურის კერა საფრანგეთში XIX საუკუნის მეორე ნახევარში

ჩვენს ხელთ არსებული პირველწყაროების მიხედვით, XIX საუკუნის 70-იანი წლებისათვის თვისობრივად ახალი ეტაპი დაიწყო უცხოეთში, კერძოდ, დასავლეთში ქართული კულტურის კერათა მოღვაწეობის ისტორიაში. როგორც ირკვევა, აღნიშნული დროისათვის მომნიშვნელოვანია ნიადაგი, კონსტანტინოპოლში მოღვაწე ქართველ კათოლიკეებს თავიანთი კულტურის საქმიანობა გაეშალათ საფრანგეთში, კერძოდ, ქ. მონტობანში. ამასთან დაკავშირებით შ. ლომსაძე წერს: „ქართველ კათოლიკე მოძღვართა საქმიანობა კონსტანტინოპოლში თანდათან ისე გაძლიერდა და გაიზარდა, რომ 70-იანი წლებისათვის ამ ძმობამ ელზასში¹ (საფრანგეთში) დააფუძნა ქართველ კათოლიკეთა ახალი ძმობა“².

მოტიანილი ციტატა მხოლოდ ზოგადად გვიჩვენებს, თუ როდის დაიწყო ქ. მონტობანში ქართველ კათოლიკეთა ძმობამ თავისი საქმიანობა, მაგრამ ის არ პასუხობს შემდეგ კითხვებს: 1. რა ფაქტორები განაპირობებდა საფრანგეთში – მონტობანში ქართველ კათოლიკეთა ახალი ძმობის დაარსებას და 2. რა მიზანს ისახავდა იგი? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად რაიმე ზოგადი ან კონკრეტული სახის წყარო არ გავაჩნია, არც სპეციალურ ლიტერატურაშია გამოთქმული რაიმე მოსაზრე-

¹ ეს უზუსტობაა, რადგან ქ. მონტობანი ტარნი და გარონის დეპარტამენტის ადმინისტრაციული ცენტრია. მონტობანი მდებარეობს პარიზის სამხრეთით 630 კმ-ზე. ქალაქი განლაგებულია მდ. ტარნის მარჯვენა მხარეზე იქ, სადაც მას ერთვის მდ. ტესკუ. მონტობანი საფრანგეთის უძველესი საეპისკოპოსო (1659 წლიდან) ქალაქია, საყდარი აქ აგებულია 1692-1739 წწ. და აქვს ექსპონატებით მდიდარი მუზეუმი. ძველთაგანვე აქ არსებობდა პროტესტანტების თეოლოგიური ფაკულტეტი.

² შ. ლომსაძე, ქართული კულტურის ზოგიერთი კერის შესახებ მე-19 საუკუნის ევროპაში, ჟურნ: „ცისკარი“, 1962, №7, გვ. 106; მისივე, მიხეილ თამარაშვილი და ქართველი კათოლიკენი, თბ., 1984, გვ. 161.

ბა. ვერც ჩვენ ვახერხებთ ამჯერად ამ კითხვებს გავცეთ პასუხი. ვადგავართ რა, ვარაუდის გზას, პირველ კითხვას ვპასუხობთ შემდეგნაირად: საფრანგეთში – მონტობანში ქართველ კათოლიკეთა კონგრეგაციის დაარსება ემყარებოდა შემდეგ ფაქტორებს: პირველი, როგორც ცნობილია, საქართველო – საფრანგეთის ურთიერთობას დიდი ხნის ტრადიციები ჰქონდა; მეორე, მართალია, საქართველო რუსეთის მიერ დაპყრობილი ქვეყანა იყო, მაგრამ დამპყრობლის ინტერესებიდან გამომდინარე საქართველოში (თბილისში, ქუთაისში ფოთსა და ბათუმში) არსებობდა საფრანგეთის საკონსულო, რომელიც 1821 წელს გაიხსნა და აქ თითქმის ასი წელი არსებობდა. იმ პერიოდში, როცა საფრანგეთში, მონტობანში, მოღვაწეობდა ქართული კულტურის სავანე (1875-1901) მარტო „1872 წელს თბილისის საკონსულოში შემოვიდა და გავიდა 160 ათასი დეპეშა, ქუთაისის ვიცე საკონსულოში – 50 ათასი, ფოთის ვიცე საკონსულოში 17 ათასი“³. პირველწყაროების მიხედვით, 1872-1890 წლებში საფრანგეთის აღნიშნული წარმომადგენლობის საქმიანობის შემდეგი სურთი იშლება საქართველოში: ხსენებული საკონსულო და ვიცე-საკონსულოები აქტიურად მონაწილეობდნენ ფოთისა და ბათუმის ნავსადგურების მნიშვნელობის გაზრდისათვის საფრანგეთის აღმოსავლეთის ვაჭრობაში; თბილისის კონსული ტრამეზური დიდ მნიშვნელობას აძლევდა საქართველოდან საფრანგეთში ჭიათურის მანგანუმის გატანას. „ამ წამოწყებას; – წერდა კონსული თავის საგარეო საქმეთა მინისტრს, – დიდი მომავალი აქვს. ამას მოჰყვება საქართველოდან საფრანგეთში დიდი რაოდენობით მისი გატანა და მაშასადამე, დიდი მოგებაც“⁴; კონსული შ. დე კუტული კი დიდად იღწვოდა მარსელსა და თბილისს შორის სავაჭრო ურთიერთობების გაფართოებისათვის. მისი დაინტერესების სფეროს შეადგენდა საქართველოში მევენახეობის

³ ი. ტაბალუა, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა 1917-1921 წწ., გვ. 371.

⁴ იქვე, გვ. 374.

განვითარება⁵. 1884 წლის ივლისიდან თბილისში საფრანგეთის კონსულის პოსტი ეკავა თეოდორ მეიერს⁶. „იგი თავის წერილებში მთავარ ყურადღებას აქცევდა საფრანგეთის ვაჭრობის გაფართოებას აღმოსავლეთში და ამ საქმეში ფოთისა და ბათუმის როლს“⁷. საგულისხმო ფაქტია ისიც, რომ „1884 წლის 16 დეკემბერს საფრანგეთის გენერალურმა ასამბლეამ დაამტკიცა თბილისში საფრანგეთის „საქველმოქმედო საზოგადოების სტატუსი“. საზოგადოება მაშინვე შეუდგა მუშაობას“⁸.

ვფიქრობთ, მოტანილი მასალა საკმარისია იმისათვის რათა დავასკვნათ, რომ რუსეთის კოლონია-საქართველოსა და საფრანგეთს შორის მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური კავშირი არსებობდა. ცხადია, ეს არ იყო სუვერენული საქართველოს ურთიერთობა საფრანგეთთან, მაგრამ შექმნილ ვითარებაში ამ კავშირის მნიშვნელობა განუზომლად დიდი იყო, რადგან მუდმივად ევროპულ ფასეულობებზე ორიენტირებული ჩვენი ქვეყანა საფრანგეთის სახით იმედის თვალით შეჰყურებდა მომავალს. ამიტომ, „დასავლეთ ევროპის დიდი სახელმწიფოებიდან, XIX საუკუნის მეორე ნახევრის პროგრესული ქართველი ხალხის საუკეთესო შვილები დაუფარავი სიმპატიით იყვნენ განწყობილნი ამ ქვეყნისა და მისი ხალხის მიმართ“⁹. უფრო მეტიც, „ევროპის არცერთი ქვეყნის ისტორია, კულტურული ყოფა და სოციალურ-პოლიტიკური ვითარება არ გაშუქებულა იმდროინდელი ქართული პრესის ფურცლებზე ისე ვრცლად და თანმიმდევრულად, როგორც საფრანგეთის“¹⁰.

⁵ ი. ტაბალუა, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა 1917-1921 წწ., გვ. 375-376.

⁶ იქვე, გვ. 377.

⁷ იქვე, გვ. 377.

⁸ Status de la Societe Francaise de Bienfaisance Tiflis. Adoptes par L'Assamblée Général e du 16/28 decembre 1884. Tiflis, 1888, II fos.

⁹ ვ. დონაძე, საფრანგეთის ახალი ისტორიის აქტუალური პრობლემები და ქართული პუბლიცისტიკა (XIX საუკუნის მეორე ნახევარი), თბ., 1978, გვ. 11.

¹⁰ ვ. დონაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 11.

ეს არ იყო შემთხვევითი და არც ცნობისმოყვარეობით აღძრული სურვილების უბრალო დაკმაყოფილება, არამედ მას ღრმა და ანგარიშგასანევი საფუძვლები ჰქონდა. გამოჩენილი ქართველი მოაზროვნის გერონტი ქიქოძის თქმით: „ნიკო ნიკოლაძისა და სერგეი მესხის თაობის ახალგაზრდობაში მეტად მაღალი იყო საფრანგეთის პრესტიჟი... ამ ქვეყანაში ხედავდნენ ისინი ეროვნული დემოკრატიის მედროშეს, მის დედაქალაქ პარიზში კი – მსოფლიო კულტურის აკვანსა და მექას“¹¹. ნიკო ნიკოლაძის თქმით კი, საფრანგეთის ხასიათი, განათლება, ცხოვრება და მდგომარეობა სხვა ქვეყნებზე მაღლა იდგა¹¹. ერის მამა ილია ჭავჭავაძე ფრანგ ხალხს, როგორც ცნობილია, „საოცარი ერის“ სახელით მოსაგვს. იგი ოცნებობდა დიდ საფრანგეთსა და საქართველოს შორის შესაძლებელი ხიდის გადებაზე¹³. ცხადია, ამ შეფასებიდან არაა ძნელი გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნა: XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული საზოგადოებრივი აზრი აშკარად სიმპათიით იყო განწყობილი საფრანგეთის მიმართ და მიილტვოდა ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური და კულტურული კონტაქტების დამყარებისაკენ, რომელსაც ხანგრძლივი ისტორიული ნიადაგი ასაზრდოებდა. ამის ნიადაგზე ქართველ კათოლიკეებისათვის საფრანგეთი, ვითარცა განვითარებული კათოლიკური ქვეყანა, თავიანთი მიზნების განსახორციელებლად ყველაზე ხელსაყრელი იყო, ამავდროს, ქართველი კათოლიკე სასულიერო პირები საფრანგეთის სახით ხედავდნენ მათი საქმიანობის გულშემამტკივარ ქვეყანას. „ფრანგებისთანა დიდად კაცთმოყვარე ტომი, – წერდა ივანე გვარამაძე, – არა მარტო თანავიგრძნობს ჩვენ ყოველ კეთილ საქმეში, არამედ საქმითაც საჭირო შემწეობას გვაძლევს...“¹⁴ იმავე გვარამაძის სიტყვებით, ფრანგებისთანა „...კაცთმოყვარე...ვეროპელების არცერთს ტომში არ მოიძევება“¹⁵.

¹¹ გ. ქიქოძე, მოგონებები, თბ., 1956, გვ. 75.

¹¹ იქვე, გვ. 22.

¹³ გაზ.: „დროება“, 1884, №263.

¹⁴ გაზ.: „ცნობის ფურცელი“, 1897, №87.

¹⁵ იქვე, 1897, №98.

რაც შეეხება მეორე კითხვას, ამაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს გაზეთ „დროება“-ში გამოქვეყნებული სტატია, რომლის ავტორი ასე აღწერს მონტობანში მათი საქმიანობის მიზანს: ამ წიგნების (იგულისხმება მონტობანში ქართულ ენაზე დაბეჭდილი წიგნები – ხაზგასმა ჩვენია) ნათლად გამოყვანას და გადმოცემას თუმცაღა დიდი ხნის თავგანწირული შრომა და დიდი წარსაგები დასჭირდა, მაგრამ, რადგან დიდად გვიყვარდა და მიგვაჩნდა საქართველო, და გვქონდა ნატვრა მისდამი სამსახურის ჩვენებისა, ყოველნაირი მძიმე შრომანი და წარსაგების მსხვერპლნი თავზეც ავიღეთ, რათა მისცემოდა საქართველოს. საზოგადოებას შემწეობა წარმატებისა სწავლაში”¹⁶. უფრო მეტიც: „მოკლე ქართული გრამატიკის” შესავალში ვკითხულობთ: „დიდი ხნის აქეთ მწუხარე გულით ვხედავდით, – წერს ავტორი, – რომ არ იპოებოდნენ ქართულს ენაზედ დასტამბულნი სასარგებლო და გამოსადეგი წიგნები და ამითი ყოვლითურთ მოკლებული იყო სწავლის საშუალობისგან მთელი საქართველოს საზოგადოების ფრიად უდიდესი ნაწილი, იგი, რომელმანც ქართული ენის მეტი სხვა ენა არ იცის”¹⁷. „აი, ამფერნი სამწუხარო გარემოებანი, – აგრძელებს ავტორი, – იყვნენ, რომელმანც აღგვძრეს ჩვენ, რათა მოყვასის სიყვარული თანამდებობის შესასრულებლად, რაოდენიც შეგვეძლო, გვეშრომა გულმოდგინებით ამ ფრიად სასარგებლო საქმისათვის. ამ მძიმე და ძნელი საქმის თავზედ აღებაზედ შეგვაგულიანა ჩვენ იმანაც, რომ ამნაირი მოყვასის სიყვარული საქმის აღსრულება ჩვენი სამონაზვნო საზოგადოების წესდებულებისაც თანახმა იყო, რადგან სხვა არაფრისთვის არის შედგენილი ეს ჩვენი მონასტრებრივი ერთობა (Congregation) თუ არა ორი რამისთვის: ა) რათა ქვეყნიური გართხმულობისაგან მოცილებით და მონაზვნებრივს მყუდრო მდგომარეობაში მყოფნი, შევიძლოთ უფრო კეთილად მსახურება ღვთისა საცხოვნებლად სულისა ჩვენისა, და მეორედ, რა-

¹⁶ გაზ.: „დროება”, 1879, №142.

¹⁷ გაზ.: „დროება”, 1879, №139; მოკლე ქართული გრამატიკა, 1877, ქალაქსა მონთობანს, გვ. ა, შესავალი.

თა დიდებისათვის ღვთისა, რაც შეგვიძლია ვიშრომით სასიკეთოდ მოყვასისა"¹⁸.

ამავე ციტატის გაგრძელებაში უფრო გამოკვეთილად ვხედავთ მონტობანში დაფუძნებული ქართული კულტურის კერის უშუალო მიზანს, კერძოდ: „...ქართული ენის მოუბართა... საეკლესიო გინა საბაროხო სკოლებში მასწავლებლობის ქმნით, ვასწავლოთ... კითხვა, წერა, კატეხისი, არითმეტიკა და სხვა ამნაირი სასწავლო რამეები... ეს არის მხოლოდ მიზანი ჩვენი მონასტრებრივი და მონაზონებრივი; სულიერი ძმობისა და წესდებულობისა. ამისათვის ჰკისრეთ ყოველი სიძნელე, რათა დათარგმნილ იყვნენ სხვადასხვა ენებისაგან ქართულს ენასა ზედა და გამოცემულ იყვნენ რავდენიმე საჭირო და გამოსაადეგი წიგნები, ზემორედ თქმული აღსრულისა და დანიშნულობისათვის“¹⁹.

ყოველივე ამის შემდეგ ვფიქრობთ, მოყვანილი მასალა გვაძლევს საფუძველს ასე დავასკვნათ: კონსტანტინოპოლის შემდეგ მონტობანში ქართული კულტურის კერის დაარსება ძირითადად ნაკარნახევი იყო საქართველოში სწავლა-განათლების გაშლისა და მისი განვითარება-აღმავლობის ხელშეწყობის ინტერესებით. ამ აზრის განსამტკიცებლად მოვიშველიებთ იმ არგუმენტსაც, რომ „მონტობანის გამომცემლნი უფრო ლექსიკონებისა და სასოფლო სკოლებისათვის სახელმძღვანელოების გამომცემით იყვნენ გატაცებულნი“²⁰. სახელმძღვანელოების გამრავლებით ისინი ცდილობდნენ ღარიბი ქართველი ბავშვებისათვის შეექმნათ სწავლის საშუალება“. ამ წიგნთა გამომცემლებმა იცოდნენ, რომ ქართველი საზოგადოება ამ დროისათვის მთელი მონდომებით ეკიდებოდა სწავლების საკითხს: აშენებდა სკოლებს, ქირობდა მასწავლებლებს და სხვა“²¹. ხსენებული „ქართული გრამატიკის“ შესა-

¹⁸ მოკლე ქართული გრამატიკა, 1877, ქალაქსა მონტობანს, გვ. ა, შესავალი.

¹⁹ მოკლე ქართული გრამატიკა, 1877, ქალაქსა მონტობანს, გვ. დ.

²⁰ შ. ლომსაძე, ქართული კულტურის ზოგიერთი..., გვ. 107; მისივე, მიხეილ თამარაშვილი..., გვ. 162.

²¹ შ. ლომსაძე, მიხეილ თამარაშვილი..., გვ. 162.

ვალში ვკითხულობთ: „...სკოლებისათვის საჭირო სახელმძღვანელო წიგნები კი არსად არ იყვნენ, რომლებითაც შესძლებოდათ მასწავლებელთა გაკვეთილის მიცემა ყრმათათვის და ყრმათაცა სწავლა რამისა. ალაშენე და განამრავლე რამდენათაც გინდა სკოლები, განანესე ამათში რამდენათაც გინდა მეცნიერნი მასწავლებლებნი, ალავსე სკოლები ბოვშებით, რა სარგებლობა წარმოსდგება ამათგან, თუ არ იქნებიან თანვე დასტამბული წიგნები უხვად, რომელბზედაც შეიძლებოდეს გაკვეთილის მიცემა და სწავლება ყრმათა?“²². ასე სვამდნენ კითხვას მონტობანში მოღვაწე ქართველი პროგრესისტები და სრულიად სამართლიანად ასაბუთებდნენ, რომ საქართველოში სკოლების გამრავლებისათვის საჭირო იყო სასწავლო წიგნების გამრავლება. მათი საქმიანობის კეთილშობილური და მამულიშვილური მიზანი იმაში მდგომარეობდა, რომ მომავალ ახალ თაობას მისცემოდა „საშუალება მეცნიერებაში დაწინაურებისა“²³.

ერთი სიტყვით, აღნიშნული სახის ნაშრომებმა განსაზღვრა შემდეგში მონტობანის ქართული კულტურის კერის ხანმოკლე ისტორია. ვფიქრობთ, არ გადავჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ მონტობანის კერის დაარსებით მათ სურდათ საქართველო ჩაერთოთ ევროპული კულტურის სააზროვნო სივრცეში. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ისმება შემდეგი კითხვა: რომელ წელს დაარსდა მონტობანში ქართველ კათოლიკეთა ძმობა? უშუალო წყაროების უქონლობის გამო ძნელია ამ კითხვას პირდაპირ ვუპასუხოთ, მაგრამ ჩვენს ხელთ არსებული ცნობები იძლევა საშუალებას, რომ სავანის დაარსების თარიღი დადგინდეს. ტარნისა და გარონის პრეფექტისადმი საფრანგეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთო უშიშროების დირექტორის წერილში, რომელიც დაწერილია 1885 წლის 9 ივლისს ვკითხულობთ: „ბატონო პრეფექტო! ბატონმა საგარეო საქმეთა მინისტრმა (მარკიზ დე ნოაი - ს.გ.) მიაქცია ჩემი (საერთო უშიშროების დირექტორი -

²² ქართული ენის გრამატიკა, გვ. ა-ბ.

²³ გაზ. „დროება“, 1879, №142.

მ. ლევაიანი - ს. გ.) ყურადღება ერთ თხოვნას, რომლითაც ქართველ მამათა „უმანკოდ ჩასახვის მსახურთა“ კონგრეგაციამ მას მიმართა, რათა მიიღოს ნებართვა ამ კონგრეგაციის მიერ მონტობანში, დაახლოებით 10 წლის წინათ (ხაზგასმა ჩვენია) დაარსებული სახლის დაბრუნებაზე, რომელიც 1880 წლის დეკრეტით დაუხურიათ²⁴. მონტობანის მერი ალ. ბერუი 1885 წლის 13 აგვისტოს წერილით ტარნისა და გარონის პრეფექტისადმი იუწყებოდა: გადმომეცით რა საგარეო საქმეთა მინისტრის სახელზე გაგზავნილი საქმე, ქართველ მამათა „უმანკოდ ჩასახვის“ კონგრეგაციის მსახურთა სახელით, რათა მიეღოთ ნებართვა მათ მიერ მონტობანში 10 წლის წინათ დაარსებული სავანის (ხაზგასმა ჩვენია), რომელიც დახურულ იქნა 1880 წლის დეკრეტით, ხელახლა გახსნაზე, თქვენ მთხოვეთ, გამეცნო თქვენთვის რას წარმოადგენდა ეს სახლი იმ დეკრეტის განხორციელების წინ და ჩემი პირადი აზრი მისი ხელახლა გახსნის შესახებ²⁵.

ვფიქრობთ, მოხმობილი წყაროები იძლევა იმის საშუალებას, დაბეჯითებით ვამტკიცოთ, რომ მონტობანში ქართველ კათოლიკეთა სავანე დაარსდა 1875 წელს. ამ წყაროების ინფორმაციის სისწორეში ეჭვის შეტანა დაუშვებელია, რადგან საფრანგეთის სახელმწიფო ორგანოები რაიმე გადანყვებილების მისაღებად დაუზუსტებელ ინფორმაციებს არ დაეყრდნობოდნენ. ეს ასეც რომ არ იყოს, პეტრე ხარისჭირაშვილს მაინც ეცოდინებოდა ზუსტად, თუ როდის დაარსდა ხსენებული სავანე. საფრანგეთის ოფიციალური ორგანოების აქ მოტანილი წერილები კი, როგორც ვიცით, ეყრდნობა ხარისჭაშვილის ინფორმაციას. მიგვაჩნია, ჩვენი არგუმენტები სარწმუნოა და აღნიშნულ წყაროებში ეჭვის შეტანა დაუშვებელია.

ახლა ცოტა უკან დავბრუნდეთ და მოვლენებს თანმიმდევრობით მივყვეთ. როგორც თავიდანვე ითქვა, XIX საუკუნის 70-იან წლებისათვის მომზადდა საფუძველი კონსტანტი-

²⁴ ი. ტაბალუა, ქართული კულტურის..., გვ. 173; მისივე, საქართველო-საფრანგეთის..., გვ. 430.

²⁵ იქვე, გვ. 433.

ნოპოლში მოღვაწე ქართველ კათოლიკეებს შორის, რომ მონტობანში დაეარსებინათ ქართული კულტურის კერა. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ საქმის თაოსანი და სულისჩამდგმელი გახლდათ ჩვენთვის კარგად ცნობილი პეტრე ხარისჭირაშვილი. ასეთ დიდ საქმეში დაულალავ მოღვაწეს გვერდში ამოუდგნენ ანდრია წინამძღვრიშვილი²⁶ და სტეფანე გიორგიძე. ამ ქართველმა მამებმა, შეიძლება უკვე დაბეჯითებით ითქვას, რომ 1875 წელს ქ. მონტობანში ეგალიტეს ქუჩაზე ერთი პატარა სახლი შეიძინეს ბალითურთ და აქ ქართული სავანე დააარსეს²⁷. ამ სავანის „... მთავარი მოძღვარი იყო ანდრია წინამძღვრიშვილი“²⁸. ეს უკანასკნელი „... მეტად ენერგიული ხელმძღვანელი და პეტრე ხარისჭირაშვილივით დაუზარელი მუშაკი გამოდგა“²⁹. სწორედ მისი თაოსნობით მოხდა პარიზიდან საბეჭდო მანქანის ჩამოტანა, „... რომელიც 500 ფრანკი დაჯდა“³⁰. მისი მზრუნველობით მოგვარდა სტამბის სრულყოფილი გამართვა.

რაც შეეხება ალფონს ხითარიშვილს³¹, ამ „უნარჩინებუ-

²⁶ ანდრია წინამძღვრიშვილი მამა პეტრე ხარისჭირაშვილის თანამედროვეა. მან მამა პეტრესთან ერთად დიდი წვლილი შეიტანა კონსტანტინოპოლის სავანის კულტურულ საქმიანობაში. მონტობანში ქართველთა სავანის დაარსების შემდეგ, იგი იქ დაინიშნა ქართული მონასტრის მთავარ მოძღვრად, მისი თანხმობით დაიწყო ქართული წიგნების გამოცემა მონტობანში (შ. ლომსაძე, მ: თამარაშვილი); ი. ტაბალუა, ქართული კულტურის კერები საფრანგეთში XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ჟურნ.: „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1978, №1, გვ. 162; მისივე, საქართველო საფრანგეთის ურთიერთობა 1917-1921 წლებში, თბ., 1996, გვ. 417.

²⁷ გაზ.: „ცნობის ფურცელი“, - 1897, №87.

²⁸ შ. ლომსაძე, ქართული კულტურის..., გვ. 107; მისივე, მიხეილ თამარაშვილი..., გვ. 160.

²⁹ შ. ლომსაძე, მიხეილ თამარაშვილი..., გვ. 160.

³⁰ იქვე, გვ. 161-162.

³¹ ალფონს ხითარიშვილი (1840-1911). გამორჩეული კათოლიკე სასულიერო მოღვაწე. დაიბადა ახალციხეში, განათლება მიიღო კონსტანტინოპოლში, ვენეციასა და რომში, მღვდლად ეკურთხა 1864 წელს. 1866-76 წწ. იყო თბილისის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის ვიკარიუსი, 1877 წელს ენეოდა ქუთაისში მღვდლობას, 1878-

ლეს ქართველს³², მან თავისი მამულიშვილური გულმხურვა-ლებით დიდი თანადგომა და დახმარება აღმოუჩინა ანდრია წინამძღვრიშვილს. ჯერ-ჯერობით ვერ ხერხდება დაზუსტება, თუ როდის უნდა გადასულიყო სამოღვაწეოდ ალფონს ხითარიშვილი მონტობანში. ამასთან დაკავშირებით ზ. ჭიჭინაძე წერს: „უკანასკნელ დროს კი, ანუ 1890 წელს იგი თბილისიდან კონსტანტინოპოლს გაემგზავრა, აქ დაშთა, საქართველოში აღარ დაბრუნდა, მერე, ანუ პეტრე ხარისჭირაშვილის სიკვდილის შემდეგ მას მიანდევს კონსტანტინოპოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტრის უფროსობა. რამდენიმე წლის შემდეგ იგი გადაყვანილ იქნა მონტობანს (ფრანცია) იქაურ ქართველ-კათოლიკეთა მონასტრის წინამძღვრად, სადაც იგი გარდაიცვალა 24 მარტს, 1909 წელს³³, შობიდან 69 წლისა“³⁴.

ჩვენ ამჯერად საკონტროლო მასალით ვერ შევძელით ზ. ჭიჭინაძის ამ ცნობის დაზუსტება. თვით ავტორი კი არ უთითებს თავისი ინფორმაციის წყაროს. შეიძლება ითქვას, მას ეს

1886 წწ. ოდესის გიმნაზიის მოძღვარი; 1886-1892 წწ. თბილისის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის მღვდელი. 1890 თუ 1892 წელს დატოვა საქართველო და მოღვაწეობა დაიწყო კონსტანტინოპოლის სავანეში. თავდაპირველად პეტრე ხარისჭირაშვილის მოადგილე, ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ (1890 წ.) გახდა აღნიშნული სავანის წინამძღოლი (1898-1905). რამდენიმე წლის შემდეგ გადაიყვანეს მონტობანში ქართველ კათოლიკეთა მონასტრის წინამძღვრად. ალფონს ხითარიშვილი იყო განათლებული, მჭერმეტყველი, ცნობილი მქადაგებელი, ფლობდა ევროპულ ენებს. 1873 წელს თბილისში დაიბეჭდა ლათინურდან ქართულად თარგმნილი „ენების კვირა“ (ზ. ჭიჭინაძე, ქათველ კათოლიკეთ მოღვაწენი და მესხეთ-ჯავახეთის ცნობები, თბილისი, 1904; მისივე, ქართველ კათოლიკეთ სამშობლო ქვეყნის მოღვაწენი – მიხეილ პეტრეს ძე თამარაშვილი, თფილისი, 1912; Tymon Tytus Chmielecki, დასახ. ნაშრ., 201-203, 205, 210-212, 228-230, 257, 349).

³² ზ. ჭიჭინაძე, მიხეილ პეტრეს ძე თამარაშვილი, თფილისი, 1912, გვ. 46.

³³ სხვა ცნობით ა. ხითარიშვილი გარდაიცვალა 1911 წელს (Tymon Tytus Chmielecki, *Gruzinski Katolicyzm w XIX i na poczatku XX wieku w Świetle atchiwów watykańskich*. Torun, 1998, s. 349).

³⁴ ზ. ჭიჭინაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 46.

არც სჭირდებოდა, რადგან იგი პირადად იცნობდა ალფონს ხითარიშვილს და მისგან იღებდა პირდაპირ ინფორმაციას. ამიტომ სრული ნდობა შეიძლება გამოვუცხადოთ მის ცნობას. მიუხედავად ამისა, მაინც ჭირს ზუსტად ითქვას, თუ სამოღვაწეოდ როდის გადავიდა ა. ხითარიშვილი მონტობანში.

მონტობანში მოღვაწე ქართველ კათოლიკეთა გალერეას ა. წინამძღვრიშვილისა და ა. ხითარიშვილის გვერდით ამშვენებდნენ სტეფანე გიორგიძე, ათანასე ნასყიდაშვილი³⁵, იოსებ ნალდაძე³⁶ და სხვები. ისინი გამოირჩეოდნენ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობით. მათ შორის „პეტრე ხარისჭირაშვილის სიკვდილის შემდეგ... მონთობანის მოძღვართა შორის ანდრია წინამძღვრიშვილის, ალფონს ხითარიშვილისა და სტეფანე გიორგიძეზე უფრო საქმიანი არავინ ჩანდა“³⁷. ამასვე ვიტყვოდით იოსებ ნალდაძეზეც. რამდენადაც ჩვენს ხელთ არსებული მასალა გვაძლევს საშუალებას, გვინდა საგანგებოდ შევჩერდეთ მის პიროვნებასა და საქმიანობაზე. იოსებ ნალდაძემ „მცირე ხანს დაჰყო კონსტანტინოპოლს პ. ხარისჭირაშვილის სკოლაში. შემდეგ გაემგზავრა პარიზში და იქ ერთ გიმნაზიაში დაამთავრა სწავლა. აქ სწავლას მან მოანდომა 8 წელიწადი, აქ დაჰყო ექვს წელიწადს. ამ ხნის განმავლობაში შეის-

³⁵ პეტრე ათანასე ნასყიდაშვილი (ნასყიდოვი) დაიბადა ახალციხეში, განათლება მიიღო კონსტანტინოპოლში პეტრე ხარისჭირაშვილის ხელმძღვანელობით, რომში სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ეკურთხა მღვდლად. მსახურობდა კონსტანტინოპოლსა და მონტობანში. ხანდახან ცვლიდა პეტრე ხარისჭირაშვილს ხელმძღვანელის თანამდებობაზე. ზედამხედველობდა ქართული წიგნების ბეჭდვის საქმეს ორივე სავანეში. ამიერკავკასიაში კათოლიკეთა ეკლესიის ვიზიტატორის მაქსიმილიანე ორლოვსკის (1852-1891) დასმენით იძულებული გახდა სამშობლო დაეტოვებინა. 1893 წელს მიწვეულ იქნა მღვდლად ბულგარეთში. აქ დაინიშნა კათოლიკეთა სამრევლო სკოლის ზედამხედველად. იცოდა ფრანგული, იტალიური და ბულგარული ენები (ზ. ჭიჭინაძე, მიხეილ პეტრეს ძე თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 50-53).

³⁶ დ. კოჟორიძე, განათლება და კულტურა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1986, გვ. 189.

³⁷ შ. ლომსაძე, ქართული კულტურის..., გვ. 107; მისივე, მ. თამარაშვილი..., გვ. 161.

წავლა ყველა დროის საღვთისმეტყველო და საფილოსოფოსო საგნები. სწავლის დამთავრების შემდეგ იგი ბერად შედგა, დროებით საფრანგეთში დასახლდა, მონტობანს, პ. ხარისჭირაშვილის მიერ დაფუძნებულ მონასტერში³⁸. იოსები დიდხანს არ დარჩენილა მონტობანში. იგი „... მალე დაბრუნდა საქართველოში და მღვდელმოქმედებას ასრულებდა ქუთაისში, სადაც დაჰყო სამი წელი და მეოთხე წელიწადს, სულ 27 წლისა, უეცრად გარდაიცვალა 1883 წელს ქუთაისს“³⁹. თუ ამ ცნობას ვირწმუნებთ, იოსებ წალდაძე დაბადებულია 1856 წელს. სხვა ფაქტების დაზუსტება, თუ როდის შედგა იგი ბერად, როდის იმყოფებოდა მონტობანში, ან როდის დაბრუნდა საქართველოში, ჯერჯერობით ვერ ხერხდება.

ამავე წყაროს თანახმად, იოსებ წალდაძეს „სცოდნია სტამბის მუშაობა, აწყობა, ბეჭდვა და მასთან ლიტოგრაფიაც დაუარსებია მონტობანში. პირველად ამ ლიტოგრაფიაში დაუბეჭდია ქართული გალობის ნოტები. ნოტებს გარდა, აქ საქართველოს სხვადასხვა სურათები უბეჭდია, აგრეთვე ფერადის წამლებით სურათები უხატავს“⁴⁰.

ამრიგად, 1875 წელს ქ. მონტობანში ეგალიტეს ქუჩაზე კონსტანტინოპოლში არსებული „უმანკო ჩასახვის“ კონგრეგაციის წარმომადგენელ ქართველ კათოლიკეთა ერთმა ჯგუფმა პატარა სახლი შეიძინა და იქ ქართული სავანე დააარსა. ამ სავანის მთავარი წინამძღვრის ანდრია წინამძღვრიშვილის თაოსნობით პარიზიდან საბეჭდი მანქანა მიიღეს და აქ ქართული წიგნების ბეჭდვა დაიწყეს. უფრო გვიან „... ერთმა ფრანგმა დედაკაცმა ძმობას შესწირა „ტიპოგრაფიის“ მანქანა და მონტობანის ქართული სტამბა საკმაოდ გაძლიერდა“⁴¹. როგორც პირველწყაროებიდან ირკვევა, ეს მოხდა 1899 წლის 15 აგვისტომდე⁴². ამ თარიღით წერილში ალფონს ხითარიშვი-

³⁸ გაზ.: „ივერია“ – 1898, №221.

³⁹ იქვე.

⁴⁰ იქვე.

⁴¹ ხელნაწერთა ინსტიტუტი, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №470, ფ. 9.

⁴² იქვე.

ლი კონსტანტინოპოლიდან რომში მიხეილ თამარაშვილს წერდა: „უეჭველი არის გესიამოვნებათ შემდეგი: პ. ანდრეას (ანდრია წინამძღვრიშვილს – ხაზგასმა ჩვენია) მონთობანში ყოფნის დროს შემოსწირა მონასტერსა ერთმა ფრანცუზის დედაკაცმან კარგი ახალი სისტემის მანქანა ტიპოგრაფიისა და პ. სტეფანე რა ჩავიდა მონთობანში, უნდოდა ის გაეყიდა; სასწრაფოდ მივწერე, რომ ის მანქანა აქ გამოეგზავნათ და ახლა აქ ვამართვინებ, რომ მონასტერსა ჰქონდეს ერთი კარგი ინსტრუმენტი გამოსაცემად გვარის სასარგებლო წიგნებისა...“⁴³. მართლაც, მანქანა მონთობანიდან კონსტანტინოპოლში ჩაიტანეს ქართული წიგნების დასაბეჭდად. ამის შესახებ დომინიკე მულაშაშვილი (პანაძე), რომელიც მონთობანის სემინარიაში სწავლობდა⁴⁴, 1899 წლის სექტემბერში სარატოვიდან მ. თამარაშვილს სწერდა: „სტამბა, რომელიც მაზელმა გვარჩუქა, სტამბოლში მოვიტანეთ და ძველ რეფექტორიაში გამართეს...“⁴⁵.

ერთი სიტყვით, მონთობანის ქართული კონგრეგაცია თავიდანვე ენერგიულად შეუდგა საგამომცემლო საქმიანობის ორგანიზებას. მას უკვე ჰქონდა ბინა, საბეჭდი მოწყობილობა და საკუთარი ღერბიც, რომელზედაც ეწერა: „Scholasticat Géorgien. Rue de l’Egalité, Montauban (Tarn-et Garonne)“. („ქართული სქოლასტიკა. ეგალიტეს ქუჩა, მონთობანი/ტარნი და გარონი“)⁴⁶.

აქვე აღვნიშნავთ შემდეგსაც: როგორც პირველწყაროებიდან ირკვევა, მონთობანის ქართველთა კონგრეგაცია წიგნების ბეჭდვასა და ლიტერატურულ საქმიანობასთან ერთად ეწეოდა ქართველი ახალგაზრდების სწავლა-აღზრდის საქმეს. კონსტანტინოპოლის სავანის მსგავსად, მონთობანშიც დაარ-

⁴³ ხელნაწერთა ინსტიტუტი, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №470, ფ. 9.

⁴⁴ ზ. ჭიჭინაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 55.

⁴⁵ ხელნაწერთა ინსტიტუტი, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №470, ფ. 49.

⁴⁶ ი. ტაბალუა, ქართული კულტურის..., გვ. 162; მისივე, საქართველო-საფრანგეთის..., გვ. 418.

სდა მცირე სასულიერო სასწავლებელი. ამ ფაქტის შესახებ ჩვენ რაიმე პირდაპირი წყარო არ გავაჩნია. ერთ-ერთ ირიბ საბუთში ვკითხულობთ შემდეგს: 1885 წლის 8 მაისს კონსტანტინოპოლში ქართველ მამათა წინამძღვარმა პეტრე ხარისჭირაშვილმა სპეციალური წერილით მიმართა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს მარკიზ დე ნოაის. ამ წერილში ნათქვამია: „პატარა სახლი, რომელსაც მე ვფლობ მონტობანში (ტარნი და გარონი) და რომელიც გამოყენებული იყო საცხოვრებლად და სასწავლო დარბაზად ახალგაზრდა ქართველებისათვის (ხაზგასმა ჩვენია), რომლებსაც სურდათ საფრანგეთში სწავლის დასამთავრებლად გამგზავრება, ახლახან უკვე რამდენიმე ხანია სამინისტროს ბრძანებით დახურული იქნა“⁴⁷. სასწავლებელში გაგზავნილ ქართველ ახალგაზრდებს უნდა შეესწავლათ ფრანგული და ლათინური ენები⁴⁸. ამასთან დაკავშირებით პეტრე ხარისჭირაშვილი აღნიშნულ წერილში წერდა: „ახალგაზრდა ქართველებს, რომლებიც მე მაინტერესებს და რომელთაც სურთ შეისწავლონ ფრანგული და ლათინური ენები, არ შეუძლიათ ჰპოვონ საფრანგეთის გარეთ ისეთი მაღალფასოვანი განათლება, როგორი განათლებაც მათ შეუძლიათ მიიღონ ასე განთქმულ მასწავლებლებთან“⁴⁹. ამრიგად, მონტობანის სავანე მარტოოდენ წიგნების ბეჭდვასა და ლიტერატურულ საქმიანობას როდი ეწეოდა. ეს ცენტრი იმთავითვე ჩაფიქრებული იყო, როგორც ქართველი ახალგაზრდების განათლების სამჭედლო: „...უმალღესი განათლების წყალობით... მათ საქართველოში უნდა... სკოლები დაეარსებინათ და გააადვილებდნენ და გაავრცელებდნენ მშვენიერ ფრანგულ ენას“⁵⁰, – წერდა პ. ხარისჭირაშვილი საფრანგეთის

⁴⁷ წერილის ორიგინალი ფრანგულ ენაზე და ქართული თარგმანი იხ.: ი. ტაბალუა, ქართული კულტურის კერები..., გვ. 171-173; მისივე, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა 1917-1921 წწ., გვ. 426-427.

⁴⁸ ი. ტაბალუა, ქართული კულტურის კერები..., გვ. 426.

⁴⁹ იქვე.

⁵⁰ ი. ტაბალუა, ქართული კულტურის კერები..., გვ. 172; მისივე, საქართველო-საფრანგეთის..., გვ. 426.

საგარეო საქმეთა მინისტრს.

აქვე უმჯობესად მივიჩნიეთ ხაზი გავუსვათ ერთ ფაქტსაც. როგორც ირკვევა, მონტობანის სავანე არ იყო მრავალრიცხოვანი. მისი ხანმოკლე არსებობის მანძილზე დაუდგენელია სხვადასხვა დროს რამდენი მოსწავლე ან სასულიერო პირი ეწეოდა აქ მოღვაწეობას. მასალების უქონლობის გამო ასევე ძნელდება ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მოვლენების აღნუსხვა, თუმცა იმის თქმაც კი შეიძლება, რომ ეს ცენტრი იყო მცირერიცხოვანი. ასეთი დასკვნის საშუალებას გვაძლევს ერთ-ერთი სარწმუნო წყარო, რომელშიც ნათქვამია, რომ მონტობანში „...ერთდროულად 12 ან 14 ადამიანზე მეტი არასდროს არ მოუთავსებიათ, მასწავლებლებისა და მოსწავლეების ჩათვლით“⁵¹.

მონტობანში გამოცემული წიგნების დიდი ნაწილი არ არის შემონახული საქართველოს ბიბლიოთეკებსა და წიგნსაცავებში. ამიტომ ძნელია იმის თქმა, თუ რომელი ნაშრომი თუ ნაშრომები დაიბეჭდა პირველად მონტობანის სტამბაში. მიუხედავად ამისა, ჩვენში შემორჩენილი ეგზემპლარებიდან შესაძლებელი გახდა დაგვედგინა, რომ 1877 წლის ჩათვლით გამოცემული იქნა 11 წიგნი. სასოფლო სკოლებისათვის შედგენილი „მოკლე ქართული გრამატიკის შესავალში“⁵² ნათქვამია: „ღმერთმანცა თავსი გამოუთქმელი მოწყალებით წარგვმართა საქმე ესე და დაისტამბნენ ქართულს ენაზედ თერთმეტ ნაირი შემდეგი წიგნები: ა. წინამძღვარი ზეცისა; ბ. გზა ცხოვრებისა; გ. სიბრძნე კაცებრი; დ. ბრძენი კაცი; ე. ქართული გრამატიკა; ვ. მოკლე რიტორიკა გინა მჭერმეტყველობა; ზ. მოკლე ფილოსოფია გინა სიბრძნის მოყვარება; ი. მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა; კ. გვრგვნი მოწაფეთა წმიდა ესტატე (პოეზია ათას შვიდი მუხლი). კა. ყვაკლების კონა ყრმათა გინა რჩეულთა ლექსები“⁵³. გარდა ამისა, ქართველ კათო-

⁵¹ ი. ტაბაღუა, ქართული კულტურის კერები..., გვ. 173; მისივე, საქართველო-საფრანგეთის..., გვ. 430.

⁵² ეს წიგნი გამოიცა მონტობანში 1877 წელს (მოკლე ქართული გრამატიკა), შესავალი, გვ. ივ.

⁵³ მოკლე ქართული გრამატიკა..., შესავალი, გვ. ე.

ლიკე მორწმუნეთათვის დაიბეჭდა ოთხი წიგნი. ესენია: ა. თან-სატარებელი ლოცვის წიგნი; ბ. ნალკოტი ლოცვათა; გ. პატარა საქრისტიანო მოძღვრება; დ. მოზრდილი საქრისტიანო მოძღვრება გინა კათეხიზი⁵⁴.

როგორც ამ ჩამონათვალადან ვხედავთ, მონტობანის პირველი გამოცემები ძირითადად სკოლების სახელმძღვანელოებს წარმოადგენდა. ეს მიზანდასახულობა ასე იკითხება „მოკლე ქართული გრამატიკის“ შესავალში: „ყმანვლის, – წერს ავტორი, – პირველი საიმედო სკოლა, თუ ზნეობის კერძოდ და თუ სწავლის კერძოდ, თავსივე დედ-მამის სახლია და იმის პირველნი მასწავლებელნიცა თავსივე მშობელნი არიან; რადგან რასაც რომ პატარაობისას მაგალითს ნახამს იგი, რასაც ისწავლის იმათგან, სიკვდილამდისინ გაჰყვებიან მას.

ამის გამო რაოდნათაც ფრიად დიდი ვალი აქვსთ მშობლებს თავანთი შვილების კეთილად აღზრდისათვის, ეგოდნადაც ესაჭიროებათ იმათ მრავალნი საშუალობანი, რათა მათ მიერ თავანთი სურვლის დაგვარ, კეთილად აღზარდონ შვილები, და ამსთანავე მოამზადონ იგინი შემდგომში ადვლად და კარგად წინ წარსვლისათვის სწავლაში. რათა რომ მიგვეცა მშობლებისათვის ესევთარი საშუალობანი, დავსტამბეთ ზემოდ ხსენებულნი წიგნები ამ აზრით რათა ამ წიგნების კითხვით და სწავლით გონიერ მშობლებს ერთის მხრით თვთარ გონება გაუნათდესთ და გაუმდიდრდეთ ცოდნითა, და მეორე მხრით ამავე წიგნებით ან თვთან და ანუ მასწავლებლის საშუალითა ასწავლონ თავანთ შვილებს, კითხვა წერის შემდგომ, მაინც ქართული გრამატიკა, მოკლე გეოგრაფია, საზოგადო ისტორიის დასაწყისები და სხვაც ამისთანა საგნები. ამით ყმანვილს თავს დედა ენაზედ, რომელიც საკმაოდ ესმის, გონება სულ მალე გაეხსნება, და ის ადვლად მიხვდება და ხალისით შეისწავლის სამეცნიერო დასაწყისებსა, რომლით არა მარტო სწავლა თითქმის ნახევრად მიღებული ექნება მას, არამედ დედ-მამის სახლში ამფერად მომზადებული ყმანვილი ოდეს გარდავა რუსულს კლასში გინა გიმნაზიაში, რადგან თავსი დედა ენის გრა-

⁵⁴ მოკლე ქართული გრამატიკა..., შესავალი, გვ. ე.

მატიკის, გეოგრაფიის, მოკლე საყოველიერო ისტორიის და ცოტაც სხვა სამეცნიერო პრინციპების ცოდნა ექნება, რუსულ გრამატიკას და სხვა მეცნიერების საგნებს სრულ ადვილად და ცოტა ხანში წმინდათ შეისწავლის იგი⁵⁵.

ასეთი ვრცელი ციტატის მოყვანა დაგვჭირდა შემდეგი მიზნით: პირველი, მასში კარგად ჩანს, თუ რა „ადვილად სასწავლებელ მეთოდზე“ აგებდნენ ისინი სასოფლო სკოლები-სათვის და არა მარტო მათთვის, შედგენილ სახელმძღვანელოებს; მეორე – მათი რჩევა, რომ მოსწავლეებს ესწავლათ ჯერ ქართული გრამატიკა, შემდეგ მოკლე გეოგრაფია, საზოგადო ისტორიის საწყისები ქართულ ენაზე, მიმართული იყო, ერთი მხრივ, ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებისაკენ და, მეორე მხრივ, იცავდნენ ი. გოგებაშვილის სავესებით სწორ მეთოდს უცხო ენების ადვილად შესწავლის შესახებ. თავიანთი პოზიციის გასამყარებლად ისინი ხსენებული სახელმძღვანელოს შესავალში წერდნენ: „ამ ჩვენს აზრს ამტკიცებს „ბუნების კარის“ წინასიტყვაობაში ავტორის ნათქვამი სიტყვებიცა, სადაც ჰსწერს: „თუ ყმანვილს გონება თავს დედა ენაზედ გახსნილი არა აქვს, უცხო ენის სწავლაში მეტად ბევრს ეწვალება, დროსაც ბევრს დაჰკარგავს და გვარიანადაც ვერ შეისწავლის... ბავშვს თუ თავსი ენის კანონების ცოდნა არა აქვს, უცხო ენის გრამატიკა უაზრო საგნათ ეჩვენება, და რავდენსამე წელიწადს ეწვალება, მანამ მიხვდებოდეს, თუ რა მეცნიერებაა გრამატიკა... სულ როს ცოტა ვსთქვათ, სამჯერ ჩქარა შეისწავლის რუსულ გრამატიკას ის ყმანვილი, რომელმანც ქართული გრამატიკა იცის...“⁵⁶. ასე წერდნენ ამ სახელმძღვანელოს შემდგენლები და მართლაც, როცა ვაკვირდებით მათ მიერ გამოცემულ სახელმძღვანელოებს, თვალში გვეცემა აზრების სისხარტეცა და სიმარტივეც. აი, ზოგიერთი მაგალითი ქართული გრამატიკიდან: „გრამატიკა არის ხელოვნება კანონიერად ლაპარაკისა და წერისა, ასოთაგან შედგებიან მარცვალნი, მარცვალთაგან-ლექსნი, ლექსთაგან შესდგება სიტყ-

⁵⁵ მოკლე ქართული გრამატიკა..., შესავალი, გვ. ე, ვ.

⁵⁶ მოკლე ქართული გრამატიკა..., გვ. 8.

ვა, რომლითაც გამოითქმის აზრი”⁵⁷. „მოკვეთილი და შემთხვევითი წინადადებების” ანალიზი – „ვახტანგ გორგასლანი მოკვდა, ვითარცა გმირი. ამ ფრაზაში არის ორი წინადადება. ერთი არის მთავარი და მეორე დამოკიდებული, სრული და წრფელობითი, და თანვე შიგ შეტყობილი, რადგან შესმენილი ზმნაში შეტყობილია. ქვემდებარე არის ვახტანგ გორგასლანი, არის მარტივი და ძიებანი, ზმნა შეიტყობების აქ იქმნა. შესმენილი არის მოგკუდარი, რომელიც არის მარტივი და შენაწევრებული, რადგან ძიებად აქვს შემდეგი წინადადება ესე: ვითარცა გმირი, მეორე წინადადება არის – ვითარცა მოკვდების ერთი გმირი: ეს არის შემთხვევითი და განსაზღვრებითი წინადადება, რადგან მოეკიდების მთავარ წინადადებასა და აცხადებს მოუცილებრივ საჭირო გარემოებასა მისსა. არის მოკვეთილი, რადგან ზმნა და შესმენილი მოკვეთილი აქვს და ძალითად შეიტყობიან მასში. ქვემდებარე არის ერთი – გმირი, რომელიც არის მარტივი და ძიებანი, ზმნა არის არს, ხოლო შესმენილი არის მომკუდარი, მარტივი და შეუნაწევრებელი”⁵⁸.

ასე და ამდაგვარი მაგალითების მოტანა ხსენებული სახელმძღვანელოებიდან ბევრი შეიძლება, მაგრამ ციტირებულიც კარგად ავლენს ამ შრომის აზრის სისხარტესა და მარტივ სტილს. ამ სახელმძღვანელოების აეკარგიანობის ანალიზი ჩვენი კვლევის ჩარჩოებს სცილდება და მასზე არ შევჩერდებით. მხოლოდ აღვნიშნავთ შემდეგს: შრომის ავტორები თავადაც კარგად ამჩნევდნენ ხარვეზს და ამას დაუფარავად აღვნიშნავდნენ. მაგ. პ. ხარისჭირაშვილი ივ. გვარამაძეს სწერდა: „დახმარება გაგვინიეთ... ქართულ ენაზე თარგმნილი წიგნების ენობრივად გამართვა-გასწორებაში”⁵⁹. უფრო მეტიც; „ეს ზემოხსენებული წიგნები, – ვკითხულობთ მოკლე ქართული გრამატიკის შესავალში, – თუმც ჩვენი ნატურის დაგვარ კიდევ ვერ უპასუხებენ საქართველოს საზოგადოებას ყოველს მოთხოვნილებასა და შეიმჩნევს საზოგადოება იგი ამათში

⁵⁷ მოკლე ქართული გრამატიკა..., გვ. 33.

⁵⁸ მოკლე ქართული გრამატიკა..., შესავალი, გვ. 155-156.

⁵⁹ დ. კოჭორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 168.

სხვადასხვა იმ სახის ნაკლებულობათაცა, რომელნიც საზოგადოდ მოხდებიან ხოლმე ნიგნების პირველს გამოცემაში და შენიშნავს საშვალ ლექსთა თხზულებასაცა ზოგიერთ ურიგობათა, რომელნიც მოხდნენ ქართული ენის შეუმუშავებლობის გამო, რომლის გრამატიკული ფორმები ჯერად დამდგარნი არ არიან"⁶⁰.

მონტობანში მოღვაწე ქართველთა საქმიანობას საქართველოში დიდი გულისყურით ადევნებდნენ თვალს. მათი საქმიანობის შესახებ სრულ ინფორმაციას აწვდიდა საქართველოს მოსახლეობას ძირითადად გაზეთი „დროება“ და „ცნობის ფურცელი“. აი, რას წერდა 1879 წელს გაზეთი „დროება“: „ჩვენ მივიღეთ ამ დღეებში საფრანგეთის ქალაქიდან – მონტობანიდან, სადაც, როგორც მოგეხსენებათ, ქართველ ფრანგების პატრებს სტამბა აქვთ გამართული, ორი ქართული ნიგნი: „მოკლე ქართული გრამატიკა“ დამატებით გრამატიკული და ლოდიკური ანალიზებისა, ახლად შედგენილი სასოფლო-სკოლების ყრმათათვის და „მოკლე გეოგრაფია“. ორივე დაბეჭდილია ქ. მონტობანს, ენრიკო ფაბრის სტამბაში“⁶¹. ამ ინფორმაციის შემდეგ მკითხველს ეძლეოდა ცნობა, რომ „გრამატიკა პატარა ნიგნია, 160 ფურცელი, ფასი შვიდი შაური აქვს დანიშნული, გეოგრაფია კი სულ 80 ფურცელს შეიცავს, თითო ეგზემპლიარის ფასი არის 6 შაური...“⁶². აქვე ნათქვამი იყო „რაც უნდა ნაკლოვანება ჰქონდესთ ამ სახელმძღვანელოებს, მაინც საჭიროა ახლა ჩვენთვის, რადგან არც გრამატიკისა და არც გეოგრაფიის ხეირიანი სახელმძღვანელოები არ მოიპოვებიან ქართულ პედაგოგიურ ლიტერატურაში“⁶³.

მონტობანელმა გამომცემლებმა დიდი ამაგი დასდეს ლექსიკონების გამოცემის საქმესაც⁶⁴. ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი იყო 1880 წელს გამოცემული „მოკლე ხელსამძღვანი ფრანგულის ენის სწავლისათვის ანუ ფრან-

⁶⁰ მოკლე ქართული გრამატიკა..., გვ. იბ.

⁶¹ გაზ. „დროება“, 1879, №211.

⁶² იქვე.

⁶³ გაზ. „დროება“, 1879, №211.

⁶⁴ მ. ლომსაძე, მიხეილ თამარაშვილი..., გვ. 164.

გულ-ქართული მეტოდური ლექსიკონი და სხვა საგნებზედ საჭირო უბნობანი". ნიგნის გარეყდაზე დახატულია ია, მის ქვეშ კი წერია: „ქ. მონთობანს ენრიკო ფაბრის სტამბაში. 1880“.

ეს ნიგნი სულ 138 გვერდისაგან შედგება. მისი შინარსი ასეთია: „ა. სახმარი ლექსების კრება. ლექსები სარწმუნოებისა: სარწმუნოებისა, ქვეყნისა, მეტალებისა და ქვებისა, დროთა არეებისა, კაცისა, ნათესაობისა, სწავლისა, სახლისა, ჭურჭლებისა, სუფრისა და სამზარეულოსა, საქმლებისა და სასამელებისა, სურნელებისა, მწვანილეულისა და მარცვლეულთა, ხილულთა, ხეებისა და ყვავილებისა, საეკლესიო და საქვეყნო მფლობელობისა, ხელოსნობისა, სახლის მსახურებისა, ტანის სამოსელისა, საჭურველთა და ნაირნაირ ხელსამწყობთა, ოთხფეხთა, ქათმებისა და მფრინველებისა, ზღვის ცხოველთა, მწერთა, მატლთა და ჭიაჭუათა.

ბ. კითხვისათვის შემოკლებული სიტყვები: „Avoir“ შემწევის არსებითანა ხმარება, „Être“ შემწევის ზედ შესრულებთან ხმარება, ზმნებისა არსებითებთანა ხმარება, ზმნათა ნაცვალსახელებთან ხმარება, ზმნებისა ზმნის ზედებთან ხმარება, თან-დებულობის ხმარება.

გ. შინაური საუბარი: ვედრებისა, თხოვნისა, მადლობელობისა, დამშვიდობებისა, ნახვისა, ზრდილობიანობისა, მონონების შეწყნარებისა, გამოთხოვებისა, განძიებისა, შეკითხვისა, დამტკიცებისა.

ჰ. არას თქმისა, გაეჭვიანებისა: განკვირვებისა, გახარებისა, მწუხარებისა, დრტვინვისა, საათისა თუ უამისა, დროუამისა, ჰაერისა, არისა, კითხვისა, წერისა, სასწავლოში, საუბრისა, გაგონებისა, მიხვედრისა, ტანისამოსის გახდისა, ჩაცმისა, წასვლისა, სიარულისა, არეული ამბავები“⁶⁵.

როგორც ამ სახელმძღვანელოს შინაარსიდან ვხედავთ, იგი ძირითადად პრაქტიკული საქმიანობისათვის იყო გამიზნული. მას დიდი დახმარება უნდა გაენია სასოფლო სკოლების

⁶⁵ მოკლე ხელსამძღვანი ფრანგულის ენის სწავლებისათვის, მონთობანი, 1880.

მოსწავლეებისათვის. გარდა ფრანგულ-ქართული ლექსიკონისა, მონტობანელმა გამომცემლებმა მიზნად დაისახეს, გამოეცათ ლათინურ-ქართული ლექსიკონი, ასევე ქართულ-ფრანგულ-გერმანული ჯიბის პატარა ლექსიკონი. ეს იმდენად დიდი საქმე იყო, რომ ამის შესახებ საქართველოში ინფორმაცია წინასწარ მიუღიათ. გაზეთი „დროება“ ამის შესახებ წერდა: „ჩვენ შევიტყვეთ, რომ ქართველი კათოლიკე პატრები, რომელნიც ასე გულმოდგინეთ მოღვაწეობენ ქართული ლიტერატურის გასამდიდრებლად საფრანგეთის ქალაქს მონტობანში, სადაც თავის საკუთარი სტამბა აქვთ, ეს პატრები ამჟამად ორ ფრიად სასარგებლო წიგნს აბეჭვდინებენო: ფრანგულის ენის სასწავლებელ სახელმძღვანელოს ოლენდორფისას და მეორეც ქართულ-ფრანგულ-ნემეცურ პატარა ჯიბის ლექსიკონს. ორივე წიგნი როგორც გვითხრეს, ამ წლის განმავლობაში მზათ იქნება და აქაც გამოიგზავნება გასაყიდათ“⁶⁶.

როგორც ვხედავთ, ქართული საზოგადოება მოუთმენლად ელოდა მონტობანელ მოღვაწეთა შრომის ნაყოფს. ამგვარი სასარგებლო საქმიანობისათვის მათ ყოველმხრივ ამხნევებდნენ და დიდ თანაგრძნობას ავლენდნენ ამ სამაგალითო მამულიშვილების მიმართ. სავსებით ვეთანხმებით შ. ლომსაძეს, რომ „ამ ლექსიკონების გამოცემით მათ თავიანთი წვლილი შეიტანეს ქართული ლექსიკოგრაფიის შესწავლის საქმეში“⁶⁷.

ამავე ავტორის თანახმად, მონტობანელ გამომცემლებს „... ერთხანს გადაწყვეტილი ჰქონდათ დიდი ქართული ლექსიკონის გამოცემა, რომელიც შეჯერებული უნდა ყოფილიყო საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონთან. როგორც ირკვევა ჩვენს არქივებში დაცული წერილებიდან, მათ ასეთი ლექსიკონის გამზადებული ხელნაწერი უკვე ჰქონიათ, მაგრამ იმის გამო რომ ნებართვა ვერ აუღლიათ, მისი დაბეჭდვა ვეღარ მოხერხებულა“⁶⁸.

⁶⁶ გაზ.: „დროება“, 1880, №36.

⁶⁷ შ. ლომსაძე, მიხეილ თამარაშვილი..., გვ. 164.

⁶⁸ შ. ლომსაძე, მიხეილ თამარაშვილი..., გვ. 164.

აქვე მართებულია, აღინიშნოს, ერთი გარემოება. ლექსიკონების შექმნის გზაზე მონტობანელ მოღვაწეებს გარკვეული სიძნელეები ხვდებოდათ. თუ რაში მდგომარეობდა ეს, ამაზე ცხადად მიუთითებდნენ ეს მამები: „რადგან დღემდე არ იყვნენ ქართულს ენაზედ დაბეჭდილნი მეცნიერების სწავლისათვის საჭირო ხელთა სახელმძღვანელო წიგნები, რომლებისგანაც შესაძლებელი ყოფილიყო ზოგიერთი ტექნიკური ლექსების ამოკრება. ამისათვის ყოვლის ღონისძიებით ვეცადეთ, რათა გვეპოვნა იმნაირი ლექსები, რომელნიც ყოფილიყვნენ ქართული ენის თვისებისანი და ზოგნიცა ვსთარგმნეთ ფრანციცულითგან, მაგრამ, რადგან ამ ლექსთაგან ზოგიერთი პირველში ძნელი მისახვედრია, ვიდრემდის კაცი კარგათ შეეჩვიოს იმათ, ამის გასაადვილებლადაც ბევრს ადგილას გვერდითვე მიუწერეთ ის ფრანციცული ლექსები, რომელთაგანაც გადმოითარგმნენ ისინი, საცნობელად თუ რომელი ფრანციცული ლექსის მაგივრათ გვიხმარია ჩვენ ის ქართული ტექნიკური ლექსი“⁶⁹. შეუძლებელია, არ დავეთანხმოთ შ. ლომსაძეს, როცა წერს: „...მონტობანში გამოცემული ლექსიკონების გაცნობა მკითხველს ადვილად დაარწმუნებს მის შემდგენელთა დიდ განათლებასა და გემოვნებაში“⁷⁰.

ამრიგად, მონტობანელმა ლექსიკოგრაფებმა დიდი განათლების, სათანადო მომზადებისა და ღრმა დაკვირვების საფუძველზე წარმატებით დაძლიეს არსებული სირთულეები და ამგვარი მოღვაწეობით შეუფასებელი სამსახური გაუწიეს ქართველ ერს. მონტობანში ქართველთა კონგრეგაციის მოღვაწეობას დიდი გულისყურით ადევნებდა თვალს ქართული საზოგადოება. არცერთი მოვლენა, ფაქტი თუ სხვა რამ ყურადღებისა და შეფასების გარეშე არ რჩებოდა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა, თუ როგორ აფასებდა „ცნობის ფურცელი“ 1877 წელს მონტობანში დაბეჭდილ ნაშრომს „სიბრძნე კაცებრივი“. „ეს პატარა წიგნი, – წერს ავტორი, – სრულის კაცობის მსურველმა და კარგმა კაცმა მუდამ თან უნდა იქონი-

⁶⁹ მოკლე ქართული გრამატიკა..., შესავალი.

⁷⁰ შ. ლომსაძე, მიხეილ თამარაშვილი..., გვ. 165.

ოს, სადაც იყოს, არ დასჯერდეს ერთსა, ორსა და სამ წაკითხვას, არამედ მასწავლებლისაგან მიცემული გაკვეთილივით უნდა ზეპირობდეს ხშირად ამაში ყოველ დარიგებასა, ანდა-ზებსა და მაგალითებსა...⁷¹.

მონტობანის ქართველთა სავანე წიგნების ბეჭდვისა და გამოცემის საქმეში დიდ წარმატებებს აღწევდა. მათი სახელის უკვდავსაყოფად ისიც კმარა, რომ მათ 1877 წლიდან 1881 წლამდე, სულ რაღაც ოთხი წლის განმავლობაში, შეძლეს 25-ზე მეტი სხვადასხვა წიგნის დაბეჭდვა და გავრცელება საქართველოში. ეს წიგნები იგზავნებოდა როგორც საქართველოში, ასევე იქ, სადაც იყო ქართული კულტურის რაიმე ცენტრი. სამწუხაროდ, მათი დიდი ნაწილი დაკარგულია, რადგან მხოლოდ მცირე ნაწილს მივაგენით საქართველოს ბიბლიოთეკებსა და წიგნთსაცავებში. შესაძლებელია, მონტობანში გამოცემული წიგნები ჩვენში რომელიმე კერძო პირების ბიბლიოთეკებში ინახება, მაგრამ ამჯერად ისინი ჩვენთვის მიუწვდომელი გახდა. მონტობანში გამოცემული წიგნების სახელწოდებები ჩამოთვლილია ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენები ფრანგული ენის სახელმძღვანელოსა და ფრანგულ-ქართულ ლექსიკონში, რომელიც 1880 წელს გამოიცა მონტობანში. პროფ. ი. ტაბალუამ მონტობანის არქივებში მუშაობის დროს დაადგინა იქ გამოცემული წიგნების რაოდენობა და სათაურები. ხსენებულ ლექსიკონში მოცემულ და ი. ტაბალუას მიერ დადგენილი წიგნების სახელწოდებებს შორის არ არის არავითარი სხვაობა. ორივე წყაროზე დაყრდნობით სრულად მოგვაქვს ამ ნაშრომების დასახელებები. ესენია:

1. წინამძღვარი ზეცისა ანუ ყოველი წოდების სახმარად სულიერი დარიგებანი, შედგენილი ალემანურად თავადის შვილი მღვდელი ალექსანდრე ჰოჰენლოესაგან;

2. გზა ცხოვრებისა ანუ განზრახვანი საუკუნო ჭეშმარიტებათა ზედა სახმარნი მღვდელთათვის საქადაგებლად და ერის კაცთათვის საკითხავ წიგნად და ფიქრის ლოცვის შესასრულებლად შედგენილი წმიდა ალფონსო ლიგორისაგან;

⁷¹ გაზ.: „ცნობის ფურცელი“, 1900, №1237, 13 სექტემბერი, გვ. 2.

3. სიბრძნე კაცებრივი რომელიც ასწავლის კაცს ჯკუკს რიგიან ხმარებასა, სრულს კაცს გახდის და მისწევს სიმდიდრესა, შემკობილი ცხოველი მაგალითებითა და ბრძენი ფილოსოფოზების სიტყვებითა;

4. ბრძენი კაცი ანუ რომელიმე ძველი ფილოსოფოზის მიერ მოცემულნი მშვენიერნი სწავლანი სიბრძნესა და ზნეობასა ზედა⁷²;

5. ქართული გრამატიკა სასოფლო სკოლების ყრმათათჳს, ახლად შედგენილი.

6. ჴელად სახმარი რიტორიკა გინა მჭერმეტყველება ყმანვილ კაცთათვის;

7. ფილოსოფია შინა სიბრძნის მოყვარება, რომელი შეიცავს ფსიქოლოლიას, ლოლიკას, ზნეობას და ბუნებითს ღვთის მეტყველებას მაღალს სწავლაში გარდასასვლელთ ყმანვილთ კაცთათვის⁷³;

8. ფიზიკობრივ, მოქალაქეობრივ და ისტორიებრივი მოკლე გეოგრაფია სასოფლო სკოლებისათჳს;

9. მოკლე მსოფლიო გინა საყველიერო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა, რომელი მოსთხრობს უმთავრესთა საქმითა და შემთხვევათა მოხდენილთა კაცობრიობასა შინა დასაბამიდგან სოფლის ვიდრე დღევანდლამდე, განყოფილი შვიდ ნაწილად. პირველი ნაწილი შეიცვამს თავისში საღმრთო ისტორიასა ძველისა და ახლის აღთქმისასა. მეორე ნაწილი შეიცვამს ისტორიასა ძველთა ნათესავთა, ვითამც ეგვიპტელთა, ასურთა, მიდთა, სპარსთა, ბერძენთა და მაკედონელთა. მესამე ნაწილი შეიცვამს ისტორიითა კარტაგინელთა და რომაელ-

⁷² დ. კოჭორიძე თვლის, რომ ეს ნაშრომი გამოაქვეყნა ივ. გვარამაძემ 1877 წელს მონტობანში (დ. კოჭორიძე დასახ. ნაშრ., გვ. 129).

⁷³ 1878 წელს იოსებ ნალდაძემ დაბეჭდა ეს წიგნი მონტობანში. იგი მას ფრანგული ენიდან უთარგმნია („ივერია“, 1898, №221). „1878 წელს მონტობანში ენრიკო ფაბრის სტამბაში დაიბეჭდა მისი (პატრი იოსებ ნალდაძის - ს. გ.). „ჴელად სახმარი მოკლე რიტორიკა გინა მჭერმეტყველება ყმანვილ კაცთათვის“ და „მოკლე ფილოსოფია გინა სიბრძნის მოყვარება, რომელი შეიცავს ფსიქოლოლიის. ლოლიკის, ზნეობის და საღმრთო მართლმსაჯულებას“

თა. მეოთხე ნაწილი ისტორიისა საშუალო საუკუნისასა. მეხუთე ნაწილი შეიცვამს ახალს ისტორიასა. მეექვსე ნაწილი ისტორიასა ევროპის ნათესავთა ვითამც რუსეთისას, საფრანგეთისას, გერმანიისას, ანგლიისას, ისპანიისას, იტალიისას, და სხვა. და მეშვიდე ნაწილი საქართველოს ისტორიისა.

10. ლექსად ნათქვამი ცხოვრება წმიდა ესტატესი, პოეზია ჩვ;

11. რჩეულ ლექსების წიგნი;

12. თან-სატარებელი ლოცვის წიგნი;

13. ნალკოტი ლოცვათა;

14. საქრისტიანო მოძღვრება;

15. პატარა საქრისტიანო მოძღვრება;

16. მოკლე ხელსამძღვანი ფრანციცული ენის სწავლისათვის;

17. კარი ლათინური გრამმატიკისა;

18. კარი ფრანციცული გრამმატიკისა;

19. წერილი ყმანვილებისათვის რავდენიმე საჭირო გაკვეთილი მუქთათ.

20. ყოველდღივ სათქმელი ლოცვების ფურცლები, მუქთად⁷⁴.

ამ დასახელებულ წიგნებს უნდა დავამატოთ 1877 წელს გამოცემული შემდგომი შრომები: 1. მოკლე ქართული გრამატიკა ქართული სკოლებისათვის, მნათობანს, ენრიკო ფაბრის სტამბაში, 1877⁷⁵; 2. მოზრდილი საქრისტიანო მოძღვრება გი-

(დ. კოჟორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 189).

⁷⁴ მოკლე ხელსამძღვანი ფრანგული ენის სწავლისათვის..., გვ. 1-3; ი. ტაბაღუა, ქართული კულტურის კერები..., გვ. 163; მისივე, საქართველო-საფრანგეთის..., გვ. 418-41.

⁷⁵ შ. ლომსაძე, მიხეილ თამარაშვილი..., გვ. 162-163; ეს სახელმძღვანელო ჩანს, შეადგინა პეტრე ხარისჭირაშვილმა. ამის დასასაბუთებლად მოვიტანთ წყაროს: 1876 წლის 8 ივლისს პეტრე ხარისჭირაშვილი ივ. გვარამაძეს წერდა: „მე დავინყე აქ ერთი მოკლე ქართული გრამატიკის გაკეთება და კიდევაც გავაკეთე მისი დიდ ნაწილი და დანარჩენ მცირე ნაწილსაც მალე შევასრულებ და იმასაც გამოგიგზავნი შესასწავლებლად“ (ახალციხის მუზეუმის ფონდი 2203; დ. კოჟორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 147). უეჭველია, აღნიშნუ-

ნა კათეხიზმი⁷⁶; 3. ფრანგულ-ქართული ლექსიკონი 4. „შემოკლებული მატრიანე სარწმუნოებისა მოსვლამდე ქრისტიესი და შემდეგ მისგანვე დაფუძენილი ეკლესიისა ვიდრე 1814 წლამდე. ავქსონი ლომონდის წიგნისაგან შემოკლებით თარგმნილი ქართულ ენაზედ პატრ სტეფანე გიორგიძისაგან 1903 წელს, ქ. მონთობანს“⁷⁷; 5. ლათინურ-ქართული ლექსიკონი⁷⁸; 6. ეზოპის იგავნი⁷⁹; 7. ყვავილების კონა⁸⁰; 8. წმიდათა ცხოვრება⁸¹; 9. ქართული გალობის ნოტები⁸²; ამრიგად ჩვენი დაზუსტებით მონტობანში გამოიცა 29 წიგნი.

ერთი მცირე ცნობის მიხედვით ირკვევა, რომ მონტობანელ მოღვაწეებს განზრახული ჰქონიათ „ფრანგულ-ქართულ-რუსული ლექსიკონის“⁸³ გამოცემა. აი, რას წერდა ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ცნობის ფურცელი“ 1898 წლის 10 მაისს: „მონთობანის ქართული ძმობის წინამძღვარმა მამა ანდრია წინამძღვრიშვილმა შეადგინა ფრანგულ-ქართულ-რუსული ლექსიკონი. მამა ანდრიამ ეს ლექსიკონი წარადგინა საფ-

ლი სახელმძღვანელო პეტრე ხარისჭირაშვილმა შეადგინა, რომელიც გასასწორებლად ჩანს, ივ. გვარამაძეს გამოუგზავნა. ამ უკანასკნელმა წიგნს, ირკვევა, რედაქტირება გაუკეთა და ავტორს მალევე დაუბრუნა, რადგან იგი 1877 წელს მონტობანში გამოიცა.

⁷⁶ მოკლე ქართული გრამატიკა..., შესავალი, გვ. ივ.

⁷⁷ გ. შარაძე, სტამბოლის ქართულ სავანეში, გვ. 471; შ. ლომსაძე, მიხეილ თამარაშვილი..., გვ. 164.

⁷⁸ შ. ლომსაძე, მიხეილ თამარაშვილი..., გვ. 164. გაზ.: „დროება“, 1882, №225, გვ. 2.

⁷⁹ გაზ.: „დროება“, 1882, №225, გვ. 2.

⁸⁰ იქვე.

⁸¹ ეს დაუბეჭდია იოსებ წაღდაძეს მონტობანში („ივერია“, 1898 №221).

⁸² იქვე.

⁸³ ამ ლექსიკონის წინასიტყვეობის დაწერას ანდრია წინამძღვრიშვილი სთხოვდა ივ. გვარამაძეს. ამასთან დაკავშირებით დ. კოყორიძე წერს: „ანდრია წინამძღვრიშვილი 1897 წლის 25 იანვარს ქ. მონთობანიდან ივ. გვარამაძეს სთხოვდა, რომ ქართულ-ფრანგულ-რუსული ლექსიკონის შედგენა-დაბეჭდვისათვის გეჭირდება წინასიტყვაობა და იგი დაწერე და გამომიგზავნეო“ (დ. კოყორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 147).

რანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტროში. სამინისტრომ მოინონა მამა ანდრიას შრომა და გადასწავიჭა თავისი საფასით დაბეჭდოს⁸⁴. სხვა ცნობით ეს ლექსიკონი, რომელიც 1200 გვერდზე მეტი იყო, ანდრია წინამძღვრიშვილს დასაბეჭდად კონსტანტინოპოლში გაუგზავნია პ. ხარისჭირაშვილისათვის, მაგრამ „მან ვერ შეძლო დაბეჭდვა სხვადასხვა მიზეზების გამო“⁸⁵. შემდეგ ანდრიას მისი დაბეჭდვა უთხოვია, როგორც იტქვა, საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის. აი, რას წერს იგი ამის შესახებ: „ვსთხოვე პირისპირ ჩემს პარიზში ყოფნისა გარეე მინისტრს, დაებეჭდათ სახელმწიფო წარსაგებითა ის ლექსიკონი და დამპირდა მის დაბეჭდვასა, განხილვის შემდგომ რომ აღმოჩნდება სასარგებლო“⁸⁶.

ამ ცნობის საკონტროლო მასალით შემოწმება ამ ეტაპზე ჩვენ ვერ შევძელით. როგორც დასახელებული წყაროდან ირკვევა, აღნიშნული ლექსიკონის შესახებ საქართველოში დაინტერესებული პირები კარგად იყვნენ ინფორმირებულნი, ამ დიდი მნიშვნელობის მოვლენის შესახებ ქართულ საზოგადოებას გაზეთი მოკლე ინფორმაციის სახით აწვდიდა ცნობას და ხაზს უსვამდა ანდრია წინამძღვრიშვილის როლს ამ საქმეში. ამ წყაროს თანახმად, საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მაღალი შეფასება მისცა წარმოდგენილ ნაშრომს და ამიტომ გადასწავიჭა თავისი ხარჯებით მისი გამოცემა. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით, ამ ნაშრომმა იხილა თუ არა მზის სინათლე. ასეა თუ ისე, ჩვენ ეჭვი არ გვეპარება ამ ლექსიკონის არსებობაში. საინტერესოა, თუ ის არ გამოცემულა, სად ინახება ამჟამად ხელნაწერის სახით? ამ მიმართულებით მომავალი კვლევა აუცილებლად უნდა გაგრძელდეს.

როგორც ზემოთ ჩამოთვლილი თხზულებებიდან ვნახეთ, შრომები ძირითადად სახელმძღვანელოებსა და ლექსიკონებს წარმოადგენენ. თუ რატომ იყვნენ ამ სახის საქმიანობაზე ორიენტირებულნი მონტობანის სავანის ქართველი

⁸⁴ გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1898, №530, 10 მაისი, გვ. 1-2.

⁸⁵ გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1897, №87.

⁸⁶ იქვე.

მოღვაწენი, ჩვენ სათანადო ადგილას აღვნიშნეთ. ნათქვამს კი დავამატებთ შემდეგს: ეს კეთილშობილი ადამიანები, რომელთა გვარი არცერთ წიგნს არ აწერია, იღწვოდნენ ქართველი ერის კულტურული განვითარებისათვის, იბრძოდნენ ეროვნული მეობის შენარჩუნებისათვის და ამით მათ დიდი როლი შეასრულეს ქართველი ერის ცხოვრებაში.

არ იქნება ურიგო იმის აღნიშვნაც, რომ მონტობანში გამოცემული წიგნები იყო როგორც ფასიანი, ისე – უფასო (მუქთად). თუმცა ფასიანი წიგნები ხელმისაწვდომი იყო ლარიზი ოჯახებისათვის⁸⁷. მათი შეძენა გამომცემლების მიერ ორგანიზებული იყო შემდეგნაირად: ამ წიგნების გამონერა შეიძლებოდა როგორც მონტობანიდან, ასევე სტამბოლიდან შემდეგი მისამართით: 1. „უფალს ალექსანდრე სტეფანიანს მონასტერში მონაზონთა ერთობისაგან მონათა უმანკო ჩასახებისა ქალაქს მონტობანს“ (Franse) Montauban Rue du Cimetière catholique Tarn-et Garone⁸⁸, 2. უფალს გასპარ სპანდაროს კონსტანტინოპოლს, გალათას, ფანაჯი ხანაში⁸⁹.

საქართველოს ქალაქებში ამ წიგნების შეძენა შეიძლებოდა: თბილისში „კათოლიკების ძველს ეკლესიასთან პატრ პავლე კალაიჯოვთან“⁹⁰, ბ. ბ. გრიჭუროვისა, ჭიჭინაძისა და ცენტრალურ წიგნის მაღაზიებში, ქუთაისში – კათოლიკების ეკლესიასთან, გორში – კათოლიკების ეკლესიასთან და

⁸⁷ ამის მაგალითად დავასახელებთ შემდეგ ფაქტს: მაგ. 500 გვერდიანი წიგნი „მოკლე საყოვლიერო ისტორია...“ ღირდა სამი აბაზი. ამის შესახებ – „დროება“ წერდა, რომ ეს წიგნი „აქ... მანეთად გაისყიდოს, მაინც ძალიან იაფად ჩაითვლება“-ო („დროება“, 1880, №245, გვ. 1). 160 გვერდიანი „მოკლე ქართული გარმატიკა“ კი ღირდა „შვიდი შაური“ („დროება“, 1879, №211, გვ. 1).

⁸⁸ მოკლე ხელსამძღვანი ფრანგული ენის სწავლისათვის..., გვ. 3.

⁸⁹ იქვე.

⁹⁰ პეტრე პავლეს ძე კალაიჯევი – დაიბ. 1834 წ. იყო კონსტანტინოპოლში, 1872-1879 წწ. მოზდოკში ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის სამწყსოს ადმინისტრატორი, 1879-1893 წწ. ვიკარი, 1893-1906 წწ. თბილისში ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის სამწყსოს ადმინისტრატორი. გარდ. 1916 წლის 26 იანვარს (Tumon Tytus Chmieleski დასახ. ნაშრ., გვ. 350).

ახალციხეს: მელქონ შავიოსოვთან, ყოველგან ერთ და იმავე ფასებად"⁹¹. ასევე ამ წიგნების შექმნა თბილისში შეიძლებოდა მართანოვის და ჩარკვიანის წიგნის მალაზიებში. გამოსაცემი წიგნების სია წინასწარვე იბეჭდებოდა გაზეთ „დროებაში“. აი, ამის შესახებ რას ვკითხულობთ 1879 წლის გაზეთ „დროებაში“: „გამომცემელნი გეთხოვენ დავბეჭდოთ „დროებაში“ სია იმ წიგნებისა და ამასთანავე „სიტყვა წამკითხველისადმი“. დიდი სიამოვნებით ვასრულებთ ამ თხოვნას"⁹².

როგორც ვნახეთ, მონტობანის ქართული სავანე სერიოზულ წარმატებებს აღწევდა ლიტერატურულ და კულტურულ-საგანმანათლებლო სარბიელზე. ამ ცენტრთან არსებულ „...მნიშვნელოვან სკოლას“... მიზნად ჰქონდა „...მომზადება მასწავლებლებისა, რომლებიც შეიძლება ასწავლონ ჩვენი (ქართული – ხაზგასმა ჩვენი) ენა“⁹³. წერდა პ. ხარისჭირაშვილი. ჩანს, ამ სკოლის მასწავლებლებს ადებიანებდნენ ფიცს, რომ სწავლის დამთავრების შემდეგ ისინი თანამდებობებს არ დაიკავებდნენ საფრანგეთში, არამედ დაუბრუნდებოდნენ სამშობლოს, ანდა წავიდოდნენ რომელიმე მხარეში სამოღვაწეოდ საფრანგეთის ინტერესების დასაცავად. „ამ ახალგაზრდა ქართველების მიზანია, – ვკითხულობთ წყაროში, – არასოდეს არ შეასრულონ რაიმე საეკლესიო თანამდებობა და ან სხვა ხელობა საფრანგეთში, სადაც მათ არასოდეს არ უცხოვრიათ და არც იცხოვრებენ, თუ არა უბრალო გამვლელ სტუდენტებად“⁹⁴. ვფიქრობთ, ეს ცნობა ადასტურებს ჩვენს მიერ გამოთქმულ თვალსაზრისს, რომ მონტობანის სკოლის მოსწავლეები აღნიშნული სახის ფიცს დებდნენ.

პირველწყაროების უქონლობის გამო, სამწუხაროდ ჩვენ არ ვიცით, თუ რამდენი მოსწავლე სწავლობდა მონტობანის სასწავლებელში ან შემდეგში ცნობილი ქართველი კათოლიკე მოღვაწეებიდან რომელმა მიიღო აქ განათლება. ერთ-

⁹¹ „დროება“, 1882, №255, გვ. 2.

⁹² „დროება“, 1880, №149, გვ. 1.; „დროება“, №137.

⁹³ ი. ტაბალუა, ქართული კულტურის..., გვ. 172.

⁹⁴ ი. ტაბალუა, ქართული კულტურის..., გვ. 172.

ერთი წყაროს მიხედვით პეტრე ხარისჭირაშვილი აი, რას სთხოვდა საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრს: „თხოვნაში, რომლის ასლსაც თქვენ აქ თანდართულს იხილავთ, – წერდა შინაგან საქმეთა საერო უშიშროების დირექტორი ტარნი და გარონის პრეფექტს, – მთავარი წინამძღვარი (პეტრე ხარისჭირაშვილი – ხაზგასმა ჩვენია) ითხოვს მხოლოდ ნებართვას შეკრიბოს მონტობანში ერთ-ერთი მისი მისიონერის ზედამხედველობის ქვეშ 7 ან 8 ყმანვილი, ქართული მღვდელმსახურების წესის მიმდევარნი, რომლებიც ქალაქის სემინარიის კლასებში ისწავლიან და რომლებიც სწავლის დამთავრების შემდეგ ფრანგულის სასწავლებლად აღმოსავლეთში დაბრუნდებიან“⁹⁵.

ამ წყაროებზე დაყრდნობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მონტობანის სემინარიაში მოსწავლეთა რიცხვი „...7 ან 8 ყმანვილს..“ არ აღემატებოდა. შეიძლება ეს ასე იყო, და ასეც არ იყო. მოკლედ, ამასთან დაკავშირებით რაიმეს დარწმუნებით თქმა ძნელია.

მონტობანის ქართული სავანის მოღვაწეობის მიზანს გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ნათლად ასახავს ერთი კონკრეტული ფაქტის დასახელებასაც. 1898 წლის 10 მაისს გაზეთი „ცნობის ფურცელი“ იუწყებოდა: „ქ. მონტობანის (საფრანგეთი) ქართველ წევრთა ძმობას ტფილისიდან ამას წინათ მიუვიდათ საქართველოს ეკლესია ტაძრების სურათების სრული კოლექცია. ხსენებულის „ძმობის“ ერთმა წევრმა ყველა სურათს შესაფერისი ახსნა გაუკეთა ფრანგულ ენაზე და განზრახვა აქვს გამოჰფინოს აქაურს არქეოლოგიურს კრებაზე, რომ აქაურებმა გაიცნონ როგორც ნაშთნი საქართველოს დიდებისა, ისე ტიპნი აწინდელის ქართველებისა“⁹⁶.

რა დასკვნის გამოტანა შეიძლება ამ წყაროდან? უპირველეს ყოვლისა, იმისა, რომ მონტობანში მოღვაწე ქართველ პატრიოტ კათოლიკეებს სურდათ, საფრანგეთის მეშვეობით ქართული კულტურა გაეცნოთ ევროპისათვის. თავიანთი

⁹⁵ ი. ტაბალუა, ქართული კულტურის..., გვ. 173.

⁹⁶ გაზ.: „ცნობის ფურცელი“, 1898, №530.

მოღვაწეობის ერთ-ერთ მიზანს ისინი ევროპაში ქართული კულტურის პროპაგანდაში ხედავდნენ. ამ მიმართულებით გადადგმულ პირველ ნაბიჯად შეიძლება მივიჩნიოთ აღნიშნული ფაქტი. ე. ი. მათ სურდათ საქართველოს ეკლესია-ტაძრების სრული კოლექციისა და ქართველთა ტიპების სურათების გამოფენა, როგორც „ნიშანი საქართველოს დიდებისა“. ამით უნდა მომხდარიყო „აქაურს არქეოლოგიურს კრებაზე“ ქართული კულტურის შეხვედრა საფრანგეთის ინტელექტუალურ საზოგადოებასთან. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით, როგორ განხორციელდა მონტობანელ მოღვაწეთა ეს ჩანაფიქრი და საერთოდ, ესა და სხვა ღონისძიებები მონტობანში მალე შეწყდა. საქმის არსი შემდეგში გახლდათ:

პროფ. ი. ტაბალუამ მონტობანის საარქივო მასალებზე დაყრდნობით გამოავლინა, რომ აღნიშნული სავანე 1880 წლის მარტში დაიხურა⁹⁷. დაიხურა სემინარია, სტამბა და საერთოდ არსებობა შეწყვიტა ქართული კულტურის კერამ მონტობანში⁹⁸. სანამ უშუალოდ ამის მიზეზს გავარკვევდეთ, მანამ ლოგიკურია შევვხვოთ საფრანგეთის მთავრობის გადაწყვეტილებას ქართული სავანის დახურვის შესახებ.

1880 წლის 29 მარტს⁹⁹ საფრანგეთში გამოქვეყნდა დეკრეტი, რომელსაც ხელს აწერდნენ რესპუბლიკის პრეზიდენტი ჟიულ გრევი, საფრანგეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი და კულტურის მინისტრი შარლ ლეფერი და რესპუბლიკის მინისტრი ჟიულ კაზო¹⁰⁰.

⁹⁷ ი. ტაბალუა, ქართული კულტურის კერები..., გვ. 164.

⁹⁸ შ. ლომსაძე, მიხეილ თამარაშვილი..., გვ. 163.

⁹⁹ ამ დეკრეტით დაიხურა იეზუიტთა ორდენი და ყველა მისი დანესებულება საფრანგეთის ტერიტორიაზე. (В Дерюжинский, Из истории политической свободы в Англии и Франции, СПб., 1905, გვ. 175) იეზუიტთა გაძევება და მათი სახლების დახურვა 1880 წელს დიდხანს არ გაგრძელებულა. მათი ფაქტიური გაძევება მოხდა მას შემდეგ, როცა 1901 წელს მიიღეს კანონი ასოციაციების შესახებ (Генрих Бемер, Иезуиты, Генри Чарлз Ли, Инквизиция, С. Петербург, 1999, გვ. 438-439).

¹⁰⁰ ი. ტაბალუა, ქართული კულტურის კერები..., გვ. 163.

ამ დეკრეტის თანახმად, საფრანგეთის ტერიტორიაზე არსებულ ყველა კონგრეგაციას ან რელიგიურ საზოგადოებას თუ გაერთიანებას, იყო ის ხელისუფლების ნებართვით, თუ უნებართვოდ, ამ დეკრეტის გამოქვეყნებიდან სამი თვის განმავლობაში, უნდა გაეფორმებინათ მათი არსებობა საფრანგეთის რესპუბლიკის ხელისუფლების სათანადო ნებართვით. უნდა წარედგინათ თხოვნა ადგილობრივი ხელისუფლებისათვის – დეპარტამენტისთვის, თავიანთი მოღვაწეობის პროგრამით. ე. ი. საფრანგეთის ხელისუფლება საქმის კურსში უნდა ყოფილიყო იმის შესახებ, თუ რა მიზნით შეიქმნა და რას აკეთებდა ესა თუ ის კონგრეგაცია ან ორგანიზაცია. ხელისუფლების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ასეთი ორგანიზაციების არსებობის მიზანს და საერთოდ მის საქმიანობას.

ყველა სათანადო საბუთი, ამ კონგრეგაციას, სავანეს თუ ორგანიზაციას უნდა წარედგინა ადგილობრივი დეპარტამენტის პრეფექტის მთავარ სამდივნოში და ნებართვა ეთხოვა მისი მოღვაწეობის შემდგომი გაგრძელებისათვის. თუ ეს კონგრეგაცია, სავანე, თუ ორგანიზაცია ადგილობრივი დეპარტამენტიდან დადებით პასუხს მიიღებდა, ასეთ ოფიციალურ ნებართვას ის წარადგენდა ცენტრში – საფრანგეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა და კულტურის სამინისტროში. ეს უკანასკნელი შეისწავლიდა ამ საბუთებს და თუ საჭიროდ ჩათვლიდა, ნებას დართავდა მას განეგრძო თავისი მუშაობა თუ არა და, დაიხურებოდა.

ნებართვისათვის წარდგენილ თხოვნაში აღნიშნული უნდა ყოფილიყო ამ კონგრეგაციის, კულტურის კერის, თუ სავანის არსებობის აუცილებლობა, მისი წინამძღვრის ვინაობა და რეზიდენცია, ბინის აღწერილობით, იყო თუ არა ის სათანადოდ მოწყობილი და, ბოლოს, უნდა ეჩვენებინა, თუ ვისთვის იყო სასარგებლო ასეთი ცენტრის არსებობა, კერძოდ, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა მას საფრანგეთისთვის.

გარდა ამისა, ნებართვის მიღებისათვის წარდგენილ თხოვნას, გარდა ზემოაღნიშნულისა, თან უნდა დართოდა: კონგრეგაციის, ცენტრის, სავანეს წევრთა ზუსტი სია, მათი

ვინაობა, მათი ეროვნული შემადგენლობა: შედგება ის მხოლოდ ფრანგებისაგან, თუ მხოლოდ უცხოელებისაგან, თუ ორივესაგან. უნდა ეჩვენებინათ ასეთი კონგრეგაციის თუ სავანის არსებობისათვის შემოსავლის წყარო, თუ ვის ხარჯზე არსებობდა ის და სხვა¹⁰¹.

როგორც ზემოთ ითქვა, კონგრეგაციას ან სავანეს „...უნდა წარედგინა თავისი მოღვაწეობის პროგრამა და წესდება. ეს წესდება უნდა ყოფილიყო დამტკიცებული ადგილობრივი დეპარტამენტის ეპისკოპოსის მიერ. ყველა წარდგენილი საბუთი უნდა გაფორმებულიყო ოფიციალურად, სათანადო პირების ხელმოწერით და სათანადო ბეჭდის დასმით“¹⁰².

კონგრეგაცია, სავანე, თუ ცენტრი, რომელიც ყველა აღნიშნულ საბუთს, ზუსტად გაფორმებულს აღნიშნულ ვადაში არ წარადგენდა, საფრანგეთის ხელისუფლების მიერ გაუქმებული, დახურული იქნებოდა. მათ ჩამოერთმეოდათ ყველაფერი, ხოლო მომსახურე პერსონალს და საერთოდ ყველას, ვინც მიეკუთვნებოდა ამ კონგრეგაციას, სავანეს, თუ ცენტრს, უნდა დაეტოვებინა საფრანგეთი¹⁰³.

ასეთია მოკლედ იმ დეკრეტის შინაარსი, რომელიც გამოსცა საფრანგეთის მთავრობამ 1880 წლის 29 მარტს. სანამ მონტობანის ქართული სავანის ბედზე ვისაუბრებდეთ, მანამ საქმის არსში უკეთ გარკვევის მიზნით მოკლედ შევეხებით იმ პოლიტიკურ სიტუაციას, რომელიც წინ უძღოდა აღნიშნულ მოვლენას საფრანგეთში.

ცნობილია, რომ საფრანგეთის მესამე რესპუბლიკის¹⁰⁴ პრეზიდენტად 1879 წელს აირჩიეს ზომიერი რესპუბლიკელების გავლენიანი წარმომადგენელი ჟიულ გრევი. ქვეყანაში მისი პირველი პრეზიდენტობის პერიოდი (1879-1885) დამთავრდა რესპუბლიკელების საბოლოო გამარჯვებით. მონარქიის რესტავრაციის საფრთხემ განვლო. რესპუბლიკური წყობა

¹⁰¹ ი. ტაბალუა, ქართული კულტურის კერები..., გვ. 164.

¹⁰² იქვე.

¹⁰³ იქვე.

¹⁰⁴ მესამე რესპუბლიკა არსებობდა 1870-1940 წწ.

განმტკიცდა¹⁰⁵. შარლ დე ფრეისინის მთავრობამ (1879 წლის სექტემბერი – 1880 წლის სექტემბერი) პრეზიდენტ ჟიულ გრევის დავალებით გაატარა მთელი რიგი რეფორმები¹⁰⁶. მათ შორის მისმა მთავრობამ „...დაითხოვა იეზუიტთა საზოგადოება, ხოლო სხვა რელიგიური კონგრეგაციები დაექვემდებარა მის კონტროლს“¹⁰⁷.

აღნიშნული მიმართულებით ჟიულ ფერის მთავრობამ (1880 წლის სექტემბერი – 1881 წლის ოქტომბერი) უფრო რადიკალური რეფორმები გაატარა. მას თავდაპირველად ეჭირა რა განათლების მინისტრის პოსტი, 1880 წელს პარლამენტში გაატარა კანონი, რომლის ძალით სახალხო განათლების უმაღლესი საბჭოდან გამოიყვანეს სამღვდელოების ყველა წარმომადგენელი. ამიერიდან სახელმწიფოს მიეცა სამეცნიერო ხარისხის დიპლომის გაცემის უფლება. რელიგიურ კონგრეგაციებს დაეკისრა გადასახედების გადახდა (1880 წელს შემოიღეს გადასახადი ე. წ. ნამეტზე, რომელიც 1885 წელს შეიცვალა გადასახადით მიწერაზე)¹⁰⁸. 1880 წლის 29 მარტს კი გამოიცა კანონი, რომლის შესახებაც ჩვენ ზემოთ ვრცლად აღვნიშნეთ. ჟიულ ფერის მთავრობამ „...პრაქტიკულად დაითხოვა რელიგიური კონგრეგაციები, რომლებთანაც ფრეისინი მეტწილად სიტყვიერ ბრძოლას ეწეოდა“¹⁰⁹. ამით პირველი დარტყმა მიაყენეს ბერ-მონაზვნური ორდენების ძლიერებას¹¹⁰.

როგორც ირკვევა, აღნიშნული პერიოდის საფრანგეთში რელიგიური კონგრეგაციები თუ ცენტრები ბევრი იყო და ისინი მოღვაწეობდნენ საფრანგეთის ხელისუფლების ოფიციალური ნებართვის გარეშე. „რადგანაც საეკლესიო მსახურები არ ემორჩილებოდნენ ამ კანონს, მაშინ მთავრობამ საზოგა-

¹⁰⁵ История Франции в трех томах, т. 2, М., 1973, გვ. 464-479.

¹⁰⁶ იქვე, გვ. 480-481.

¹⁰⁷ იქვე, გვ. 481.

¹⁰⁸ L. Jacques, Les partis politiques sous la Troisième République, Paris, 1913, p. 191.

¹⁰⁹ История Франции, დასახ. ნაშრ., გვ. 481.

¹¹⁰ Рубинский Ю. И., Клерикализм и политическая борьба во Франции на рубеже XIX и XX вв., "Французский ежегодник". 1972, გვ. 92.

დოებრივი აზრის ზეწოლით დახურა რიგი რელიგიური კონგრეგაციები და იეზუიტთა დაწესებულებები¹¹¹. 1882 წელს შემოიღეს კანონი სავალდებულო დაწყებითი საერო განათლების შესახებ. მის თანახმად დაწყებითი კლასებიდან ამოიღეს ჯვარცმა და გაიზარდა საერო საგნების რიცხვი. 1885 წელს დაიხურა საღვთისმეტყველო ფაკულტეტები უმაღლეს სასწავლებლებში, ხოლო 1886 წლიდან ყველა საზოგადოებრივ სკოლას მიენიჭა საერო ხასიათი. 1889 წელს სამინისტროებსა და საერთოდ სასულიერო წოდების პირებს ჩამოერთვათ რიგი პრივილეგიები, რომელიც მათ ათავისუფლებდა სამხედრო სამსახურისაგან. და, ბოლოს, 1892 წელს სახელმწიფო სტუპენდიები გაუუქმდათ კათოლიკური სემინარიის სტუდენტებს¹¹².

ზომიერ რესპუბლიკელთა ეს ღონისძიებები, მართალია, „ძირეულ გადატრიალებას“ წარმოადგენდა სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობაში, მაგრამ თავისთავად ამ რეფორმებს არ ჰქონდა ძირითადი ხასიათი. ამას გვიჩვენებს ის ფაქტი, რომ სხვადასხვა კონგრეგაციები და კათოლიკური ეკლესია მნიშვნელოვან როლს ასრულებდა XIX საუკუნის ბოლოს ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში¹¹³. ცნობილია, რომ სხვადასხვა კლერიკალური ორგანიზაციები და კათოლიკური ეკლესია 1890 წლამდე ძველ მონარქისტულ პარტიებთან ერთად იბრძოდა საფრანგეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ¹¹⁴. „1890 წელს კარდინალმა ლავიჟერმა, რომელიც მოქმედებდა რომის პაპ ლეო XIII-სთან შეთანხმებით¹¹⁵, მოუ-

¹¹¹ L. Jacques, დასახ. ნაშრ., გვ. 133.

¹¹² იქვე, გვ. 194-95.

¹¹³ L. Jacques, დასახ. ნაშრ., გვ. 191.

¹¹⁴ История Франции, დასახ. ნაშრ., გვ. 500; Рубинский Ю. И. დასახ. ნაშრ., გვ. 101.

¹¹⁵ ამ ინტელიგენტმა, დემოკრატიისა და სოციალური სამართლიანობის მომხრე პაპმა ლეო XIII-მ (1878-1903) დაითანხმა ფრანგი კათოლიკეები, რომ შერიგებოდნენ რესპუბლიკურ წყობას (Ян Веруш Ковальский, Папы и Папство, М., 1991, გვ. 191-192; Рубинский Ю. И. დასახ. ნაშრ., გვ. 101)

წოდა კათოლიკეებს ეცნოთ საფრანგეთში არსებული რეჟიმი და შეენწყვიტათ მის წინააღმდეგ ბრძოლა"¹¹⁶. ეს პროცესი ერთბაშად როდი დასრულდა. „...ფანატიკოსები ხიშტებით შეხვდნენ პაპ ლეო XIII-ის ინიციატივას, რომელიც მოუწოდებდა ფრანგ კათოლიკეებს „შეერთებოდნენ“ რესპუბლიკას"¹¹⁷.

ცხადია, საფრანგეთში ასეთი პოლიტიკური ვითარების პირობებში მონტობანის ქართული საევანის მესვეურებს მართებდათ დიდი გამჭრიახობა და პოლიტიკურ სიტუაციებში კარგად გარკვევის უნარის გამოჩენა. როგორც ვთქვით, 1880 წლის მარტში საფრანგეთის ხელისუფლებას მონტობანის ქართველ კათოლიკეთა საევანე დაუხურავს, ხოლო ქართველები იქიდან განუდევნია. „პირველი მრავალრიცხოვანი კოლონია (დაახლოებით 6 წევრი) განდევნილ იქნა მოჩვენებითი მიზეზებით ანტიკლერიკალური სიძულვილის გამო დაახლოებით 1882 წელს, მონტობანის იეზუიტთა დიდი და პატარა სემინარიის წევრების განდევნის დროს" – აცნობებდა პროფ. ი. ტაბალუას 1963 წლის 17 ოქტომბერს წერილში მონტობანისა და ტარნისა და გარონის ვაჭრობისა და მრეწველობის პალატის გენერალური მდივანი ნოელ კასე¹¹⁸.

იმ ვარაუდის დასაშვებად, თუ რა მიზეზით უნდა დაეხურა საფრანგეთის მთავრობას მონტობანის ქართული საევანე, კიდევ ერთხელ მოკლედ აღვნიშნავთ: როგორც სათანადო ადგილას ვნახეთ, 1880 წლის 29 მარტის დეკრეტით ყველა კონგრეგაციას, საევანესა თუ ცენტრს დანიშნულ ვადაში უნდა წარედგინა თავისი მოღვაწეობის და საქმიანობის პროგრამა და წესდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, საფრანგეთის ხელისუფლება მათ გააუქმებდა, ჩამოართმევდა ყველაფერს და მოსამსახურე პერსონალს დაატოვინებდა საფრანგეთს.

საფრანგეთში კი ამ დროს ასეთი კონგრეგაცია თუ ცენტრი მრავალი იყო. მაგალითისათვის შეიძლება გავიხსენოთ,

¹¹⁶ История Франции, დასახ. ნაშრ., გვ. 500.

¹¹⁷ Рубинский Ю. И., დასახ. ნაშრ., გვ. 101.

¹¹⁸ ი. ტაბალუა, ქართული კულტურის კერები..., გვ. 164-165; მისივე, საქართველო-საფრანგეთის..., გვ. 420, 428, სქოლიო 8.

რომ 1901 წლისათვის 750-ზე მეტი უნებართვო კონგრეგაცია არსებობდა, რომლებიც თავიანთ რიგებში აერთიანებდა დაახლოებით 140 ათას მონაზონს და ბერს. ამავე წლის კანონით, „დაახლოებით სამასმა კონგრეგაციამ არ გააკეთა თხოვნა და თავი დაშლილად გამოაცხადა, დანარჩენმა თხოვნა ნებართვაზე წარადგინა“¹¹⁹. ყველა ისინი მოღვაწეობდა საფრანგეთის ხელისუფლების ოფიციალური ნებართვის გარეშე. აღნიშნული დეკრეტით კი საფრანგეთის ხელისუფლებამ მიიღო სავსებით სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილება, რაც არ აწყობდათ იმ კონგრეგაციებსა თუ ორგანიზაციებს, რომელთაც სათანადო საბუთების წარდგენა დროზე არ შეეძლოთ. როგორც ჩანს, მონტობანში არსებულმა ქართულმა კულტურის კერამ ზემოაღნიშნული საბუთები ვერ შეაგროვა და ალბათ, არც ჰქონდა ამის შესაძლებლობა. ამიტომ მან სხვა გზა აიჩრია, რაც მისთვის დამლუპველი აღმოჩნდა. საქმე გახლდათ შემდეგში:

პროფ. ი. ტაბალუას მიერ მოძიებული და ცალკე დოკუმენტების სახით გამოცემული საარქივო მასალებიდან ჩანს, რომ მონტობანში მოღვაწე ქართული კულტურის მსახურმა ქართველმა ბერებმა გამართეს საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობის სანინაალმდეგო მანიფესტაცია ქალაქში. აი, რას სწერდა ამის შესახებ მონტობანის მერი ალ. ბერჟი ამავე ქალაქის პრეფექტს: „დეკრეტის განხორციელების დღეს (ე. ი. 1880 წლის 29 მარტს – ხაზგასმა ჩვენი) ქართველმა ბერებმა შეკრიბეს ქალაქის რეაქციული პარტიის მეთაურები და რამდენიმე მათხოვარი თავიანთი ცოლებითა და შვილებით და რესპუბლიკის მთავრობის წინააღმდეგ მანიფესტაცია გამართეს. გაისმა შეძახილები: „გაუმარჯოს მეფეს!“ და ესროლეს ქვები ხელისუფლების წარმომადგენლებს. ამ ბერების განდევნას კარგად შეხვდა ჩვენი ქალაქის რესპუბლიკურად განწყობილი მოსახლეობა. ამიტომ, ჩემი აზრით, მდგომარეობა

¹¹⁹ Гурвич С. Н., Отделение церкви от государства и партия радикалов, – «Французский ежегодник», 1973, гв. 101.

უცვლელად უნდა დარჩეს"¹²⁰. ამავე წერილიდან ირკვევა ისიც, თუ რა ღონისძიებები გაატარა საფრანგეთის მთავრობამ ქართველი ბერების მიმართ. „პატივი მაქვს – წერდა მერი პრეფექტს, – გაცნობოთ, რომ ქართველების სახლი მდებარეობს ქალაქის სასაფლაოს მახლობლად, რომლისგანაც იგი გამოიჯნულია მხოლოდ სოფლის გზით. დეკრეტის განხორციელების დროს იქ იმყოფებოდა ოთხი ბერი. სამი მათგანი გაძევებული იქნა 1880 წელს, მეოთხე დატოვებული იქნა დაწესებულებაში მის დამცველად. მაგრამ დაახლოებით ერთი წლის წინათ იმანაც მიატოვა ჩვენი ქალაქი, ჩააბარა რა ვილნუველის სამწყსოს ბატონ მღვდელს ამ საკუთრების გაქირავება. ამჟამად ამ სახლში რამდენიმე მდგმურია"¹²¹.

როგორც ამ წყაროდან ირკვევა, აღნიშნულ პრეცედენტამდე მონტობანში ქართული კულტურის კერის არსებობის შესახებ ადგილობრივმა ხელისუფლებამ არაფერი იცოდა. მანამდე მისთვის არც ადგილობრივ ხელისუფლებას და, მით უფრო, არც ცენტრალურ ხელისუფლებას, არ მიუქცევია ყურადღება. ახლა კი, როცა პოლიციამ ზოგიერთი მათგანი დააკავა, დაინტერესდნენ, ვინ არიან ისინი და რა საქმიანობას ეწევიან მონტობანში, ან აქვთ რაიმე საამისო უფლება ან ნებართვა? რაც შეეხება ანტირესპუბლიკური მანიფესტაციის გამართვას, მონტობანელი ქართველი მოღვაწეების ეს აშკარად წინდაუხედავი მოქმედება იყო. შედეგმაც არ დააყოვნა. დაიხურა მონტობანში ქართული სავანე.

ამის შემდეგ, როგორც ირკვევა, სათანადო ზომების მიღება გადაწყვიტა მონტობანის ქართული კულტურის კერის დამაარსებელმა პეტრე ხარისჭირაშვილმა. 1885 წლის 8 მაისს მან სპეციალური წერილით მიმართა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს მარკიზ დე ნოას¹²².

¹²⁰ ი. ტაბალუა, ქართული კულტურის კერის..., გვ. 175; მისივე საქართველო-საფრანგეთის..., გვ. 434.

¹²¹ ი. ტაბალუა, ქართული კულტურის კერის..., გვ. 176; მისივე საქართველო-საფრანგეთის..., გვ. 436.

¹²² იქვე, გვ. 171-172; მისივე, საქართველო-საფრანგეთის ..., გვ. 426-427.

ამ ვრცელი წერილის შესავალში პეტრე ხარისჭირაშვილი მკაფიოდ აღნიშნავს, რომ მონტობანის სავანე მიზნად მხოლოდ კულტურულ საქმიანობას ისახავდა. ის არსად ამბობს, რომ ამ ცენტრს ჰქონდა საეკლესიო ფუნქცია. ცხადია, მან კარგად იცის, თუ რის საფუძველზე დაიხურა ასეთი კერები საფრანგეთში და ამიტომ მას სურს „პატარა სახლი“, რომელსაც ის ფლობს, წარმოადგინოს როგორც საცხოვრებელი ქართველი ახალგაზრდებისა, რომელთაც ენადათ „საფრანგეთში სწავლის დასამთავრებლად გამგზავრება“. წერილის ავტორი საგარეო საქმეთა მინისტრს არწმუნებდა, რომ საფრანგეთში „უმალღესი განათლების წყალობით“ ამ ახალგაზრდებს შეეძლოთ აღმოსავლეთის ქვეყნებში ელვანათ საფრანგეთის ინტერესების სასარგებლოდაც. პ. ხარისჭირაშვილი მინისტრს არწმუნებდა, რომ ქართველი ახალგაზრდები არასოდეს დაიკავებდნენ საფრანგეთში რაიმე საეკლესიო თანამდებობას და ან სხვა ხელობას, არამედ ისინი აქ მხოლოდ სასწავლებლად ჩასული სტუდენტები იქნებოდნენ. ასეთი არგუმენტები მოყვანილი იყო იმისათვის, რომ საფრანგეთის მთავრობას, რა თქმა უნდა, თუ ის მონტობანის კერას საქმიანობის ნებას დართავდა, პეტრე ხარისჭირაშვილი ჰპირდებოდა, რომ ქართული კერა არასოდეს იქნებოდა რესპუბლიკის მონინალდეგე. მართალია, ეს წერილში პირდაპირ არაა ნათქვამი.

პეტრე ხარისჭირაშვილის მცდელობას არ შეეძლო მოვლენების შემობრუნება. საქმე ის გახლდათ, რომ საფრანგეთის ხელისუფლების მიერ უკვე მიღებული გადაწყვეტილების გაუქმება არ იყო ადვილი საქმე, რადგან ის ეხებოდა არა მარტო ქართული კულტურის კერას მონტობანში, არამედ ბევრ სხვასაც, რომლებიც ასევე დაიხურა ანტირესპუბლიკური და ანტისამთავრობო მანიფესტაციების დროს. ეს ფაქტორი განსაზღვრავდა ყველაფერს.

ამის მიუხედავად, საფრანგეთის ხელისუფლებამ მაინც განიხილა მამა პეტრე ხარისჭირაშვილის დაჟინებული თხოვნა, რომელიც სათანადო არგუმენტებით იყო დასაბუთებული. საფრანგეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა მარკიზ დე ნოამ, პეტრე ხარისჭირაშვილის ზემოხსენებულ

წერილი განსახილველად გაუგზავნა საფრანგეთის შინაგან საქმეთა და კულტურის სამინისტროს. ამ უკანასკნელმა განიხილა მამა პეტრე ხარისჭირაშვილის წერილი და 1885 წლის 9 ივლისს წერილით მიმართა ტარნისა და გარონის დეპარტამენტის პრეფექტს.

ეს წყარო საფუძველს გვაძლევს არაორჭოფულად ვთქვათ, რომ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დენოამ მამა პეტრე ხარისჭირაშვილის თხოვნას ჯეროვანი ყურადღება მიაქცია. საკუთრივ მინისტრის აზრით, „ამგვარი დაწესებულება ვერ ჩაითვლება 1880 წლის 29 მარტის დეკრეტის ქვეშ მყოფ რელიგიურ გაერთიანებად და... რომ შესაძლო გახდება ამ პირობებში ნება დაერთოს კვლავ გაიხსნას ქართველ მამათა სავანე“¹²³. როგორც ირკვევა, შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთო უშიშროების დირექტორმა მ. ლევაიანმა თავის მხრივ დააზუსტა ზოგიერთი დეტალი მონტობანის სავანის შესახებ. კერძოდ, თუ ერთდროულად რამდენი პირი მოღვაწეობდა მასწავლებლებისა და მოსწავლეების ჩათვლით ამ ცენტრში. ტარნისა და გარონის პრეფექტს კი გადაუწყვეტია, საქმე ობიექტურად გადაეჭრა. მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მონტობანის ქალაქის მერის წერილმა ყველაფერი შეცვალა.

1885 წლის 10 ივლისს ტარნისა და გარონის დეპარტამენტის პრეფექტმა, ქ. მონტობანის მერს გაუგზავნა ყველა საბუთი შემდეგი წერილით: „მაქვს პატივი, – წერდა პრეფექტი მერს, – გადმოგცეთ აქ თანდართული საბუთები და გთხოვთ შემატყობინოთ, რომელია ის სახლი, რომელზეც ლაპარაკია დეკრეტის შესრულებამდე; აგრეთვე შემატყობინოთ თქვენი პირადი აზრი მისი გახსნის შესახებ. გთხოვთ დამიბრუნოთ აქ დართული საბუთები“¹²⁴.

¹²³ ი. ტაბაღუა, ქართული კულტურის კერები..., გვ. 173; მისივე, საქართველო-საფრანგეთის..., გვ. 430-431.

¹²⁴ იქვე, გვ. 174; მისივე, საქართველო-საფრანგეთის ..., გვ. 432-433.

იმავე წლის 13 აგვისტოს მონტობანის მერმა ხსენებულ პრეფექტს შემდეგი შინაარსის წერილი მისწერა. მოგვყავს ნაწყვეტი ამ წერილიდან, რათა სრული სურათი შეგვექმნას საქმის არსის შესახებ. მერი ალ. ბერჟი პრეფექტს წერდა: „ბატონო პრეფექტო,

გადმომეცით რა საგარეო საქმეთა მინისტრის სახელზე გაგზავნილი საქმე, ქართველ მამათა „უმანკოდ ჩასახვის“ კონგრეგაციის მსახურთა სახელით, რათა მიეღოთ ნებართვა მათ მიერ მონტობანში ათი წლის წინ დაარსებული სავანის, რომელიც დახურულ იქნა 1880 წლის დეკრეტით, ხელახლა გახსნაზე, თქვენ მთხოვეთ, გამეცნო თქვენთვის – რას წარმოადგენდა ეს სახლი იმ დეკრეტის განხორციელებლის წინ და ჩემი პირადი აზრი მისი ხელახლა გახსნის შესახებ.

პატივი მაქვს გაცნობოთ, რომ ქართველების სახლი მდებარეობს ქალაქის სასაფლაოს მახლობლად, რომლისგანაც იგი გამიჯნულია მხოლოდ სოფლის გზით. დეკრეტის განხორციელების დროს იქ იმყოფებოდა ოთხი ბერი. სამი მათგანი გაძევებული იქნა 1880 წელს, მეოთხე დატოვეს დაწესებულებაში მის დამცველად...

ამ ბერების განდევნას კარგად შეხვდა ჩვენი ქალაქის რესპუბლიკურად განწყობილი მოსახლეობა, ამიტომ, ჩემი აზრით, მდგომარეობა უცვლელად უნდა დარჩეს.

თუ, როგორც თავის თხოვნაში კონგრეგაციის მეთაური ამბობს, ახალგაზრდა მღვდლებს, რომელთა გაგზავნაც მას სურს საფრანგეთში, არა აქვთ სხვა მიზანი, გარდა პატარა სემინარიაში სწავლისა, რატომ არ გაივლიან ამ კლასებს ამ დაწესებულების ინტერნატში ყოფნით.

აქვე გიბრუნებთ თქვენ მიერ გადმოცემულ საბუთს.

გთხოვთ ირწმუნოთ, ბატონო პრეფექტო, ჩემი უმდაბლესი პატივისცემა”¹²⁵.

ამ წყაროს თანახმად, მონტობანის მერმა ალ. ბერჟმა სათანადო გამოკვლევის შედეგად დაადგინა ქართული სავანის

¹²⁵ ი. ტაბალუა, ქართული კულტურის კერები..., გვ. 175; მისივე, საქართველო-საფრანგეთის ..., გვ. 433-434.

გაუქმების ძირითადი მიზეზი, მაგრამ აქ ერთ ფაქტში გვეპარება ეჭვი. ვფიქრობთ, გაზვიადებულ მომენტთან უნდა გვეკონდეს საქმე, როცა მერი ამტკიცებს, რომ 1880 წლის 29 მარტის დეკრეტის გამოცხადების დღეს ქართველი ბერების ინიციატივით მოხდა რეაქციული პარტიის მეთაურების შეკრება და ანტირესპუბლიკური მანიფესტაციის გამართვა. არა გვგონია, ისინი ისეთი გავლენით სარგებლობდნენ, რომ მათი ინიციატივით მოხდარიყო რეაქციული ძალების ანუ მონარქისტების შეკრება და ანტისამთავრობო მანიფესტაციის გამართვა. ამჯერად სათანადო წყაროების უქონლობის გამო, ვერ ხდება ამ ფაქტის დაზუსტება, მაგრამ უფრო სამართლიანი იქნება ვიფიქროთ, რომ ქართველი ბერები მონაწილეობდნენ ალბათ, იმ დროს გამართულ მანიფესტაციაში და ახშიანებდნენ მონარქისტული ძალების სულისკვეთებას, რაც საფუძველი გახდა ამ კერის გაუქმებისა. თავისთავად საინტერესოა, რა პოზიცია ეჭირა ამ დროს წინამძღვარს ანდრია წინამძღვრიშვილს და მონაწილეობდა თუ რა აღნიშნულ ღონისძიებაში.

ამავე წერილის მიხედვით, ქალაქის მერი საგარეო საქმეთა მინისტრს მაინც სთავაზობდა ერთ-ერთ გამოსავალს. კერძოდ: თუ ქართველ ახალგაზრდებს სურდათ სწავლა-განათლების მიღება, მათ შეეძლოთ ეს საფრანგეთში „ინტერნატებში ყოფნით“ შეეძინათ. სხვა მხრივ, მერის წერილიდან გამომდინარე, უარყოფითად გადაწყდა მონტობანში ქართული კულტურის კერის აღდგენის საკითხი. მაგრამ, როგორც შემდგომი მოვლენები გვიჩვენებს, საქმემ სხვა მიმართულება მიიღო. მონტობანში ქართველთა სავანემ მუშაობა განაახლა. თუ რამ განაპირობა ეს, ჯერჯერობით ამის დამადასტურებელი წყაროები აღმოჩენილი არ არის, რაც თავისთავად საინტერესოა და ბევრ მოვლენას მოჰყვანდა ნათელს. ყოველივე ამის შემდეგ ისმება კითხვა: რამ განაპირობა მონტობანში ქართული სავანის ისევ აღდგენა? ვემყარებით რა მოვლენების განვითარების ლოგიკას, აღნიშნული ცენტრის განახლებასთან დაკავშირებით, უეჭველად უნდა დავუშვათ ორი ვარიანტი: პირველი, როგორც სათანადო ადგილას ვნახეთ, მიუხედავად

1880 წლის 29 მარტის კანონისა, საფრანგეთის მთავრობამ რადიკალური ღონისძიებები ვერ გაატარა კონგრეგაციების წინააღმდეგ. ეს გასაკვირი არ იყო, რადგან ზომიერი რესპუბლიკელების მთავრობის საშინაო პოლიტიკის მთავარი ღერძი იყო კათოლიკურ ეკლესიასთან შერიგება¹²⁶. მაქსიმალური შემრიგებლური ხაზი ეკლესიის მიმართ, აახლოვებდა ზომიერ რესპუბლიკელებს კლერიკალურ ძალებთან¹²⁷. ცხადია, ეს პოლიტიკური ვითარება შესაძლებელს ხდიდა აღდგენილიყო ქართული კულტურის სავანე მონტობანში; მეორე, უდავოა, კონსტანტინოპოლში მოღვაწე ქართველმა პატრიოტმა კათოლიკე მამებმა ალბათ, ყველაფერი იღონეს ამ კერის აღსადგენად. შეიძლება ისიც ითქვას, რომ საფრანგეთმა თავის ინტერესებში დააკმაყოფილა მამა პეტრე ხარისჭირაშვილის თხოვნა და ქართველ კათოლიკეთა სავანე მონტობანში აღადგინა. „ქართველთა ახალი კოლონია მონტობანში დამკვიდრდა ქალაქგარეთ არდუს გზაზე და განდევნილ იქნა ეკლესიისა და სახელმწიფოს გამოყოფის დროს (1903¹²⁸-1906¹²⁹ წლებს შორის)¹³⁰.

¹²⁶ Рубинский Ю. И., დასახ. ნაშრ., გვ. 95.

¹²⁷ R. Leanuet, L'Eglise de France sous la troisieme Republique. v'ol. II Pountificat de leon XIII, 1878'1894, Paris, 1910, გვ. 455; ციტ-ა: Рубинский Ю. И., დასახ. ნაშრ., გვ. 96.

¹²⁸ უნდა იყოს 1904 წელი, რადგან ამ წლის ოქტომბერში მოხდა ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფა (იხ. История Франции, დასახ. ნაშრ., გვ. 525).

¹²⁹ ი. ტაბალუა ამ თარიღს ასახელებს მონტობანისა და ტარნისა და გარონის ვაჭრობისა და მრეწველობის პალატის გენერალური მდივნის ნოელ კასეს მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. ნოელ კასე 1963 წლის 17 ოქტომბრის წერილში ბ-ნ ი. ტაბალუას წერდა, რომ ქართველთა კოლონია "... განდევნილ იქნა ეკლესიისა და სახელმწიფოს გამოყოფის დროს (1903-1906 წლებს შორის)". როგორც ვხედავთ, აქ კონკრეტული თარიღი არაა მითითებული. შეიძლება ეს ასეც იყო, მაგრამ, რადგან ეკლესია სახელმწიფოს გამოეყო 1904 წელს და არა 1903 წელს, უმჯობესია ითქვას, რომ მონტობანში ქართული კულტურის კერამ არსებობა შეწყვიტა 1904 წლის აღნიშნული კანონის შემდეგ.

¹³⁰ ი. ტაბალუა, ქართული კულტურის კერები..., გვ. 167; მისივე, სა-

ამრიგად, მონტობანში ქართველ კათოლიკეთა სავანე განახლდა. სათანადო მასალების უქონლობის გამო ძნელია დაზუსტებით ითქვას, თუ როდის უნდა აღდენილიყო 1880 წელს გაუქმებული ეს ცენტრი. მოვლენათა განვითარების მიხედვით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს უნდა მომხდარიყო 90-იან წლებში. ხელნაწერთა ინსტიტუტში მ. თამარაშვილის პირად არქივში დაცული არაპირდაპირი ცნობების მიხედვით, რომელიც 1897 წლიდან ასახავდნენ მონტობანის სავანეში შინაური შუღლის საფუძველზე განვითარებულ მოვლენებს¹³¹, გვაძლევს საშუალებას ვთქვათ, რომ აღნიშნულ წელს მონტობანში ისევ განახლდა ქართული სავანის საქმიანობა. ჩვენს ამ ვარაუდს ამყარებს ერთი პატარა ცნობა, რომელსაც ვპოულობთ 1897 წლის გაზეთ „ცნობის ფურცელში“, აქ ვკითხულობთ: „რესპუბლიკის (საფრანგეთის – ხაზგასმა ჩვენია) განკარგულებით, დღემდის დაშორებულ იყვნენ ჩვენი მამანი (იგულისხმება რომ დახურული იყო მონტობანის ქართული სავანე – ხაზგასმა ჩვენია) და დღეს დიდის მოწყალებით მიუღიათ ისევ მონტობანში მამა ანდრია (წინამძღვრიშვილი – ს. გ.) წინამძღვარი სამი მონაფე დიაკვნებითა, რომელნიც მიუღია ადგილობრივ ეპისკოპოსს სემინარიაში მაღალ სწავლათა და ღვთისმეტყველების სასწავლებლად“¹³².

ანდრია წინამძღვრიშვილი, ვითარცა დაუღალავი მუშაკი, მხნეობას არ ჰკარგავდა და სავანის მოღვაწეობის ახალ გეგმებს ადგენდა. მას განუზრახავს მონტობანში ეროვნული ბიბლიოთეკის შექმნა. ამის შემდეგ იგი 1897 წელს მონტობანიდან ივ. გვარამაძეს წერდა: „ახლა ერთი ფიქრი მაქვს, რომ საგვარო (ეროვნული – ხაზგასმა ჩვენია) საწიგნე გავმართო აქა და შევკრიბო ყოველნაირი წიგნები ქართული თუ ფრანგული და სხვა ენებზედაც, სადაც ლაპარაკია საქართველობაზედ. ძალიან მაღლიერი დაგირჩებით უკეთუ შეატყობინებთ

ქართველო-საფრანგეთის ..., გვ. 423.

¹³¹ ხელნაწერთა ინსტიტუტი, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №419, ფურც. 1-5.

¹³² გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1897, გვ. 87.

კითხვა (იგულისხმება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება – ხაზგასმა ჩვენია) საზოგადოების კრებას, რათა გამოგვიგზავნონ წიგნები, რომ ნახონ ყველამ აქ საწიგნებად”¹³³. იმავე წერილიდან ჩანს, რომ ასეთი ქართული ბიბლიოთეკა დაარსებული ყოფილა პარიზშიც. ამის შესახებ ამავე წერილში ვკითხულობთ: „პარიზში, რომ ვიყავი იქ გაგზავნილი გვექონდა ჩვენ, რაც წიგნები დავბეჭდეთ მონტობანში თუ სტამბულს, მაგრამ ვერაფერ ვერ ვიპოვე. ქართველები სულ წასულიყვნენ. ვერც საწიგნე ვნახე, ვერც ვერაფერა”¹³⁴.

მიუხედავად ამისა, მონტობანში განახლებულ მუშაობას დიდი მომავალი არ უჩანდა. როგორც ირკვევა, აქ გაჩაღებულმა შულღმა საბოლოოდ განსაზღვრა ამ სავანის ბედი. ამ ინტრიგის არსი ჩვენთვის ცნობილი ხდება მიხეილ თამარაშვილისა და იერონიმე მულაშაშვილს შორის გამართულ მინერ-მონერიდან. იგი მ. თამარაშვილს სთხოვდა, რომ მას წიგნები დაებეჭდა მონტობანის სტამბაში¹³⁵.

იერონიმე მულაშაშვილი რომში მყოფ მიხეილ თამარაშვილს სავანეში 1897 წელს დაწყებული ინტრიგების შესახებ ატყობინებდა: „ანდრია და ლუიჯი”¹³⁶ ერთად არიან შეკრული და ჩვენ თითქმის არ გველაპარაკებიან”¹³⁷. როგორც ჩანს, ისინი აშკარად ხელს უშლიდნენ მონტობანში ქართული კულტურის სავანის ნორმალურ მუშაობას.

მონტობანის სავანეში, როგორც უნინ, ახლაც მოქმედებდა პატარა სემინარია, სადაც ქართველი ახალგაზრდები დაწყებით განათლებას იღებდნენ. ამის შემდეგ ის, ვინც ამ სემინარიას წარმატებით დაამთავრებდა, ფრანგულ დიდ სემინარიაში შეეძლო სწავლა გაეგრძელებინა. აი, სწორედ აქ იჩინა

¹³³ დ. კოჟორიძე, განათლება და კულტურა..., გვ. 59-60.

¹³⁴ იქვე.

¹³⁵ შ. ლომსაძე, მიხეილ თამარაშვილი..., გვ. 192-193.

¹³⁶ ლუიჯი არზრუმელი სომეხი ყოფილა (ხელნაწერთა ინსტიტუტი, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №419, ფ. 9).

¹³⁷ ხელნაწერთა ინსტიტუტი, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №419, ფ. 9.

თავი ინტრიგამ: ანდრია და ლუიჯი ხელს უშლიდნენ ფრანგ დიდ სემინარიაში იმათ გადასვლას, ვინც ამას ნამდვილად იმსახურებდა¹³⁸. მ. თამარაშვილს კავშირი ჰქონდა ორივე სემინარიასთან და მხარს უჭერდა მას, ვინც პატარა სემინარიას წარჩინებით დაამთავრებდა, შემდეგ სწავლა უნდა განეგრძო დიდ სემინარიაში¹³⁹. სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული მიხეილ თამარაშვილი, რომელიც ამ პერიოდში თავისი ფუნდამენტური ნაშრომების გამოცემით იყო დაკავებული, მაინც პოულობდა დროს, რომ ყოფილიყო კონსტანტინოპოლსა და მონტობანში მიმდინარე საქმეების კურსში. მის რჩევასა და დარიგებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორივე სავანის წარმატებული საქმიანობისათვის.

მიუხედავად ამისა, მონტობანში საქმეები კარგად არ მიდიოდა. ჩანს, შუღლი უფრო ღრმავდებოდა და გადაულახავი უფსკრული იქმნებოდა. 1899 წლის 15 აგვისტოს ალფონს ხითარიშვილი კონსტანტინოპოლიდან მიხეილ თამარაშვილს რომში ატყობინებდა: „მონტობანიდან არ მოდის სასიამოვნო ამბები და ვგონებ, დამჭირზე შევიქმნები პატრ სტეფანეს¹⁴⁰ უკან მოყვანაზე“¹⁴¹. იმავე წლის დეკემბერში მამა ალფონს ხი-

¹³⁸ ხელნაწერთა ინსტიტუტი, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №419, ფ. 9.

¹³⁹ იქვე, ფ. 6

¹⁴⁰ სტეფანე გიორგიძე დაიბადა 1840 წ. მღვდლად ეკურთხა 1864 თუ 1867 წელს (ზ. ჭიჭინაძე, ქართველ კათოლიკეთ მოღვაწენი და მესხეთ-ჯავახეთის ცნობები, თფილისი, 1904, გვ. 66). 1868-1870 წწ., ვიკარი თბილისში ღვთისმშობლის ეკლესიაში, 1870-1872 წწ., ღვთისმშობლის სამწყსოს ადმინისტრატორი მოზდოკში, 1872-1880 წწ. გორში წმ. რაჟდენის სამწყსოს ადმინისტრატორი, 1884-1892 წწ. ქუთაისში უმანკოდ ჩასახვის სამწყსოს ადმინისტრატორი (Tymon Tytus Chmielecki, დასახ. ნაშრ., გვ. 349) მან განათლება მიიღო კონსტანტინოპოლში. ფლობდა რამდენიმე ენას. მღვდლად კურთხევის შემდეგ „...მონტობანის მონასტერში აბატათ იქნა არჩეული. ამავე წარჩინებულ მოძღვარს დიდი შრომა აქვს დათესილი კონსტანტინოპოლის ქართველთა კათოლიკეთ მონასტრის შენობების შენებაზედ, სკოლაზედ და ეკლესიაზედ“ (ზ. ჭიჭინაძე, ქართველ კათოლიკეთ..., გვ. 66).

¹⁴¹ ხელნაწერთა ინსტიტუტი, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, ფ.

თარიშვილი უკვე მონტობანშია და 22 დეკემბერს მიხეილ თამარაშვილს სწერს: „წამოსულმან რომიდან მშვიდობით ვიმგზავრე“. იტალიიდან მამა ალფონსი საფრანგეთში ჩასულა, ჯერ ყოფილა ქალაქ ლიონში, ხოლო იქიდან პირდაპირ მონტობანში ჩასულა. შემდეგ იგი მ. თამარაშვილს სწერდა: „მონტობანში ვაპირებ შაბათს დასვენებას და იქიდან გეახლებით ლურდში¹⁴², იქიდან კი ვისშიდ¹⁴³ სანამლავად. მისი წყლები სასარგებლო შეიქმნა ჩემთვის 1874 შიდ და 20 დღე უნდა დავყო იქ. იქიდან პარიზში წავალ. პარიზიდან კონსტანტინოპოლში“¹⁴⁴. ამ დროს, როგორც ხსენებული წერილიდან ირკვევა, მონტობანში მოღვაწეობდა ავგუსტინე კიკნაძე, რომელსაც ადრე ერქვა ნათლობითა ნიკო¹⁴⁵.

ალფონს ხითარიშვილმა, რომელსაც დიდი ავტორიტეტი ჰქონდა ქართველ კათოლიკეებში, მოინახულა მონტობანი, ესაუბრა ქართველ ბერებს, გაარკვია ყველა საკითხი, მისცა მათ სათანადო დარიგება და იქიდან ქ. ვიში გაემგზავრა და-

№419, ფ. 9.

¹⁴² ლურდი – ქალაქი სამხრეთ საფრანგეთში, კათოლიკეთა მლოცვა-რეობის ცენტრი. მამა პეტრე ხარისჭირაშვილის მიერ ლურდიდან კონსტანტინოპოლში ჩამოტანილმა ღვთისმშობლის ქანდაკებამ იმთავითვე მიიქცია მორწმუნეთა ყურადღება, რადგან მას ბევრი სასწაული მიენერებოდა. „სასწაულებრივმა განკურნებამ, როგორც სულიერმა, ასევე ხორციელმა, აქ მთელი კონსტანტინოპოლი და მისი შემოგარენი მიიზიდა. სამლოცველოს ყველა ჯურის იმდენი მორწმუნე, განსაკუთრებით მაჰმადიანი და ბერძენი მოაწყდა, შიგ შელწევა უერთობ ძნელდებოდა... ძალზე ამალელებელი და ნამდვილად უჩვეულო სანახავი იყო, როგორ ლოცულობდა სხვადასხვა ერის ეს უთვალავი შვილი უბინო ღვთისმშობელ მარიამის წინაშე, თითოეული თავისებურად და თავისი სარწმუნოების წეს-ჩვეულებების მიხედვით“. აქ მოსულები სამარადისოდ რომ უკვდავეყოთ მიღებული მაღლი, ღვთისმშობელს ყველაზე ძვირფას ნივთებს სწირავდნენ (M. Tamarati, დასახ. ნაშრ. გვ. 667-668; მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესია..., გვ. 728-730).

¹⁴³ ქ. ვიში – საკურორტო ქალაქი საფრანგეთში.

¹⁴⁴ ხელნაწერთა ინსტიტუტი, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, ფ. №419, ფ. 12.

¹⁴⁵ იქვე, ფ. №470, ფ. 12.

სასვენებლად. 1900 წლის 24 იანვარს ა. ხითარიშვილი ვიშიდან მ. თამარაშვილს რომში ატყობინებდა: „მონთობანში უნდა გავგზავნო ჩემი მონასტრის ნოვიციები, რათა იქ დაასრულონ სემინარიის კურსი და შემდგომ შევიძლო მათი საქართველოშიდ გაგზავნა“¹⁴⁶.

იმავე წლის 25 იანვარს ა. ხითარიშვილი ვიშიდან პარიზს გაემგზავრა. „ხვალ, ე. ი. 25 იანვარს, – წერდა ის მ. თამარაშვილს, ვაპირებ წასვლას პარიზში და იქიდან ელზასში ჩვენი დების და მოსწავლეთა ნახვას და იქიდან პირდაპირ გავემგზავრები კონსტანტინოპოლისაკენ“¹⁴⁷. იმავე წლის მარტში, კონსტანტინოპოლში დაბრუნებული ალფონს ხითარიშვილი მიხეილ თამარაშვილს ატყობინებდა ელზასში მისი მოგზაურობის შედეგებს. 5 მარტით დათარიღებულ წერილში იგი მ. თამარაშვილს წერდა: „პარიზიდან გავემგზავრე სანახავად ჩვენთა დათა მოსწავლე ასულთა და წავედი პრუსიაში (ელზასში)¹⁴⁸ რიბოვილე ქალაქშიდ¹⁴⁹, სადაც ვნახე ჩვენი ორნი დანი, მწუხარენი, რადგან ადგილობრივი ეპისკოპოზი ნებას არ აძლევდა თავის ერში მოწყალების მოკრეფისასა“¹⁵⁰.

ამის გამო ალფონს ხითარიშვილი წასულა ქ. სტრასბურგში, „სადაც გონიერს ეპისკოპოზს რა აუხსენი ყოველივე გარემოება დიდი მოწყალებით დამპირდა ქალაქის მოცემაზედ რომელით მორთულს ელზასშიდ შეძლებოდათ მოწყალების მოთხოვნა“¹⁵¹. აქვე წერილის ავტორი განაგრძობდა: „შემდგომ მოვბრუნდი ფრანციაშიდ¹⁵² და წაველ ყველგან, სადაც სწავლობენ ჩვენი ქალწულთა ნოვაციები, ქალწულთა სკო-

¹⁴⁶ ხელნაწერთა ინსტიტუტი, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, ფ. №471, ფ. 14-15.

¹⁴⁷ იქვე, ფ. №470, ფ. 15.

¹⁴⁸ საფრანგეთის ეს პროვინცია – ელზასი, 1871 წლიდან ოკუპირებული იყო გერმანიის მიერ.

¹⁴⁹ რიბოვილე – ქალაქი საფრანგეთში, სტრასბურგის სამხრეთით.

¹⁵⁰ ხელნაწერთა ინსტიტუტი, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, ფ. №471, ფ. 19.

¹⁵¹ იქვე.

¹⁵² 1871-1919 წწ. ელზას-ლორენი ოკუპირებული იყო გერმანიის მიერ.

ლებში" ¹⁵³, რომელთა ტიტული აქვს: Soeur de la St. Providence („წმინდა მფარველის და“) ¹⁵⁴.

მამა ალფონს ხითარიშვილის ეს წერილი ჩვენთვის საინტერესოა იმ კუთხით, რომ მასში ნათლად ჩანს შემდეგი: მან მოიარა არაერთი ქართული სკოლა-ელზასში, რიბოვილეში, მონტობანში, რომელსაც იგი „ქალწულთა სკოლებს“ უწოდებს, სადაც სწავლობენ „ქალწულთა ნოვაციები“. მამა ალფონსი ამავე წერილის მიხედვით აღფრთოვანებულია იმით, რომ ნახა ეს სასწავლებლები, სადაც ყველგან სწავლა კარგად მიმდინარეობდა და განათლების დონე იყო მაღალი. ყოველივე ამის შესახებ ის ატყობინებდა მიხეილ თამარაშვილს რომში. ეს უკანასკნელი კი ძალიან დაინტერესებული იყო და ყველას (მათ შორის ალფონს ხითარიშვილს) სთხოვდა, რამდენადაც შესაძლებელი იყო უფრო დეტალურად შეეტყობინებინათ მისთვის ყოველივე, რაც ქართული ბერების მოღვაწეობას და ახალგაზრდობის სწავლას შეეხებოდა უცხოეთში" ¹⁵⁵.

ალფონს ხითარიშვილმა თვით ინახულა მონასტერი, სადაც 8 ქართველი ახალგაზრდა სწავლობდა. მათ შესახებ მას მონტობანში ჰქონია ვრცელი საუბარი. ამ ახალგაზრდებს შორის ის განსაკუთრებით გამოყოფს ქუთაისელ გოგიელოვს (გოგიელაშვილი?), რომელსაც ადრე რუსეთში მიუღია განათლება; მეორე იყო, ასევე ნიჭიერი ქართველი ახალციხიდან, რომლის გვარსაც იგი არ ახსენებს. მასაც რუსული სკოლა დაუმთავრებია ¹⁵⁶.

ამასობაში, როგორც საარქივო მასალებიდან ჩანს, კონსტანტინოპოლში ქართველთა სავანეში საქმე კარგად ვერ მიდიოდა. 1899 წლის 18 იანვარს ალფონს ხითარიშვილი მ. თამარაშვილს სტამბოლიდან წერდა: „მე ვერ წარმოვიდგენდი ესოდენ უთავბოლობასა და უგუნო მართვასა მონასტრისა, საი-

¹⁵³ ხელნაწერთა ინსტიტუტი, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, ფ. №471, ფ. 19.

¹⁵⁴ იქვე.

¹⁵⁵ ხელნაწერთა ინსტიტუტი, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, ფ. №470, ფ. 19.

¹⁵⁶ იქვე.

დანაც მივიხედო და რა საქმეც გაეშინჯო ყველგან და ყოველ საქმეშიდ უზეკულ მართველობასა, და მიკვირს რომ აქობამდინაც არ დარღვეულა ეს ერთადერთი წყარო მონასტერი გვარის დაცვისა, გვარის განათლებისა და ანა სარწმუნოების დაცვისა"¹⁵⁷.

ა. ხითარიშვილი ცდილობდა მოეგვარებინა ქართული კონგრეგაციის საქმეები კონსტანტინოპოლში. იგი ამისათვის არ ზოგავდა თავის უნარს, ავტორიტეტს და საკუთარ სახსრებსაც კი. კონსტანტინოპოლის სავანის გასაძლიერებლად „მე უკვე 1500 მანეთი საკუთარი ფულიც დავუხარჯე“ – წერდა იგი რომში მ. თამარაშვილს¹⁵⁸. მიუხედავად იმისა, რომ მას არ აკლდა ორგანიზატორული უნარი და არც ავტორიტეტი, იგი მაინც უპირობოდ აყენებდა წინ მ. თამარაშვილის ავტორიტეტს და მას იწვევდა კონსტანტინოპოლში „რიგიანი გეგმების“ შესადგენად. „... ამისათვის მე მჭირია თქვენი ნახვა, – წერდა მამა ალფონსი მ. თამარაშვილს, – რჩევა, მოლაპარაკება, და ერთი რიგიანი მონასტრის მართვის პლანის შედგენა“¹⁵⁹. 1899 წლის 20 იანვარს კი ა. ხითარიშვილი მ. თამარაშვილს აუწყებდა წერილობით: „რათ იგი შეეხება ჩვენს მონასტერსა: მე არ წარმოვიდგენდი, რომ ეს სახლი ასე გლახაკი დამხვდებოდა, და პ. სტეფანე ამნაირი... მარტო თავის თავისთვის მზრუნველი, ხოლო შორს საქმეთა შინა ამნაირი დაუხედავი იქმნებოდა“¹⁶⁰.

ამ წყაროდან იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ სტეფანე გიორგიძემ, რომელიც კონსტანტინოპოლის სავანეს ხელმძღვანელობდა 1892-1898 წლებში¹⁶¹ ვერ გამოიჩინა სათანადო უნარი და ორგანიზატორობა, რომ გაძლოლოდა აღნიშნულ კერას. მან ირკვევა მრავალი საქმე ჩაშალა კონსტანტი-

¹⁵⁷ ხელნაწერთა ინსტიტუტი, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, ფ. №471, ფ. 19; იქვე, ფ. 47.

¹⁵⁸ იქვე, ფ. №470, ფ. 47.

¹⁵⁹ ხელნაწერთა ინსტიტუტი, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, ფ. №470, ფ. 47.

¹⁶⁰ იქვე, ფ. 5

¹⁶¹ დ. კოჟორიძე, განათლება და კულტურა..., გვ. 167.

ნოპოლში, რაზეც შესწიოდა ა. ხითარიშვილი მ. თამარაშვილს. როგორც ი. ტაბაღუა ირწმუნება, სტეფანე გიორგიძე „... კი ამ დროს უკვე მონტობანში იყო. მან გადაწყვიტა თავისი მოღვაწეობა იქ განეგრძო“¹⁶².

მართალია, მონტობანში ქართული სავანე ისევ განაგრძობდა არსებობას, მაგრამ მისი საგამომცემლო საქმიანობა პირველ პერიოდთან შედარებით არ იყო ნაყოფიერი. თუმცა ირკვევა, რომ 1899 წლისათვის ამ კერას ერთ-ერთმა ფრანგმა მანდილოსანმა – მაზელმა „ახალი სისტემის“¹⁶³ საბეჭდი მანქანა შესწირა¹⁶⁴. ბუნებრივია, ამას წინ უნდა წაენია საგამომცემლო საქმიანობა, მაგრამ მონტობანელი ქართველები უკვე ამ მიმართულებით არ ფიქრობდნენ. ამ აზრს გვეკარნახობს ა. ხითარიშვილის წერილი მ. თამარაშვილისადმი, რომელიც 1899 წლის 15 აგვისტოთია დათარიღებული. იგი ადრესატს სწერდა: „უქველი არის გესიამოვნებათ შემდეგი: პ. ანდრეას მონტობანში ყოფნის დროს შემოსწირა მონასტერსა ერთმა ფრანცუზის დედაკაცმან კარგი ახალი სისტემის მანქანა ტიპოგრაფიისა და პ. სტეფანე (სტეფანე გიორგიძე – ხაზგასმა ჩვენია) რა ჩავიდა მონტობანში, უნდოდა გაეყიდა: მე სასწრაფოდ მივწერე, რომ აქ გამოეგზავნა და ახლა აქ ვამართვინამ, რომ მონასტერსა ჰქონდეს ერთი კარგი ინსტრუმენტი გამოსაცემად გვარის სასარგებლო წიგნებისა...“¹⁶⁵

ვფიქრობთ, ძნელი არ არის დავასკვნათ, რომ მონტობანში უკვე აღარ მიმდინარეობდა საგამომცემლო საქმიანობა, თორემ სტეფანე გიორგიძე არ მოინდომებდა „ახალი სისტემის“ საბეჭდი მანქანის გაყიდვას. შესაძლებელია, ეს გადაწყვეტილება სავანის მატერიალური სიძნელეებითაც ყოფილიყო გამოწვეული. თუმცა ასე როდი ფიქრობდა პატრიოტი და გა-

¹⁶² ი. ტაბაღუა, ქართული კულტურის..., გვ. 170; მისივე, საქართველო-საფრანგეთის..., გვ. 434.

¹⁶³ ი. ტაბაღუა, ქართული კულტურის..., გვ. 170; მისივე, საქართველო-საფრანგეთის..., გვ. 424-425.

¹⁶⁴ ი. ტაბაღუა, ქართული კულტურის..., გვ. 170; მისივე, საქართველო-საფრანგეთის..., გვ. 424-425.

¹⁶⁵ იქვე, გვ. 170; მისივე, საქართველო-საფრანგეთის..., გვ. 425.

ნათლებული მამა ალფონს ხითარიშვილი. მან ეს საბეჭდი მანქანა კონსტანტინოპოლში ჩაიტანა და იქ გამოიყენა ქართული ნიგნების დასაბეჭდად. მის შესახებ დომინიკე მულაშაშვილი¹⁶⁶, რომელიც ადრე თავის ძმასთან¹⁶⁷ ერთად მონტობანის სემინარიაში სწავლობდა, 1899 წლის სექტემბერში სარატოვიდან მ. თამარაშვილს სწერდა: „სტამბა, რომელიც მაზელმა გვარჩუქა, სტამბოლში მივიტანეთ და ძველ რეფექტორიაში გამართეს“¹⁶⁸. „ახლა უკვე, – წერდა ა. ხითარიშვილი მ. თამარაშვილს, – მაქვს ახალი მანქანა ყველა შენი შრომების დასაბეჭდად“¹⁶⁹ და ურჩევს მას: „რა მიიღებ ამ წერილსა, მალე გამოემგზავრე იქიდან; თვარა საბოლოოდ დაიმცირებ და დაკარგავ

¹⁶⁶ დომინიკე მულაშაშვილი (მულაშევი) დაიბადა 1865 წელს. მღვდლად ეკურთხა 1900 წელს. 1900-1902 წწ. იყო თბილისის ღვთისმშობლის ეკლესიის სამწყსოს ვიკარი, 1902-1908 წწ. აღნიშნულ ეკლესიაში იყო რეზიდენტი. მან „... სწავლა ჯერეთ ახალციხის სამრევლო სკოლაში მიიღო, მერე სამოქალაქო სკოლაში სწავლობდა, მას შემდეგ კონსტანტინოპოლს იქნა გაგზავნილი. იქ სწავლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა მონტობანს და რომს“. მღვდლად აკურთხა სარატოვის კათოლიკეთა ეპისკოპოსმა. ამის შემდეგ მსახურებდა თბილისის ღვთისმშობლის მიძინების კათოლიკეთა ეპარქიაში. განაგებდა გორის კათოლიკეთა ეკლესიასაც. იყო განათლებული მღვდელი, პუბლიცისტი, რედაქტორობდა კათოლიკეთა პერიოდულ ორგანოს „ჯვარი ვაზისა“. ამ სახელწოდებიდან მომდინარე მისი მიზანი იყო მართლმადიდებელ ქართველებთან თანადგომა (ზ. ჭიჭინაძე, მიხეილ პეტრეს ძე თამარაშვილი..., გვ. 53-58; Tymon Tytus Chmielecki, დასახ ნაშრ., გვ. 353).

¹⁶⁷ მისი ძმა იყო ალბათ იერონიმე მულაშაშვილი. მის შესახებ ცნობილია მხოლოდ ის, რომ მან 1898 წელს მ. თამარაშვილს სთხოვა მონტობანში გამოეცა თავისი ნიგნი „ქართული ეკლესია დასაბამითგან დღემდე“. ის მ. თამარაშვილს სთავაზობდა დოკუმენტების ფრანგულ ენაზე თარგმნას (ხელნაწერთა ინსტიტუტი, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №319, ფურც. 29; შ. ლომსაძე, მიხეილ თამარაშვილი... გვ. 192-193). ეს ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ იერონიმემ კარგად იცოდა ფრანგული ენა.

¹⁶⁸ ი. ტაბალუა, ქართული კულტურის..., გვ. 170; მისივე, საქართველო-საფრანგეთის..., გვ. 424.

¹⁶⁹ ხელნაწერთა ინსტიტუტი, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №470, ფურც. 20.

ყველა მაგოდენა შრომით შექენილსა ყოვლისა სახელსა...¹⁷⁰
ევროპაში არსებული ქართული კულტურის კერების დიდი
მოამაგე, ახალგაზრდების დამრიგებელი და მასწავლებელი
ალფონს ხითარიშვილი ხსენებულ წერილში მ. თამარაშვილს
შესჩიოდა ნიგნების, კერძოდ, ლექსიკონების ნაკლებობაზე და
ატყობინებდა: „შესახებ ქართულ-რუსულ-ფრანციულ ლექსი-
კონისა აქაც (კონსტანტინოპოლში – ხაზგასმა ჩვენია) დიდი
საჭიროება გვაქვს“. ორი ლექსიკონი გამოსულა ტაგანროგში
ქართულ-რუსულ-ფრანგული და რუსულ-ქართული¹⁷¹.

ამ დაუცხრომელმა და მეტად განათლებულმა ადამიანმა
კონსტანტინოპოლში გამართა სტამბა და ეკლესიის აგებასაც
შეუდგა. 1901 წლის 31 აგვისტოს ა. ხითარიშვილი სტამბოლი-
დან მ. თამარაშვილს აუწყებდა: „მაქვს მაქინა ტიპოგრაფიისა
და აქვე ყოველსაც დავბეჭდავდი, თქვენ ნაღვანთა. აგერ ახ-
ლა ვასრულებ ეკლესიის შენობასა, რომელიც არის შესანიშნა-
ვი და ყველა პატრიოტულ ისტორიების ნიშნებითაც შემკული.
მთავარ ტრაპეზზედ ვსვამ ორ ძეგლსა წმ. ანდრია მოციქული-
სა და წმ. ნინასი, ზედ გამოხატული აქვს საქართველოს ღერბი
(Arma) და ლურდის ტრაპეზქვეშ აწერია ქართული მხედრული
ასოებითა: „მარიამ ღვთისმშობელო, საქართველოს მოციქუ-
ლო მეოხ ჰყავნ ჩვენ ცოდვითა ქართველთა“¹⁷².

ამ ეკლესიის აგება დამჯდარა 150 ათასი ყურუში, მაგ-
რამ ეს „პირველი ეკლესიაა სათათრეშიდ... აქვს მაღალი გო-
თიკური სამრეკულო და დიდებული შესასვლელი, რომელსაც
კურთხევას ვაპირებ მოსასულელ თვეში“¹⁷³. ამავე წერილში
იგი თამარაშვილს სთხოვდა: „ჩამოდი, მიგიღებ კარგად, მობ-
რძანდი შენ მონასტერში. რადგან მარტო შენზედ მაქვს იმედი,
რომ ჩემს მოხუცებულობაში მინუგეშებ და ჩემს შემდგომაც
მიიღებ წინამძღოლობასა და ააყვავებ ამა გვარისა (ქართვე-

¹⁷⁰ ხელნაწერთა ინსტიტუტი, მ. თამარაშვილის პირადი არქივი,
№470, ფურც. 16.

¹⁷¹ იქვე, ფურც. 11.

¹⁷² ხელნაწერთა ინსტიტუტი, მ. თამარაშვილის პირადი არქივი,
№470, ფ. 22.

¹⁷³ იქვე.

ლობისა – ხაზგასმა ჩვენი) უკედავებასა განათლების წყარო-სა...¹⁷⁴. ა. ხითარიშვილი თავის სიტყვებში გულწრფელი და სამართლიანი იყო. ქართველ კათოლიკეთა შორის იმ დროს თამარაშვილზე უფრო დიდი და ავტორიტეტული პიროვნება არავინ იყო, არც შემდეგაც გამოჩენილა ასეთი ადამიანი. მაგრამ, როგორც ცნობილია მ. თამარაშვილი რომში დარჩა, სადაც ტრაგიკულად დაიღუპა 1911 წელს.

დაბოლოს: საინტერესოა და ჩვენი კვლევისათვის აუცილებელი, გაირკვეს, თუ როდის მოხდა 1897 წელს ხელახლა აღდგენილი ქართველ კათოლიკეთა კულტურული სავანის დახურვა მონტობანში და რა იყო ამის მიზეზი? როგორც პირველ შემთხვევაში, აქაც, ამ ფაქტის ასახსნელად რაიმე კონკრეტული წყარო ხელთ არ გაგვაჩნია. ამჯერადაც ისევ უნდა მივმართოთ მესამე რესპუბლიკის მთავრობის ანტიკლერიკალური პოლიტიკის შედეგებს, რაც, რა თქმა უნდა, განაპირობებდა ქართველ კათოლიკეთა კერის არსებობის ბედს საფრანგეთში.

როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, 1901 წელს მოხდა რადიკალ-სოციალისტებისა და რადიკალების ერთიან რესპუბლიკურ პარტიად ჩამოხალიბება¹⁷⁵. მათ ხელისუფლებაში მოსვლამდე წამოაყენეს თავიანთი პროგრამული მოთხოვნები: ბრძოლა კლერიკალიზმთან, სახელმწიფოს ეკლესიისაგან გამოყოფა, საერო განათლების დამყარება და ა. შ.¹⁷⁶ 1902 წელს ხელისუფლებაში მოსულმა რადიკალებმა ემილ კომბით სათავეში მთავრობის მთავარ ამოცანად დასახეს კლერიკალიზმთან ბრძოლა¹⁷⁷. კათოლიკური ორგანიზაციების მოღვაწეობა საშიშროებას წარმოადგენდა¹⁷⁸. მაგ: 1900 წლის დასაწყისში ვალდეკ რუსოს მთავრობამ დევნა დაუწყო მიძინების ორდენს, რადგან გამომჟღავნდა მონაზონთა საი-

¹⁷⁴ ხელნაწერთა ინსტიტუტი, მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №470, ფ. 22.

¹⁷⁵ История Франции, დასახ. ნაშრ., გვ. 524.

¹⁷⁶ იქვე.

¹⁷⁷ იქვე, გვ. 525.

¹⁷⁸ იქვე.

დუმლო საქმიანობა¹⁷⁹. ამავე წლისათვის კათოლიკური ორგანიზაციების ქონება 1 მილიარდ ფრანკს აღწევდა¹⁸⁰.

1902 წლის 27 ივნისს კომბოს მთავრობამ გამოსცა დეკრეტი, რომლის თანახმად დაიხურა კონგრეგაციების მიერ დაარსებული 125 სკოლა. ამავე წლის 10 ივლისის კანონით რელიგიურ ორდენტა 3 ათასი სკოლა გაუქმდა. ანალოგიური ბედი ენია მამაკაცთა 54 კონგრეგაციას, რომელთაგან 28 საქადაგებლო მოღვაწეობას მისდევდა. 1904 წლის 7 ივლისს კომბოს მთავრობამ გამოსცა კანონი საერთოდ მეტროპოლიის ტერიტორიაზე აკრძალულიყო კონგრეგაციანული სწავლება. ამავე მთავრობამ აღნიშნული წლის ოქტომბერში შეიტანა კანონპროექტი ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის შესახებ¹⁸¹.

აღნიშნული მოვლენებიდან გამომდინარე, ძნელი არ არის დავასკვნათ, რომ ქართველ კათოლიკეთა სავანეს არსებობის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. შესაძლებელი იყო, ალბათ, სხვა ფორმით ამ ცენტრის შენარჩუნება, მაგრამ იგი ჩანს, სავანის მესვეურთა შესაძლებლობებს აღემატებოდა. ამდენად, შეიძლება ვთქვათ, რომ 1904 წლის ხსენებული კანონის შემდეგ, ალბათ მალევე, თუ მანამდე არა, თავისი არსებობა დაასრულა მონტობანში ქართველ კათოლიკეთა კულტურულმა ცენტრმა. მართალია, მან ვერ შეიძინა ისეთი ნიშნები, როგორც კონსტანტინოპოლში არსებულმა კერამ, მაგრამ მან ერთი გამობრწყინებით წარუშლელი კვალი დატოვა უცხოეთში ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეში.

¹⁷⁹ Гурвич С. Н., დასახ. ნაშრ., გვ. 107.

¹⁸⁰ История Франции, დასახ. ნაშრ., გვ. 525; Гурвич С. Н., დასახ. ნაშრ., გვ. 107.

¹⁸¹ В. И. Антохина-Московченко, Третья Республика во Франции – 1870-1918, М., 1986, გვ. 342.

ამრიგად, წარმოდგენილ ნაშრომში ჩვენ შევეცადეთ შეგვესწავლა XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში მონტანაში არსებული ქართული სავანის კულტურული საქმიანობა საფრანგეთ-საქართველოს შორის არსებული ისტორიული ურთიერთობის განვითარების ქრილში. სათანადო საისტორიო წყაროთა მონაცემებისა და სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული გააზრების საფუძველზე ჩვენ მივედით შემდეგ დასკვნამდე:

ქართულ სამყაროში საფრანგეთზე წარმოდგენა ადრეულ საუკუნეთა სიღრმეში იღებს სათავეს, თუმცა XII საუკუნის 20-იან წლებამდე ფრანგებსა და ქართველებს შორის უშუალო კონტაქტებზე ხელშესახები წყაროები არ გავაჩნია. დიდგორის ომში (1121 წლის 12 აგვისტო) 100 თუ 200 ფრანგი ჯვაროსნის მონაწილეობა საქართველო-საფრანგეთს შორის პირველი ურთიერთობის თავისებური მომენტია. მისი გაფართოება მოხდა მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს (1217-1221). ლაშა-გიორგი მზად იყო, ფრანგებთან ერთად მიეღო მონაწილეობა ქ. დამიეტას აღებაში. მაგრამ, როგორც ცნობილია, საქართველოში მონღოლთა გამოჩენამ გამოორიცხა ქართველი და ფრანგი რაინდების ერთობლივი საომარი მოქმედება. დიდგორის შემდეგ ეს რიგით მეორე ასეთი სახის ღონისძიება იქნებოდა საერთო მტრის წინააღმდეგ.

შემდეგში XIV საუკუნის 40-იან წლებამდე საქართველო-საფრანგეთს შორის ურთიერთობის კვალი აღარ ჩანს. საფრანგეთის მეფე ფილიპე VI ვალუამ (1328-1350) 1332 წლიდან ინტენსიურად დაიწყო მზადება ახალი ჯვაროსნული გეგმის შესადგენად. იგი მიმართული უნდა ყოფილიყო ეგვიპტის სულთანისა და ანატოლიაში მომძლავრებული თურქების წინააღმდეგ. ეს საქართველოსათვის ფრიად სასურველი იყო. ამის გათვალისწინებით, ჩანს, საფრანგეთის მეფემ მოკავშირეობის წინადადება შესთავაზა საქართველოს მეფეს – გიორგი V ბრწყინვალეს (1318-1346). ამ უკანასკნელმა დიდი პატივით მიიღო საფრანგეთის მეფის დესპანები და მოინონა აღნიშნუ-

ლი გეგმა იმ პირობით, თუ საფრანგეთის ხელმწიფე რეალურად შეეცდებოდა მის განხორციელებას. ასეთ ვითარებაში საქართველოს მეფე 30-ათასიანი ლაშქრით მიიღებდა მონაწილეობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი იქნებოდა საქართველოს ინტერესების სანინააღმდეგო, რადგან დაირღვეოდა მაჰმადიან მეზობლებთან უკვე არსებული ურთიერთობა.

გიორგი ბრწყინვალედან მოყოლებული, მხოლოდ 125 წლის შემდეგ, ისევ შედგა საქართველო-საფრანგეთის პოლიტიკური თანამშრომლობა. პაპ პიუს II-ის მიერ დაგეგმილმა (1458 წ.) ანტიოსმალური კოალიციის მიზნებმა ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგის VIII-ისა და სამცხის ათაბაგის ელჩები 1461 წლის მაისში პარიზში ჩაიყვანა, სადაც შეხვდნენ საფრანგეთის მეფე შარლ VII-ს (1422-1461). ვერც ამ უკანასკნელზე და ვერც იმავე წლის 22 ივნისს ტახტზე ასულ ლუი XI-ზე (1461-1488), რომლის მეფედ კურთხევის ცერემონიალს ქართველი ელჩებიც დაესწრნენ, დიდი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა რომის პაპის ანტიოსმალურმა გეგმამ და ქართველი ელჩების წინადადებებმა. ამოოდ გარჯილი ელჩები სამშობლოში დაბრუნდნენ.

საფრანგეთთან საქართველოს ურთიერთობის თვისობრივად ახალი საფუძვლის ჩაყრას ცდილობდა ოდიშის მთავარი ლევან II დადიანი (1611-1657). ჰქონდა რა მჭიდრო კავშირი კონსტანტინოპოლში საფრანგეთის ელჩ დე ლა ე-ს-თან, 1614 წელს იგი შეეცადა, სამეგრელოში დაეფუძნებინა ფრანგი იეზუიტთა მისიონი. ამ განზრახვას ჰქონდა პოლიტიკური მიზანი. კერძოდ, ამ საშუალებით ოდიშის მთავარი ცდილობდა საფუძველი მოემზადებინა საფრანგეთთან მომავალი რეალური კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობის დამყარებისათვის. ამ საქმეში ერთგვარი დიპლომატიური არხის როლს ასრულებდნენ ხსენებული ორდენის მისიონერები. პირველწყაროებით დასტურდება, რომ აღნიშნული ურთიერთობის ინიციატორად გამოვიდა საფრანგეთის ელჩი კონსტანტინოპოლში დე ლა ე. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ XVII საუკუნის I ნახევარში საქართველოსა და საფრანგეთს შორის ისახებოდა აქტიური ურთიერთობის პერსპექტივები,

რომელსაც განაპირობებდა ფრანგი მესვეურების მისიონერული პოლიტიკა აღმოსავლეთში.

საფრანგეთ-საქართველოს შორის ნავარაუდევ გეგმებში დასახულმა ურთიერთობამ ვერ ჰპოვა შემდგომი განვითარება. თუმცა ეს არ ნიშნავდა იმას, რომ საფრანგეთმა დაკარგა ინტერესი საქართველოს მიმართ. მთელი XVII და XVIII საუკუნეების მანძილზე ფრანგი მისიონერები, მოგზაურები, ვაჭრები, მეცნიერები და დიპლომატები (სანსონი, ფილიპე ავრილი, ჟან ბატისტ ტავერნიე, ჟან შარდენი, ჟოზეფ პიტონ დე ტურნეფორი, ჟან რიშარი და სხვ.) საქართველოს აცნობდნენ ევროპას. მათ თხზულებებში ეპოულობთ ცნობებს, რომლებიც პირველწყაროს როლს ასრულებენ საქართველოს ისტორიის შესწავლაში.

საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობაში არსებითად ახალი პერიოდი დაიწყო XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში. ეს უკავშირდება ქართლის მეფე ვახტანგ VI-ის ორიენტაციას ევროპაზე და სულხან-საბა ორბელიანის ელჩობას საფრანგეთში. ამ დიპლომატიური მისიის ერთ-ერთი პრობლემის – საფრანგეთთან სამხედრო კავშირის დამყარებისა და საქართველოში ფრანგი იეზუიტი მისიონერების ჩამოყვანის საკითხის შესწავლიდან ჩანს, რომ პარიზში სულხან-საბას ელჩობის ერთ-ერთ მიზანს შეადგენდა საფრანგეთთან კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის დამყარება. ამ საქმეში ერთგვარი ხიდის როლს ასრულებდნენ მარსელში საზღვაო ფლოტში სასწავლებლად გაგზავნილი ქართველი ახალგაზრდები და საქართველოში იეზუიტთა მიერ დაარსებული სემინარია და კოლეჯი.

ცხადია, ეს არ იყო შემთხვევითი მოვლენა. ლუი XIV „მეფე – მზის“ დროინდელი საფრანგეთი ქართველი პოლიტიკოსების ერთი ნაწილისათვის და, კერძოდ, ვახტანგ VI-სათვის ერთ-ერთი მონივნავე კულტურის ქვეყანა იყო მთელ მსოფლიოში. მიუხედავად იმისა, რომ მას რაიმე პრაქტიკული შედეგი არ მოჰყვა, ამ ორ ქვეყანას შორის ინტერესი არ განელეზულა.

ჩვენი ქვეყნის წარსულისა და თანამედროვე ვითარების შესახებ საფრანგეთისა და ევროპის საზოგადოებას ინფორმა-

ციებს აწვდიდნენ ფრანგი კათოლიკე მისიონრები და დიპლომატები (ჟან ანტუან დიუ სერსო, შარლ დე პეისონელი). ეს უკანასკნელი ერთადერთი ფრანგი ავტორია, რომელიც თავის ნაშრომში „ესე ახლანდელ მღელვარებაზე სპარსეთსა და საქართველოს“ (1754 წ. პარიზი) სპეციალურად ვრცლად შეეხო საქართველოს თემას. ამ ერთგვარი სახის პირველწყაროთი მთელი ევროპა გაეცნო ერეკლე II-ის პოლიტიკურ მოღვაწეობას.

საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობაში თავისი არსით ძალზე საინტერესო მომენტი ნაპოლეონ ბონაპარტის აღმოსავლურ პოლიტიკაში ჩვენი ქვეყნის ადგილის განსაზღვრა. ნაპოლეონს საქართველოს გზა ყველაზე საიმედოდ ესახებოდა ინდოეთში შესაღწევად. სწორედ ამ გეგმასთან კავშირში დაიგეგმა ნაპოლეონის წერილობითი ფორმით ურთერთობის დამყარება ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII-სთან, ობიექტური მიზეზების გამო დასახულმა ურთიერთობამ შემდგომი განვითარება ვერ ჰპოვა.

რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ (1801 წ.) ქართველი უფლისწულები და იმერეთის მეფე სოლომონ II (1789-1810) დიდ იმედებს ამყარებდნენ ნაპოლეონზე, რათა მისი დახმარებით განედევნათ რუსები საქართველოდან. ნაპოლეონ ბონაპარტეს ანტირუსული პოლიტიკა და რუსეთის წინააღმდეგ ომის დაწყებისათვის სამზადისი დიდ იმედებს უსახავდა იმერეთის მეფე სოლომონ II-სა და თეიმურაზ და ალექსანდრე ბატონიშვილებს, საფრანგეთის დახმარებით რომ აღედგინათ საქართველოს დამოუკიდებლობა. ქართველთა ეს იმედი ნაპოლეონის რუსეთთან დამარცხებამ საბოლოოდ დაასამარა.

საფრანგეთის საქართველოთი დაინტერესება არც ნაპოლეონის შემდგომ შეწყვეტილა. ამის დასტურია ის, რომ 1821 წლიდან თითქმის ერთი საუკუნის მანძილზე (1921 წ.) თბილისში არსებობდა საფრანგეთის საკონსულო, ხოლო ქუთაისში, ფოთსა და ბათუმში მოღვაწეობდნენ ვიცე-კონსულები. ჩვენს ქვეყანაში ამ დიპლომატიური წარმომადგენლობის გახსნით საფრანგეთის მთავრობა ცდილობდა, საქართველო

ექცია აზიასთან ვაჭრობის ცენტრად. საფრანგეთის საკონსულოს მოღვაწეობა თბილისში და, შესაბამისად, ვიცე-კონსულების საქმიანობა ქუთაისში, ფოთსა და ბათუმში შეიძლება მივიჩნიოთ რუსეთის მიერ დაპყრობილ საქართველოში საფრანგეთ-საქართველოს შორის გაუფორმებელ დიპლომატიურ ურთიერთობად. საქართველოში რუსეთის დამკვიდრებით საფრანგეთის მთავრობას სურდა თავისი სავაჭრო კაპიტალის სასარგებლოდ გამოეყენებინა. ამის მიუხედავად, ევროპას მოწყვეტილი საქართველოსათვის აღნიშნულ ურთიერთობას ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ჩვენს ქვეყანაში დასავლური იდეები რუსეთის გარეშეც, ასე თუ ისე, საფრანგეთის მეშვეობით გზას იკაფავდა. საფრანგეთი კი ამ ურთიერთობის შედეგად ღრმად ეცნობოდა ქართველი ხალხის წარსულს, მათი თავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიას და საქართველოს წვლილს მსოფლიო კულტურის განვითარების საქმეში და ეწეოდა ამის ფართო პროპაგანდას ევროპაში.

ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკა მძიმე დარტყმის ქვეშ აყენებდა როგორც მთელი ქართველი ერის, ისე ქართველ კათოლიკეთა სულიერ ცხოვრებას. რუსეთის მთავრობამ პოლიტიკური მოტივით 1845 წელს საქართველოდან განდევნა კათოლიკე პატრები, რასაც მოჰყვა ახალციხის ლათინური რიტის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიებში ლათინურ ენაზე წირვა-ლოცვის გაუქმება. რომის წმინდა ტახტს არ ჰქონდა დამტკიცებული ქართული კათოლიკური ტიპიკონი, რის გამოც ქართველი კათოლიკეები გამოუვალი სირთულის წინაშე დადგნენ. ასეთ ვითარებაში რუსეთის მთავრობამ მხარი დაუჭირა ქართველ კათოლიკეთა ლათინური რიტის ეკლესიებში სომხური ტიპიკონისა და სომხური ენის დამკვიდრებას. საკუთრივ სომეხი სასულიერო პირები ლათინური ეკლესიებისა და მათი ქონების დაუფლების მიზნით, ყოველნაირად შეეცადნენ ხალხი დაეჯერებინათ, რომ თითქოს არასოდეს არსებობდნენ ქართველი კათოლიკეები და საქართველოში მცხოვრები ყველა კათოლიკე სომეხი იყო.

ასეთ ვითარებაში ქართველ კათოლიკეთა ერთმა ნაწილმა, მისი ღირსეული წარმომადგენლის – პეტრე ხარისჭირაშ-

ვილის მეთაურობით ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების მიზნით, 1859 წელს რომის პაპის ნებართვის საფუძველზე კონსტანტინოპოლის გარეუბან ფერი-კევიში საძირკველი ჩაუყარა ქართველ მამათა სავანეს. ქართულენოვანი ტიპიკონის მქონე ამ ძმობას „პროპაგანდა ფიდემ“ 1861 წლის 10 თებერვალს იურიდიული ძალმოსილება მიანიჭა.

კონსტანტინოპოლის ქართული სავანის მოღვაწეობის ძირითადი მიზანი იყო: პირველი, ეროვნული კათოლიკური სამღვდელოების შექმნა, რომელიც შეძლებდა წარმატებით ემოღვანა საქართველოში ქართველი კათოლიკე მრევლის მოსავლელად. ამიტომ იყო, რომ დასაწყისში მღვდლები სომხურ ან ლათინურ ტიპიკონს იყენებდნენ, იმისდა მიხედვით, თუ ქართველები ამ ორი ტიპიკონიდან რომელს ანიჭებდნენ უპირატესობას. ეს იყო პირველი ეტაპი, ხოლო მომდევნო ეტაპი უნდა დასრულებულიყო ბერძნული წესის ქართულ ენაზე დადგენით. კონგრეგაციის წევრებს ამ წესით უნდა ესარგებლათ; მეორე, კათოლიკური სამყაროსათვის გაეცნო ქართველ კათოლიკეთა საქმიანობა, რათა ამ გზით დაემკვიდრებინათ აზრი ევროპაში, რომ ნამდვილად არსებობდნენ ქართველი კათოლიკენი. ეს იქნებოდა ის საშუალება, რომლითაც გააბათილებდნენ სომხების მიერ დამკვიდრებულ აზრს, რომ არ არსებობდნენ ქართველი კათოლიკეები; მესამე, სავანის მიზანი იყო ქართველი ხალხის გამოღვიძება-აღორძინება სარწმუნოებრივად, პოლიტიკურად და კულტურულად. იგი უცხოეთში თავისი არსებობით ცოცხალი პროტესტის ნიშანი იყო რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობისა. ქართველმა მამებმა ეს სავანე აქციეს ეროვნულ კერად, სადაც მუდამ არა მარტო მრავალი ქართველი ახალგაზრდა აფარებდა თავს, არამედ მრავალი პოლიტიკური მოღვაწეც, განურჩევლად სარწმუნოებისა და მისწრაფებისა. ამ კულტურული ცენტრის საშუალებით ვატიკანი და დასავლეთის სხვა ქვეყნები ეცნობოდნენ საქართველოს და ქართველების ისტორიას, მათ თანამედროვე პოლიტიკურ, ეკონომიკურ და რელიგიურ მდგომარეობას; მეოთხე, კონსტანტინოპოლის ქართველი კათოლიკენი დიდ სულიერ სამსახურს უწევდნენ თავის სამშობლოს და იქ ნაკურ-

თხი მღვდლების ხელში იყო საქართველოში კათოლიკეთა ყველა ეკლესია.

1875 წლისათვის მონტობანში (საფრანგეთი) შეიქმნა ქართველ კათოლიკეთა კულტურული ცენტრი. ამით ახალი ეტაპი დაიწყო უცხოეთში ქართველ კათოლიკეთა კულტურული კერის მოღვაწეობის ისტორიაში. აღნიშნული სავანის დაარსება უკავშირდება კონსტანტინოპოლში მოღვაწე ქართველ კათოლიკეთა მეთაურის პეტრე ხარისჭირაშვილის სახელს. ამ უკანასკნელს დასახული ამოცანის განხორციელებაში ფასდაუდებელი სამსახური გაუწიეს ქართველ კათოლიკეთა საუკეთესო წარმომადგენლებმა: ა. წინამძღვრიშვილმა, ა. ხითარიშვილმა, ი. წალდაძემ, ს. გიორგიძემ, ა. ნასყიდაშვილმა, დ. მულაშაშვილმა (პანაძე) და სხვ. ისინი გამოირჩეოდნენ მაღალი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობით, ევროპული განათლებითა და სამშობლოსადმი უანგარო სამსახურით.

საფრანგეთში (მონტობანი) ქართველ კათოლიკეთა სავანის დაარსება არ იყო შეთხვევითი მოვლენა. XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული საზოგადოებრივი აზრი ამკარა სიმპათიით იყო განწყობილი საფრანგეთის მიმართ და მიიღტვოდა ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური და კულტურული კონტაქტის დამყარებისკენ, რომელსაც ხანგრძლივი ისტორიული ნიადაგი ასაზრდოებდა. ამის საფუძველზე ქართველი კათოლიკე მოღვაწეებისათვის საფრანგეთი, როგორც განვითარებული, მონინავე კათოლიკური ქვეყანა, საკუთარი მიზნების განსახორციელებლად ყველაზე ხელსაყრელი იყო.

ქართული კულტურის კერამ მონტობანში ბინა დაიდო ეგალიტეს ქუჩაზე. სავანეს გააჩნდა ერთი პატარა სახლი და ბაღი. ცენტრის მთავარი მოძღვარი იყო ანდრია წინამძღვრიშვილი. მისი ენერგიული მოღვაწეობის შედეგად პარიზიდან ჩამოიტანეს საბეჭდი დაზგა და გაიმართა სტამბა. ამის შედეგად ქართული კონგრეგაცია დაულალავად შეუდგა საგამომცემლო საქმიანობის ორგანიზებას. ორიოდე წელში გამოიცა 11 წიგნი. თავისი არსებობის მანძილზე (დაახ. 25 წელი) მონტობანში სულ გამოიცა 29 წიგნი, ისინი ძირითადად სახელმძღვანელოებსა და ლექსიკონებს წარმოადგენდნენ. ეს ფაქტი მიუ-

თითებს იმაზე, რომ ქართველი კათოლიკე მოღვაწენი იღნ-
ვოდნენ ქართველი ერის კულტურული განვითარებისათვის,
ეროვნული მეობის შენარჩუნებისათვის და ამით დიდი როლი
შეასრულეს ქართველი ერის ცხოვრებაში. საფრანგეთის მეშ-
ვეობით ამ პატრიოტ ქართველებს სურდათ, ქართული კულ-
ტურა გაეცნოთ ევროპისათვის. თავიანთი მოღვაწეობის ერთ-
ერთ მიზანს ისინი ევროპაში ქართული კულტურის პროპაგან-
დაში ხედავდნენ. ამდენად, მათ აღნიშნული მოღვაწეობით,
საგამომცემლო საქმიანობის გაჩაღებით საქართველო ჩარ-
თეს მსოფლიო კულტურის სააზროვნო სივრცეში.

ისიც დადგინდა, რომ მონტობანის ქართველ კათოლიკე-
თა კონგრეგაცია წიგნების ბეჭდვასა და ლიტერატურულ საქ-
მიანობასთან ერთად ეწეოდა ქართველი ახალგაზრდების გა-
ნათლებისა და სწავლა-აღზრდის საქმეს. კონსტანტინოპო-
ლის სავანის მსგავსად, მონტობანშიც დაარსდა მცირე სასუ-
ლიერო სასწავლებელი. ეს ცენტრი იმთავითვე ჩაფიქრებული
იყო, როგორც ქართველი ახალგაზრდობის განათლების სამ-
ჭედლო. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ფრანგული
და ლათინური ენების სწავლას. ამ სასწავლებელში აღზრდი-
ლებს საქართველოში უნდა დაეარსებინათ სკოლები და გაეც-
რცელებინათ ფრანგული ენა.

1880 წლის მარტში მონტობანში ქართული კულტურის
სავანე დაიხურა. ამის მიზეზი იყო ამავე წლის 29 მარტს საფ-
რანგეთის მესამე რესპუბლიკის მთავრობის დეკრეტი, რომ-
ლის თანახმად, საფრანგეთის ტერიტორიაზე არსებულ ყველა
კონგრეგაციას რელიგიურ საზოგადოებას თუ გაერთიანებას,
იყო ის ხელისუფლების ნებართვით, თუ უნებართვოდ, ამ დეკ-
რეტის გამოქვეყნებიდან სამი თვის განმავლობაში, უნდა გაე-
ფორმებინა მათი არსებობა საფრანგეთის რესპუბლიკის სა-
თანადო დეპარტამენტში. უნდა წარედგინათ თხოვნა ადგი-
ლობრივი ხელისუფლებისათვის თავიანთი მოღვაწეობის
პროგრამით. ე. ი. საფრანგეთის ხელისუფლება საქმის კურსში
უნდა ყოფილიყო იმის შესახებ, თუ რა მიზნით შეიქმნა და რას
აკეთებდა ესა თუ ის კონგრეგაცია ან ორგანიზაცია. ყველა
სათანადო საბუთი ამ კონგრეგაციას, სავანეს თუ ორგანიზა-

ციას უნდა წარედგინა ადგილობრივი დეპარტამენტის პრეფექტის მთავარ სამდივნოში და ეთხოვა ნებართვა მისი მოღვაწეობის შემდგომი გაგრძელებისათვის. კონგრეგაცია, სავანე თუ ცენტრი, რომელიც ყველა აღნიშნულ საბუთს, ზუსტად დადგენილ აღნიშნულ ვადაში არ წარადგენდა, საფრანგეთის ხელისუფლების მიერ გაუქმებული, დახურული იქნებოდა. მათ ჩამოერთმეოდათ ყველაფერი, ხოლო მომსახურე პერსონალსა და საერთოდ ყველას, ვინც მიეკუთვნებოდა ამ კონგრეგაციას, სავანესა თუ ცენტრს, უნდა დაეტოვებინა საფრანგეთი.

ზომიერ რესპუბლიკელთა ანტიკლერიკალური პოლიტიკის შედეგად საფრანგეთში პრაქტიკულად დაიხურა რელიგიური კონგრეგაციები, ბერ-მონაზვნური ორდენები, უმაღლეს სასწავლებლებში გაუქმდა საღვთისმეტყველო ფაკულტეტები. ასეთი პოლიტიკური ვითარების პირობებში მონტობანის ქართული სავანის მესვეურებს მართებდათ დიდი გამჭრიახობა და პოლიტიკურ სიტუაციებში კარგად გარკვევის უნარის გამოჩენა. ჩანს, მათ დროზე არ წარადგინეს საჭირო დოკუმენტები ნებართვის მისაღებად, და უფრო მეტიც, სავანის წევრებს მონაწილეობა მიუღიათ 1882 წელს ანტიკლერიკალთა წინააღმდეგ გამართულ გამოსვლებში. ამის გამო სავანის დაახლოებით 6 წევრი განდევნილი იქნა საფრანგეთიდან.

პეტრე ხარისჭირაშვილის ენერგიული მოქმედებითა და ზომიერი რესპუბლიკელების რბილი ანტიკლერიკალური პოლიტიკის შედეგად 1897 წელს ისევ აღსდგა მონტობანში ქართველ კათოლიკეთა სავანე. იგი დამკვიდრდა ქალაქგარეთ არდუს გზაზე, რომელმაც იარსება დაახლოებით 1904 წლის ბოლომდე. ამ პერიოდში სავანის მოღვაწეობა არაფრით გამოირჩევა. მართალია, ფრანგმა მანდილოსანმა ვინმე მაზელმა სავანეს „ახალი სისტემის“ საბუჯდი მანქანა შესწირა, მაგრამ ამან ვერ წასწია წინ საგამომცემლო საქმიანობა. და, საერთოდ, უცნობია, თუ 1897-1904 წწ. რომელი წიგნები დაიბეჭდა მონტობანში.

რაც შეეხება სემინარიას, იგი ისევ აგრძელებდა საქმიანობას ხსენებულ სავანეში. პირველწყაროების თანახმად, ამ

სასწავლებლებში განათლების დონე ძალიან მაღალი იყო. ქართველი ახალგაზრდების სწავლა-განათლებაზე ზრუნავდა ალფონს ხითარიშვილი. პეტრე ხარისჭირაშვილისა და ანდრია წინამძღვრიშვილის შემდეგ იგი როგორც კონსტანტინოპოლის, ისე მონტობანის სავანის ყველაზე დიდი მოამაგე იყო.

მესამე რესპუბლიკის მთავრობის ანტიკლერიკალური პოლიტიკა 1901 წლიდან რადიკალური ნიშნით ხასიათდებოდა. 1902 წელს ხელისუფლებაში მოსულმა რადიკალებმა ემილ კომბოს მეთაურობით მთავრობის ამოცანად დასახეს კლერიკალიზმთან ბრძოლა. ამავე წლის 27 ივნისის დეკრეტით მთავრობამ დახურა კონგრეგაციები და მათ მიერ დაარსებული სკოლები. 1904 წლის 7 ივლისის კანონით მთავრობამ აკრძალა კონგრეგაციული სწავლება და ამავე წლის ოქტომბერში გამოსცა კანონი, რომლის თანახმად სახელმწიფოსგან გამოყოფილი ეკლესია. ეს მოვლენები ფაქტობრივად აუქმებდა ქართველ კათოლიკეთა სავანეს მონტობანში. ამ ცენტრის შენარჩუნება ერთმანეთში შუღლით გართული სავანის მესვეურთა შესაძლებლობებს აღემატებოდა. შეიძლება ვთქვათ, რომ 1904 წლის ხსენებული კანონების შემდეგ მონტობანში არსებობა დაასრულა ქართველ კათოლიკეთა კულტურულმა ცენტრმა. მართალია, ამ სავანემ ვერ შეიძინა ისეთი ნიშნები, როგორც კონსტანტინოპოლში არსებულმა კერამ, მაგრამ მან მაინც ერთი გამობრწყინებით წარუშლელი კვალი დატოვა უცხოეთში ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეში.

ОЧАГ ГРУЗИНСКОЙ КУЛЬТУРЫ ВО ВТОРОЙ ПОЛОВИНЕ XIX ВЕКА ВО ФРАНЦИИ

РЕЗЮМЕ

Без изучения существующих за границей центров грузинской культуры невозможно представить историю Грузии во всей ее полноте. Сегодня, когда не зависящая и свободная Грузия ориентирована на европейские ценности, научное исследование вопросов длительных культурных взаимосвязей с Западом, в частности с Францией, приобретает особую значимость.

В XIX веке сохранение и защита грузинского языка и культуры стала той путеводной звездой общественной мысли, которая способствовала сохранению национальной самобытности исконного уголка Грузии - Месхети. Лишенные подобной возможности внутри страны деятели грузинской культуры создали за границей (в Константинополе и во Франции) такие выдающиеся эмигрантские колонии, которые стали важными и жизненно необходимыми очагами грузинской национальной культуры.

Естественно, что для нашей страны, стремящейся стать полноправным членом семьи европейских государств, особую актуальность приобретает исследование вопросов культуры ориентации Грузии, ее давнее тяготение в Запад.

Это обусловлено следующими факторами:

первый: освещение данной темы прояснит ту роль, которую сыграл Монтобан в деле пропаганды грузинской культуры; второй: покажет, насколько положительную роль играло в этом правительство Франции; третий: покажет, что европейская культура была для грузин близкой и понятной; четвертый: представит один из важных эпизодов истории культурологической деятельности грузинских патриотов - католиков как пример борьбы за свои национальные ценности и идеалы.

Актуальность темы обусловлена и тем, что создание полноценной картины деятельности грузинских культурных очагов во Франции, с учетом прошлых исторических взаимосвязей, во многом может способствовать развитию культурных и политических идей Запада в современной Грузии.

Основной новизной нашего исследования является то, что в первые монографический изучена: деятельность грузинской общины в Монтобанае в разрезе развития франко-грузинских исторических взаимоотношений; На основе архивных данных по-новому поставлены и рассмотрены вопросы культурного подвижничества наших соотечественников в Монтобанае; В разрезе ориентации Грузии на Францию выявлены и охарактеризованы результаты деятельности грузинского центра в Монтобанае; По-новому освещены и оценены культурологические стороны посольства Сулхана-Саба Орбелиани во Франции; Обобщены аспекты деятельности французского консульства 1821-1900 годов в Грузии. В результате проведенного критического анализа первоисточников установлены и уточнены отдельные факты.

В исследований использованы как изданные, так и неопубликованные архивные материалы. Из неопубликованных источников в основном опираемся на рукописные материалы, хранящиеся в личном архиве М. Тамарашвили в Институте рукописей им. К. Кекелидзе (фонды №№ 10, 319, 470). В них отражены те внутренние проблемы и противоречия, которые возникли в деятельности грузинской колонии в Монтобанае в 90-е гг. XIX века и поиски путей их устранения. Этот же источник дал нам возможность уточнить некоторые факты деятельности грузинских католиков в Монтобанае. В работе над диссертацией также использованы материалы из архива Министерства иностранных дел Франции, которые освещают обстоятельства восстановления общины, закрытой в 1880 г. в Монтобанае.

Из опубликованных источников в первую очередь надо отметить фундаментальные труды Михаила Тамарашвили («История католичества среди грузин», Тифлис, 1902; «Грузинская цер-

ковь с древности до наших дней», Тбилиси, 1995). Документы, приведенные в этих изданиях, касаются в основном проблем распространения католичества в Грузии в XIII-XIX вв., вопросов военно-политических и культурных отношений с зарубежными странами.

В иностранных источниках и книгохранилищах важные материалы были обнаружены профессором И. Табагуа. Нужные нам документы опубликованы в трудах: «Очаги грузинской культуры во второй половине XIX в.» («Мацнэ», серия «Язык и литература», 1978, №1), «Документы из истории грузинско-французских взаимоотношений» (часть I, Тб., 1975), «Из истории деятельности французских консулов в Грузии (1821-1921 гг.)» («Мацнэ», серия «История, этнография и история искусства», 1986, №3).

Интересные сведения содержатся в сочинении известного французского путешественника Жана Шардена: «Путешествие Жана Шардена в Персию и другие страны Востока». Этот источник помог в восстановлении некоторых деталей и уточнении нескольких фактов. Для проявления общей картины ориентации Грузии на Западную Европу важные сведения находим в работе М. Тархнишвили «Тиатинские апостолы в Грузии XVII века». Заслуживающие внимания данные встречаются также в исследовании поляка Гимона Т. Хмиелецкого „*Tymon Tytus Chmielecki, Gruziniński Katolicyzm w XIX i na początku XX wieku w świetle archiwów watykańskich*, Toruń, 1998”.

Наряду с указанными материалами определенными дополнительными источниками служат и грузинские книги, изданные в монтобанской обители (Франция), и их предисловия.

В деле изучения грузинско-французских политических, культурных, дипломатических, а также литературных взаимоотношений неизмеримую роль играют вышеназванные труды М. Тамарашвили. Неслучайно, что один из них великий Илья Чавчавадзе назвал «вторым «Картлис Цховреба» («...Житие Картли»). В этом труде Тамарашвили составил своеобразную

историческую энциклопедию, в которой освещено множество сторон исторической и духовной жизни Грузии.

В грузинской историографии деятельность культурных очагов в Константинополе и Монтобана впервые изучена известным историком Шота Ломсадзе («О некоторых очагах грузинской культуры в Европе XIX века», журн. «Цискари», 1962, №7), («Михаил Тамарашвили и грузинские католики», Тб., 1984). Исследователь внимательно проследил причины переселения части грузинских католических подвижников за рубеж и начало их культурной деятельности на чужбине; изучил взаимоотношения грузинских католиков с зарубежными церквями. С научной точки зрения интересно авторское заключение:

«Несмотря на многообразие религиозных взглядов, общественная мысль тогдашней Месхети утверждала необходимость укрепления грузинского языка и грузинской культуры и тем самым объединения Грузии. Предводителями этого великого дела выступали грузинские католики и своей деятельностью подавали пример другим. История жизни грузинских католиков была историей вековой борьбы за грузинский язык» («О некоторых очагах грузинской культуры в Европе XIX века», I стр. 102-103).

Вопросы культурной деятельности грузинских католиков в Монтобана особо отмечены и проф. И. Табагуа. Исследователь на основе документальных материалов, обнаруженных в архивах г. Монтобана, а также департамента Гарн и Гаронна, выявил важные факты культурной деятельности грузинской обители.

Интересную для нас проблематику затронул итальянский автор Евгений Даледжио Д' Далесио, который на фоне краткого обзора турецко-грузинских исторических взаимоотношений рассмотрел деятельность грузинской обители в Константинополе и выявил роль Петра Харисчирашвили.

В изучении отдельных вопросов, поставленных в работе, большую помощь оказали книги и статьи З. Чичинадзе, П. Иоселиани, З. Авалишвили, В. Габашвили, Л. Григолия, Г. Кигурадзе, В. Донадзе, Ш. Хантадзе, Г. Шарадзе, М. Ефремидзе, Д. Ко-

жоридзе, Д. Панчулидзе, М. Папашвили, В. Кикнадзе, Д. Пайчадзе, Э. Мамиствалиш-вили. М. Небиеридзе, М. Иаманидзе, Н. Курашвили, Г. Маису-радзе, М. Диасамидзе и других. Наряду с трудами грузинских исследователей, интересными оказались работы зарубежных авторов - П. Личини, М. Делакура, А. Иоанисяна, Э. Жакуз, И. Ковальского, С. Гурвича, А. Борисова, Р. Жанена.

